ს. ს. ს. რ. სახ. კომ[illegible]
საინფორმაციო-განყ[illegible]
კომ[illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24
მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6 გვერდს

ოთხშაბათი, 18 მარტი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 62 (1217)

დ ღ ი უ რ ი

— საფრანგეთის სენატის საფინანსო [illegible] სთქვა [illegible].

— 20 მარტს დაიწყება ვარშავაში [illegible] გასამართლება.

— პოლონეთის მთავრობა ხურავს ბელორუსთა სკოლებს.

— ბულგარეთში აკრძალეს გლეხთა კავშირის საბჭოს კონფერენცია.

პარიზის კომუნა

ჩვენ ყოველწლიურად ვიგონებთ პარიზის კომუნას. დღეს სრულდება 54 წელი, რაც პარიზის მუშებმა მსოფლიო ისტორიაში შრომის სუფევის დაარსების პირველი უდიდესი ცდა მოახდინეს. ბურჟუების და მემამულეების წინააღმდეგ აჯანყდენ და ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების ბატონ-პატრონებად და შემქმნელებად გამოვიდენ ის ადამიანები, რომელთა არსებობის უფლებას მანამდე სცნობდენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ჰქმნიდენ აურაცხელი სიმდიდრეს თავიანთი წინანდელი ბატონებისათვის.

მრავალ ისტორიულ თარიღთა შორის პარიზის კომუნის წლის თავს განსაკუთრებული ადგილი უკავია. პარიზის კომუნა, მისი დადებითი მხარეები და შეცდომები, მისი გაკვეთილები დაედვენ საფუძვლად საერთაშორისო რევოლიუციის შემდეგი განვითარებას და მიმართულებას.

უცხო მტერმა (პრუსიამ) საფრანგეთი სასტიკად დაამარცხა 1870—71 წ. ომში. მტრის ჯარი უკვე მიადგა პარიზს. პარიზის მშრომელი ხალხი შეიარაღდა, რათა თავისი დედა-ქალაქი დაეცვა. რაზე ფიქრობდა ამ დროს საფრანგეთის ფაბრიკანტების, მემამულეების და ბანკირების მთავრობა?—არა მტრის მოგერიებაზე, არა სამშობლოს დაცვაზე, არამედ პარიზელ მუშების განიარაღებაზე, ვინაიდან მათი უფრო ეშინოდა, ვინემ პრუსიის ჯარების. აქ აშკარა გახდა, რომ ბურჟუაზიისათვის სამშობლო ცარიელი სიტყვაა და იგი მზად არის გაყიდოს იგი, ოღონდ შეინარჩუნოს თავისი კლასობრივი ბატონობა. ეს ერთი გაკვეთილთაგანია პარიზის კომუნის, გაკვეთილი, რომელიც, სამწუხაროდ, დავიწყებულ იქნა უკანასკნელ მსოფლიო ომის დროს და რომელიც დღესაც არ არის სათანადოდ გამოყენებული მუშათა კლასის მიერ კაპიტალისტურ მსოფლიოში.

1871 წ. 18 მარტს ტიერის მთავრობამ მოსთხოვა პარიზის მეტ წილად მუშებისაგან შემდგარ ნაციონალურ გვარდიას განიარაღება. საპასუხოდ პარიზის პროლეტარიატმა აღმართა აჯანყების დროშა. შეშინებულმა ტიერმა უკან დაიხია—ვერსალისაკენ.

პარიზის მშრომელი მასსა შეუდგა ახალი ტიპის სახელმწიფოს მოწყობას, ახალი საზოგადოებრივობის შექმნას. აირჩია თავისი წარმომადგენლები, რომლებიც უძღვებოდენ მთელ ცხოვრებას. გააუქმა მუდმივი ჯარი და შემოიღო სამილიციო სისტემა. დაშალა პოლიცია და წესრიგის დაცვა დააკისრა არჩეულ მუშებს. ეკლესია ჩამოაშორა სახელმწიფოს და სკოლიდან განდევნა სარწმუნოება. მიიღო მთელი რიგი ზომები მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამასობაში ბურჟუაზიას არ ეძინა. იგი ვერსალში კრებდა თავის ძალებს, რათა შეეტია რევოლიუციონურ პარიზისათვის. ამასთან ტიერის მთავრობამ ჩამოაგდო სამარცხვინო ზავი პრუსიასთან. სამაგიეროდ ბისმარკიმ გადასცა მას განკარგულებაში 100.000 ტყვედ წაყვანილი ფრანგი ჯარისკაცი პარიზის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ამნაირად, როგორც ყოველთვის, სხვა და სხვა ქვეყნის გაბატონებული კლასები შეთანხმდენ, როცა საქმე ეხებოდა მუშათა კლასის შემუსვრას.

ტიერი დიდ-ძალი ჯარით წამოვიდა პარიზისაკენ, რომელმაც ვერ გაუძლო მოწინააღმდეგეს. პარიზის კომუნა მუშების სისხლში იქნა ჩახშობილი. 1871 წ. 21-დან 28 მაისამდე გრძელდებოდა უთანასწორო ბრძოლა. პარიზის ქუჩები აივსო მუშების გვამებით. შემდეგ დაიწყო არა ნაკლებ საშინელი წამება ტყვე კომუნარების. გამხეცებული ბურჟუაზია არავის ინდობდა, არც მოხუცს, არც ქალს, არც ბავშვს. რამდენიმე ათეული ათასი დახვრეტილი. გაცილებით უფრო მეტი ჩაყრილი ციხეებში და კატორღაში გადასახლებული, საერთოდ 100.000-მდე მშრომელის სიცოცხლე—აი, რა დაუჯდა პარიზის მუშებს გაბედული ცდა ადამიანური უფლების მოპოვების, ძველი სულთამხუთავი წყობილების დამხობის.

რა მიზეზებმა გამოიწვიეს პარიზის კომუნის დამარცხება?

პარიზის პროლეტარიატს არ გააჩნდა ბრძოლის და მოქმედების გარკვეული გეგმა, ნათლად არ ჰქონდა წარმოდგენილი თავისი კლასობრივი მიზნები და მათი განსახორციელებელი საშუალებანი. მისი მოძრაობა უფრო სტიქიურ ხასიათს ატარებდა. ის ორგანიზაციულადაც არ იყო დარაზმული. მან ვერ მოაწყო რიგიანად თავდაცვის საქმე. ბურჟუაზიისადმი ერთგვარ შებრალებას და სულგრძელობას იჩენდა. ფიქრობდა, რომ მშვიდობიანი გზით შეიძლებოდა მასთან შეთანხმება. ხელი არ უხლია მისი სიმდიდრისათვის, კერძო საკუთრებისათვის. არ მოუხდენია ბანკების კონფისკაცია. ბურჟუაზიას საშუალება მისცა გაქცეულიყო პარიზიდან ვერსალში, არ დაედევნა მას გასანადგურებლად, სანამ იგი სულს მოითქვამდა და აქეთ არ შემოუტევდა.

ყველაფერი ეს იმიტომ მოხდა, რომ პროლეტარიატს არ ჰყავდა თავისი პარტია, ერთიანი ნებისყოფით და დისციპლინით გამსჭვალული, გარკვეული პროგრამის და ტაქტიკის მატარებელი პარტია, რომელიც თავს მოუყრიდა მშრომელ მასებს და სამოქმედო გზას უჩვენებდა.

პარიზის მუშათა კლასმა ვერ შესძლო კავშირის გაბმა გლეხობასთან და მისი მიმხრობა. პარიზის მუშათა კლასი განმარტოებული დარჩა. ბურჟუაზიამ პარიზის კომუნარებზე ათასგვარი ჭორების გავრცელებით აამხედრა მათ წინააღმდეგ საფრანგეთის გლეხური მასსა.

პარიზის კომუნას ზურგს არ უმაგრებდა საერთაშორისო მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობა. ეს მოძრაობა ის იყო მხოლოდ ყალიბდება ორგანიზაციულად. კაპიტალიზმი მაშინ ზრდის და განვითარების პირობებში იმყოფებოდა, რის გამო არ იყო შემზადებული ნიადაგი მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციისათვის.

პარიზის კომუნა დამარცხდა. მაგრამ მისი იდეა არ გამქრალა. პარიზის კომუნამ უდიდესი როლი ითამაშა მთელი შემდეგი ხანის რევოლიუციონურ მოძრაობაში. პარიზის კომუნამ მსოფლიო მუშათა კლასს მისცა პირველი მაგალითი მშრომელთა დიქტატურის. ეს მაგალითი მოგონების წყაროთ იქცა მომავალი თაობათათვის.

მაგრამ ძვირფასია არა მარტო ეს მაგალითი, არამედ ის შეცდომებიც, რომელიც იქნა დაშვებული პარიზის კომუნის მიერ. ყველა ეს შეცდომები სავსებით იქნა გამოყენებული ჩვენი ოქტომბრის რევოლიუციაში. სხვა გარემოებათა გარდა ამანაც უზრუნველჰყო საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო გამარჯვება.

პარიზის კომუნის გამოცდილება, გამდიდრებული ოქტომბრის რევოლიუციის გამოცდილებით, აი ის გაკვეთილი, რომელიც უნდა შეითვისოს კაპიტალისტურ მსოფლიოს მუშათა კლასმა თავის მომავალ ბრძოლებში. ამიტომ, პარიზის კომუნის გახსენებას მისთვის აქვს არა მარტო ისტორიული მოგონების, არამედ უაღრესი სადღეისო მნიშვნელობაც.

საბჭოთა კავშირის მშრომელები კი, რომელთაც განახორციელეს პარიზელ კომუნარების აღთქმანი და დედამიწის ერთ მეექვსედზე შეჰქმნეს მშრომელთა კომუნა, მზად არიან თავისი ძალები მოახმარონ მსოფლიო კომუნის გამარჯვებას. მშრომელთა მსოფლიო კომუნა—ეს საუკეთესო ძეგლი იქნება ამ 54 წლის წინედ დაღუპულ პარიზელ კომუნარების საფლავზე აღმართული.

დავეხმაროთ რევოლიუციისათვის მებრძოლთ

პარიზის კომუნის დღე ყველა ქვეყნებში ჩატარდება, როგორც რევოლიუციისათვის მებრძოლთა დახმარების დღე.

პარიზის კომუნის საქმისათვის, მისი საბოლოო მიზნის—შრომის ბატონობის დამყარების—განსახორციელებლად დღეს იბრძვიან მილიონი მუშები და გლეხები მთელს მსოფლიოში.

მაგრამ ეს ბრძოლა იწირავს აურებელ მსხვერპლს. კაპიტალის სამეფოებში მძვინვარებს თეთრი ტერორი. ამხედრებული მუშათა კლასის ისევ მონობაში სამყოფელად ბურჟუაზია და მისი მარჯვენა ხელი „სოციალისტები“ არ ჩერდებიან არაფრის წინაშე. სამუშაოდან დათხოვნა და ულუკმა-პუროდ ქუჩაში გაგდება, დახვრეტა, ციხეებში ჩამწყვდევა—აი ხვედრი ყველა იმათი, ვინც გაბედავს კაპიტალისტების და მემამულეების ძალაუფლების წინააღმდეგ გალაშქრებას. „განათლებული“ ბურჟუაზიული სახელმწიფოების და მათი კოლონიების ციხეები ავსებულია მშრომელი ხალხის ასეული ათასი საუკეთესო წარმომადგენლებით. იქ ისინი განიცდიან აუწერელ ტანჯვა-წამებას და დამცირებას.

ასეთი მხეცური ზომებით ბურჟუაზია ცდილობს სრევოლიუციონური ცეცხლის ჩაქრობას, რევოლიუციონერების ფიზიკურად და სულიერად გატეხას, თავისი ბატონობის გახანგრძლივებას.

მსოფლიო მუშათა კლასის, ყველა ჩვენთაგანის მოვალეობას შეადგენ დახმარების ხელი გაუწოდოთ ბურჟუაზიის საკნებში ჩაყრილ, მისი მხეცური შურისძიების მსხვერპლად გამხდარ რევოლიუციონერებს, გავიღოთ წვლილი მათი მძიმე ხვედრის შესამსუბუქებლად, გავამხნევოთ ისინი მორალურად.

ამ მიზნით კიდეც არსებობს რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოება—რემედასი. რემედასის ორგანიზაციებით მოფენილია მთელი საბჭოთა კავშირი, მასთან ჩვენი ქვეყანაც. იგი საკმაოდაა აგრეთვე გავრცელებული კაპიტალის ქვეყნებშიც.

ეს საზოგადოებანი ამტკიცებენ საერთაშორისო მუშათა კლასის სოლიდარობას და დიდ დახმარებას უწევენ ბურჟუაზიის საკნებში ჩამწყვდეულ მუშებს და გლეხებს, აგრეთვე უმწეოდ დარჩენილ მათ ოჯახებს, საერთოდ ყველა იმათ, ვინც განიცდის გაჭირვებას და დევნას რევოლიუციონური ბრძოლისათვის.

დღეს, როცა ვიგონებთ პარიზის დაღუპულ კომუნარებს, ჩვენ არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ მათი დღევანდელი ჭეშმარიტი მემკვიდრენი, ბურჟუაზიის საპყრობილეებში ჩაყრილი რევოლიუციონერები, რომელნიც თავგამოდებით იბრძვიან პარიზის კომუნარების ანდერძის განსახორციელებლად.

გავაძლიეროთ რემედასი, ყველანი გავხდეთ მის წევრებად, გავიღოთ ჩვენი წვლილი რევოლიუციისათვის მებრძოლთა დასახმარებლად, გაუმაგროთ ზურგი მებრძოლთ—აი, რა ლოზუნგებით გამოდის დღეს როგორც ჩვენი კავშირის, ისე მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი.

ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი მონაპოვართა საბოლოო განმტკიცება, ვისთვისაც ძვირფასია საერთაშორისო რევოლიუციის გამარჯვება, ვისთვისაც ძვირფასია პარიზის კომუნარების ნათელი ხსოვნა,—იგი, ეჭვი არ არის, მთელი თავისი ძალ-ღონით ხელს შეუწყობს ფაშისტურ ბურჟუაზიის და მისი დამქაშის—სოციალ-დემოკრატიის მსხვერპლთათვის—კაპიტალის ტყვეებისათვის ფართე დახმარების ორგანიზაციის საქმეს.

საკავშირო და მოკავშირეთა ბიუჯეტში

1924—1925 წ.

VI

საქართველოს ფინანსიური უნარი

რა და რა საშემოსავლო წყაროები მოიპოვება საქართველოში? საქართველოში არის თითქმის ყველა წყაროები, რომლებიც კი მოიპოვება სხვა სახელმწიფოებში. აი ეს წყაროები და ამ წყაროებიდან შემოსავლის რაოდენობა მიმდინარე წლის საბიუჯეტო ვარაუდით, რომელიც საკავშირო ცაკის სესიამ დაამტკიცა.

1. პირდაპირი გადასახადი.	
ა. ერთნაირი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი	3,700,000 მან.
ბ. სარეწ. გადასახადი	1,600,000 მან.
გ. საშემო. გადასახადი	1,000,000 მან.
დ. სარენტო გადასახ.	250,000 მან.
ე. ერთდროული გადასახადი	?
ვ. სამემკვიდრო	11,000 (?) მან.
2 არაპირდაპირი გადასახადი	
ა. აკციზი	4,000,000 მან.
ბ. საბაჟო (ტამოჟნა)	150.000 (?) მ.
3. ბაჟები	
ა. სალერ. შემოსავ.	1.000.000 მ.
ბ. სხვადასხ. საკ. შემ.) გ. სხვადასხვ. ანაკრ.)	274.000 მ.
4. ფოსტა და ტელ.	?
5. ტრანსპორტი	?
6. საკრ. ორგ. ოპერაც.	?
7. სახელმწ. დაზღვევა	?
8. სახელმწიფო მრეწველობა: **ფაბრიკები, ქარხნები**	500.000 მან.
9. სახელმწ. ვაჭრობა	500.000 „
10. სახელმწიფოს ანგარიშზე მყოფი სოკლ. მეურნ.	83.000
11. წიაღი: შავი ქვა, ნახშირი და სხვა	?
12. ნავთსადენ. მილი	?
13. მიწები, საძოვრები, მამულების იჯარა	240.000
14. ტყეები და ტყის მრეწველობა	500.000
15. სახელმწიფო ხარჯების ანაზღაურება	34 000
16. სხვადასხ. შემოსავ.	124.000
	13.466.000

მხოლოდ ნაწილი საქართველოს შემოსავლისა უდრის დამრგვალებით 13,5 მილ. მანეთს

ჩვენ არა გვაქვს ცნობა, თუ რა შემოსავალს იძლევა საქართველოში ფოსტა და ტელეგრაფი, რკინის გზა, საკრედიტო ორგანოების ოპერაციები, სახელმწიფო დაზღვევა, შავი ქვა და სხვა, მაგრამ თუ ჩვენი ცხოვრების მასშტაბით ამ დიდი წყაროებიდან შემოსავალს ვივარაუდებთ მხოლოდ ორმილიონ ნახევარს მაინც, მაშინ სახელმწიფო შემოსავალი საქართველოს ტერიტორიაზე ყოველ შემთხვევაში დღევანდელ პირობებ მაინც 16 მილიონ მანეთზე ნაკლები არ უნდა იყოს.

რასაკვირველია ეს თანხა არაა საქართველოს ფინანსიური უნარიანობის გამომხატველი. ჩვენ ვიცით, რომ ომის წინ, 1913 წ., საქართველოს შემოსავალი იყო—50,5 მილ. მან. და გასავალი—45,8 მილ. მანეთი (იხ. „კომუნისტი“, 1924 წ., № 268, ჩემი წერილი „საქართველოს ბიუჯეტი“), მაგრამ ეს მდგომარეობა საქართველოსათვის, რასაკვირველია, უდიდეს მიღწევას არც მაშინ წარმოადგენდა. როგორც ახლა სამართლიანად აღნიშნავენ ეკონომიურ და პარტიულ ლიტერატურაში, რუსეთის მრეწველობა, რუსეთის ეკონომიური პოლიტიკა არ ურიგდებოდა და ვერც შეურიგდებოდა საქართველოში მრეწველობის განვითარების იდეას და მის ცხოვრებაში გატარებას, რომ რუსეთის ისედაც ყოველის მხრივ უძლურ მრეწველობას აქ არ გაჩენოდა მძლავრი მეტოქე და არ დაკარგოდა მას ბაზარი. მიუხედავად უკუღმართი ეკონომიური პირობებისა ომის წინაც საქართველოს სახელმწიფო შემოსავალი უდრიდა 50,5 მილ. მანეთს და გასავალი 45,8 მილიონ მანეთს. გახსხვავება შედიოდა რუსეთის სალაროში, როგორც ხარკი.

დღესაც 16 მილ. მანეთი, რომელიც გროვდება საქართველოში, არ ახასიათებს მისი ფინანსიურ უნარიანობას. საქართველოს მთავარი ხარჯები მთელი თავის 22 მილიონი მანეთის სიმძიმით აწევა ადგილობრივ ორგანოებს, მაგრამ ეს ორგანოები არამც თუ არ კვდება წელში, პირიქით, იჩენს სიცოცხლის უნარს და მიდის წინ აღორძინების გზით.

16 მილიონი შემოსავალი აქვს საქართველოს მაშინ, როდესაც ბათომს უაქმობის გამო სძინავს, შავი ქვა ძალიან ზანტათ და მცირე რაოდენობით მიგორავს ზღვისაკენ, ჩვენ ტყეებში ხეები უნაყოფოდ ბერდება და ლპება, სოფლის მეურნეობა კრიზისს განიცდის და საერთოდ ვაჭრობა-მრეწველობა სახელმწიფოს ძლიერ ცოტა შემოსავალს აძლევს. საილიუსტრაციოთ ჩვენ აქ ერთმანეთს შევადარებთ ზოგიერთ შემოსავალს საქართველოში 1913 წელს და 1924 | 25 წელს. მაგრამ წინასწარ ავღნიშნავთ შემდეგ გარემოებას. ომამდე არ იყო, როგორც ეს ვიცით, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, რომელიც დღეს 3,7 მილიონ მანეთს უდრის; არ იყო ღვინოზე აქციზი და სხვა, მაგრამ საქართველოდან გატანილ და საქართველოში შემოტანილ საქონლის ბაჟები დიდ შემოსავალს იძლეოდა, და დღეს ეს შემოსავალი 150 ათას მანეთს არ აღემატება. თუ თანაბარ პირობებში შედარებისათვის მიმდინარე წლის პირდაპირი გადასახადების და გამოსაღებების საერთო ჯამიდან,—6,5 მილ. მანეთიდან,—სასოფლო-სამეურნეო გადასახადს გამოვრიცხავთ, პირდაპირი გადასახადები და გამოსაღებები 1924—25 წელს უდრის—(6,5—3,7) 2,8 მილ. მანეთს. აი ზოგიერთ საშემოსავლო წყაროების შედარება თანაბარ პირობებში (მილიონ მანეთებში):

	1913 წ.	1924—25 წ.
პირდაპირი გადასახადები და გამოსაღებები	7,5	2,8
არაპირდაპირი გადასახადები და ბაჟები	8,9	5,3
სახელმწიფო ქონებანი და წარმოებანი (1913 წ. შედის რკინის გზის შემოსავალი)	24,9	1,3

ამიერ-კავკასიის რკინისგზამ დატოვა წმინდა მოგება 1912 წელს—12,6 მილ. მან. და 1913 წელს—13,4 მილ. მან. ამ შემოსავლიდან დაახლოვებით ნახევარი საქართველოს წილი უნდა ყოფილიყო. მარტო რკინის გზა და გატანილ-შემოტანილ საქონლის ბაჟები ომამდე აღემატებოდა 10 მილიონ მანეთს, დღეს ასეთი შემოსავალი ან არ არის ან საქართველოს რესპუბლიკანურ ბიუჯეტში არ შედის და ამიტომ საქართველოს შემოსავალი უფრო მცირეა. მაგრამ ეს უარყოფითი პირობები რასაკვირველია, შეიცვლება, გამოკეთდება და თან საქართველოს ფინანსიური უნარიანობაც გაძლიერდება; მასთან ერთად რესპუბლიკის შემოსავალიც გაიზრდება. მთავრობის საღი ეკონომიური და ფინანსიური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას სულ მოკლე ხანში შეუძლია რესპუბლიკის შემოსავალი 20 მილიონამდე აიყვანოს. ცხოვრება საუკეთესო მასწავლებელია. და ის თავისი ჯანსაღი გავლენით გვამცნებს, თუ როგორი ეკონომიური პოლიტიკაა ქვეყნისათვის უფრო გამოსადეგი. მაგრამ დღესაც 15 მილიონი [illegible] 5,2 მილიონი მანეთით აღემატება იმ ხარჯებს, რომელიც ნავარაუდევია საქართველოს რესპუბლიკანურ ბიუჯეტში მიმდინარე წლის განმავლობაში.

მიუხედავათ ამისა საქართველოს რესპუბლიკანური ბიუჯეტი დღეს მეტად დეფიციტიანია. რატომ არის ეს ასე? ამ კითხვაზე ჩვენ შემდეგ წერილში ვუპასუხებთ.

დ. თოფურიძე.

იაპონია აპრილში დანიშნავს ელჩს საბჭოთა კავშირში

სახალინის ევაკუაცია გრძელდება, ზოგიერთი რაიონები უკვე გადაეცა საბჭოთა ხელისუფლებას

იტალიაში დაიწყო მელითონეთა დიდი გაფიცვა

იაპონიის მთავრობა ემზადება საბჭოთა ელჩის ზეიმით მისაღებათ.—ტოკიოში საელჩოს შენობა გადაეცა საბჭოთა წარმომადგენელს.—სუნ-იატ-სენის ხსოვნის აღსანიშნავათ მოსკოვში დიდი სამგლოვიარო სხდომა გაიმართა.—იტალიის მუშები არ მიდიან დათმობაზე მეწარმეების მიმართ.—გადადგა პოლონეთის პრემიერის მოადგილე ტუგუტი.—გამოირკვა, რომ სპეკულიანტი ბარმატი ჰოლანდიელ სპეკულიანტებსაც ჰკვებავდა.

იაპონიასთან შეთანხმების შემდეგ

მზადება საბჭოთა ელჩის მისაღებად.

ტოკიო. 16 მარტი. იაპონიის სასახლის სამინისტრო ემზადება საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის კოპპის მიერ პრინც-რეგენტისათვის რწმუნების სიგელის ჩაბარების ცერემონიისათვის. ამას წინად სამინისტროს მოხელეები კაცხარებით იხილავდენ საკითხს ცერემონიის დროს შესრულებული იქნეს „ინტერნაციონალი“, თუ სხვა რომელიმე ჰიმნი.

რუსეთის საელჩოს შენობის ოფიციალურად ჩაბარება.

ტოკიო. 16 მარტი. დღეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს კუზნეცოვს ოფიციალურად ჩააბარეს რუსეთის საელჩოს შენობა იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროს და ტოკიოს პრეფექტურის წარმომადგენლებმა; შენობა ტოკიოს პრეფექტურის ხელში იყო თეთრგვარდიელების მიერ დაცლის შემდეგ.

როდის დაინიშნება იაპონიის ელჩი.

ტოკიო. 16 მარტი. ფიქრობენ, რომ **იაპონიის ელჩს დანიშნავენ** მხოლოდ აპრილში, როცა საბიუჯეტო ხარჯები საბჭოთა კავშირში იაპონიის საელჩოს და საკონსულოების შესანახად დამტკიცებული იქნება ქვედა პალატში.

სახალინის ევაკუაცია.

ტოკიო. 16 მარტი. **სახალინის ევაკუაცია ნორმალურად მიმდინარეობს. ალმოსავლეთ სახალინის ზოგიერთი ნაწილები უკვე გადაეცა საბჭოთა ხელისუფლებას.**

საუბარი ამხ. პრეობრაჟენსკისთან

პარიზი. 16 მარტი. „ჟურნალ“-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის ექსპერტთა კომისიის თავმჯდომარემ პრეობრაჟენსკიმ განაცხადა, რომ მისი პარიზში ჩასვლის მიზანია საფრანგეთის პრეტენზიების განხილვა, რომლის შემდეგ ის წარმოადგენს ინტერვენციასთან დაკავშირებულ კონტრ-პრეტენზიებს. პრეობრაჟენსკიმ განაცხადა, რომ **საბჭოთა მთავრობას გულწრფელად სურს ისეთი შეთანხმების მიღწევა, რომელიც ხელსაყრელი იქნება როგორც საფრანგეთის, ისე საბჭოთა კავშირისათვის.**

დიდი გაფიცვა იტალიაში

იტალიის მუშათა კლასი შეტევაზე გადადის

ლომბარდიაში

რომი, 16 მარტი. „სტეფანის“ სააგენტო იუწყება, რომ მილანში მეწარმეების და გაფიცულ მელითონეების წარმომადგენლებს შორის მოხდა შეთანხმება. მაგრამ მელითონეების სოციალისტურმა პროფკავშირმა **გამოაქვეყნა მიმართვა, რომელშიაც მოუწოდებს მუშებს გაფიცვის გაგრძელებისაკენ.**

130,000 მუშა ლოკაუტს ქვეშ

სტოკჰოლმი, 16 მარტი. შეწყდა მოლაპარაკება ლითონის მრეწველობის მწარმოებლებსა და მუშებს შორის. **16 მარტს დაიწყო ლოკაუტი, რომელიც მიმართულია 130,000 მუშის წინააღმდეგ.** შვეციის კომპარტიამ წამოაყენა ლოზუნგად საყოველთაო გაფიცვა.

95 პროცენტი გაფიცულია.

რომი, 16 მარტი. მელითონეების გაფიცვა ფაშისტებმა შესწყვიტეს შემდეგ პირობებში. მომატება სიძვირისათვის დიდდება ერთი ლირით და ყოველ სამთვეში ხდება სამუშაო ხელფასის გადასინჯვა იმის მიხედვით, თუ რა ცვლილება მოხდა პირველი მოთხოვნილების საგნების ფასებში. დანარჩენში უცვლელად რჩება წინანდელი კოლექტიური ხელშეკრულება.

ფაშისტურმა მთავრობამ დიდი ზეგავლენა მოახდინა მწარმოებლებზე იმ მიზნით, რათა მოლაპარაკებიდან გამოერიცხა მელითონეების უნიტარული ფედერაცია ვინაიდან უკანასკნელის მონაწილეობა სცემდა ფაშისტურ პროფკავშირების პრესტიჟს და ქმნიდა გაფიცვის გაგრძელების საფრთხეს. მელითონეების ფედერაცია მოითხოვს გაფიცვის გაძლიერებას.

მიუხედავად ფაშისტების ყოველგვარი ღონისძიებებისა, მილანში სამუშაოს დაუბრუნდა გაფიცულ მუშების მხოლოდ 5 პროცენტი.

გაფიცვა გრძელდება.

რომი. 16 მარტი. რომის პრესის ზოგიერთი ორგანოები იტყობინებიან, თითქოს მელითონეების ფედერაციამ გადასწყვიტა უარი სთქვას გაფიცვის გაგრძელებაზე, **ნამდვილათ კი მან დილით გამოუშვა მოწოდება, რომელიც მოითხოვს გაფიცვის გაგრძელებას.**

პრესა იტყობინება, რომ **დღეს მილანის ლითონის წარმოებებში მუშაობა არ სწარმოებდა, რადგან სამუშაოზე გამოცხადდა მუშების უმნიშვნელო რიცხვი.** ყველა ფაშისტური გაზეთები ემუქრებიან მელითონეების ფედერაციას, რომ თუ ის არ შესწყვეტს ბრძოლას ეხლა როცა მწარმოებლები თანახმა არიან სიძვირისათვის მომატებაზე, მაშინ მთავრობა პოლიტიკურად ჩათვლის გაფიცვას. რადგან ფაშისტები არ ითმენენ პოლიტიკურ გაფიცვებს გაჯიუტებულ მუშების წინააღმდეგ ამუშავებული იქნება მთავრობის და ფაშისტური პოლიციის აპარატი.

მუშათა საერთაშორისო სოლიდარობა.

მოსკოვი 17 მარტი. პროფინტერნმა მისწერა ძმური სალამით ლომბარდიის გაფიცულ მელითონეებს და გაუგზავნა მათ 50.000 ლირა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის გასაგრძელებლად.

ამერიკის მუშები საბჭოთა კავშირს უჭერენ მხარს

ნიუ-იორკი, 16 მარტი. 15 მარტს ამერიკის მუშათა პარტიამ პარიზის კომუნის საპატივცემლოთ ნიუ-იორკში მოაწყო დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 10.000 კაცმა. გაიმართა მიტინგები, რომლებიც დიდის აღფრთოვანებით ჩატარდა. **ორატორები მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას.**

იმავე დღეს ჩიკაგოში სოციალისტური პარტიის ინიციატივით გაიმართა მიტინგი. მიტინგზე გამოვიდა მენშევიკი აბრამოვიჩი, **რომელსაც ენერგიული ობსტრუქცია გაუმართეს ხსმენელებმა. პოლიციის ჩარევამ გამოიწვია შეტაკება, რასაც შედეგათ მოჰყვა მრავალი მუშების დაჭრა.** პოლიციამ მასიური დაპატიმრება მოახდინა.

რამოდენიმე ათასმა კაცმა, რომლებმაც მიატოვეს მიტინგი, ქუჩებზე მოაწყვეს დემონსტრაცია საბჭოთა კავშირის საპატივცემლოთ, მაგრამ გარეკილი იქნენ პოლიციის მიერ.

სუნ-იატ-სენის გარდაცვალების გამო

სუნ-იატ-სენის ხსოვნის აღსანიშნავად

სხდომა კავშირთა სახლში

მოსკოვი. 17 მარტი. 16 მარტს კავშირთა სახლის დიდ დარბაზში გაიმართა სხდომა სუნ-იატ-სენის ხსოვნის აღსანიშნავად.

ამხ. რადეკის მოხსენება

მოხსენება გააკეთა ამხ. **რადეკმა,** რომელმაც აღნიშნა სუნ-იატ-სენის მნიშვნელობა განთავისუფლებისათვის მებრძოლ ჩინეთისათვის. „სუნ-იატ-სენი—სთქვა რადეკმა—მოხუცებულობის ჟამს ისწავლიდა რუსეთის რევოლიუციის გაკვეთილებს, რათა ეს გამოეყენებია ჩინეთის პირობებში. ჩვენ შეგვიძლია დაბეჯითებით ვსთქვათ, რომ **მიუხედავათ სუნ-იატ-სენის გარდაცვალებისა, ჩინეთის რევოლიუცია თავის პოზიციებს შეინარჩუნებს. „გომინდანის“ პარტია მჭიდროთ დაუკავშირდა ჩინეთის მუშურ-გლეხურ მასებს.** ამ კავშირით გომინდანის პარტია მტკიცეა. სუნ-იატ-სენის სიდიადე იმაში მდგომარეობს, რომ მან შესძლო რუსეთის რევოლიუციის გაგება და რუსეთის კომპარტიაში, კომინტერნში და საბჭოთა ხელისუფლებაში ის ხედავდა თავის ერთგულ მოკავშირეებს“.

მარსელ კაშენის სიტყვა

საფრანგეთის კომპარტიის სახელით გამოვიდა **მარსელ კაშენი,** რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდენ. ამხ. კაშენმა აღნიშნა, რომ მხოლოდ კომპარტია წარმოადგენს კოლონიალურ ქვეყნების მეგობარს; ყველა დანარჩენი პარტიები კი სოციალისტებითურთ, არიან განთავისუფლების გზაზე დამდგარ ჩინეთის მტრები.

ამხ. ჩენ-ჩი-სუმის სიტყვა

შემდეგ რევოლიუციონურ ჩინეთის წარმომადგენელმა ამხ. ჩენ-ჩი-სუმ მოუთხრო კრებას სუნ-იატ-სენის ბიოგრაფია თავის მოგონებების მიხედვით და დაახასიათა ის, როგორც ადამიანი, როგორც მებრძოლი და როგორც მასების წინამძღოლი.

ამხ. როის სიტყვა.

ინდოეთის კომპარტიის სახელით გამოვიდა ამხ. **როი,** რომელმაც განაცხადა, რომ სუნ-იატ-სენი ყველაზე მკაფიოდ გამოხატავდა მთელი აღმოსავლეთის ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას.

სუნ-იატ-სენმა პირველმა გაიგო, რომ აღმოსავლეთის ხალხთა განთავისუფლება არ შეიძლება მოხდეს დასავლეთის პროლეტარიატის დაუხმარებლად.

ამხ. გალახერის სიტყვა

ინგლისის კომპარტიის წარმომადგენელმა ამხ. **გალახერმა** აღნიშნა რუსეთის რევოლიუციის უდიდესი გავლენა ინდოეთსა და ჩინეთზე.

მიმართვა ჩინეთის მშრომელებისადმი

კრებამ მიიღო მიმართვა ჩინეთის მშრომელ მუშებისადმი. მიმართვაში მოსკოვის მუშები გამოსთქვამენ უდიდეს თანაგრძნობას ჩინეთის მშრომელ მასებისადმი სუნ-იატ-სენის გარდაცვალების გამო და აცხადებენ, რომ მუდამ ემახსოვრებათ ლენინის აღთქმა, რომელიც ასწავლიდა, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიალურ აღმოსავლეთში და დასავლეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატის მოძრაობა წარმოადგენენ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ერთი და იგივე ბრძოლის ორ სხვადასხვა ფორმას.

მიტინგი ლენინგრადში

ლენინგრადი. 17 მარტი. გაიმართა მიტინგი სუნ-იატ-სენის ხსოვნის აღსანიშნავად. ამხ. ურიცკის სახელობის სასახლის დარბაზი გაჭედილი იყო მუშებით, წითელარმიელებით და აღმოსავლეთის სხ. ხალხთა წარმომადგენლებით. სამძიმრის დეპეშა გაეგზავნა სუნ-იატ-სენის ოჯახს.

ოდესის ქალაქის აღმასკომის დეპეშა

ოდესა. 17 მარტი. ქალაქის საბჭოს პლენუმმა დაადგინა გაუგზავნოს გომინდანის პარტიის ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტს სამძიმრის დეპეშა სუნ-იატ-სენის გარდაცვალების გამო.

ორი „იხვი“

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

არის ერთი ჯიშის იხვი, რომელიც არც ხორცით, არც სულით არ წააგავს ჩვენს ნაცნობ ფრინველს; რომელიც თავის ცუდი რეპუტაციით სახელს უტეხავს სრულიად პატიოსან სეხნიას, შინაურ იხვს.

რუსულად ამ ფრთოსანს „გაზეტნაია უტკას“ ეძახიან. ვის ეგონა, რომ ოქტომბრის შემდეგ ის კიდევ გაიჭაჭანებდა ახალი პრესის ფურცლებზე. მაგრამ ეტყობა არც ისე ადვილათ ფიქრობს ეს ფრინველი უცხო მხარეს გადაფრენას.

აი პირველი მაგალითი. ნაშუადღევია. ქუჩებში ჩვეულებისამებრ თავბრუდამხვევი მოძრაობაა. ტრამვაის რახრახი, ავტომობილების ქლოშინი, ეტლების რაკა-რუკი და ადამიანთა ხმა ასრილია ერთმანეთში.

გვერდით გამირბინა საღამოს გაზეთების დამტარებელმა, რომელიც ცივი ხმით გაჰყვიროდა: „ცეცხლით მსუნთქავი ვულკანი აჭარაში“. ხალხი ბუზივით დაეხვია. ერთი ნომერი მეც გამოვართვი. ვკითხულობ როსტას ბათუმელ კორესპონდენტის სენსაციურ დეპეშას: „ხულოს მაზრაში ამოხეთქა ცეცხლისმსროლელმა ვულკანმა... თავზარდაცემული გლეხები ქალაქისაკენ გამორბიან... მიღებულია ზომები მათთვის დახმარების აღმოსაჩენად“...

მეორე დღეს ასეთივე ცნობა მოსკოვის ყველა გაზეთებმა გამოაქვეყნა. ქალაქში ყველა წყალთის გლეხებისაშინელებაზე ლაპარაკობდა. შევიყარეთ თავი რამდენიმე ბათუმლებმა. ჭირი ერთობაში უშიშარია. სურათის შთაბეჭდილება ერთი ათად იზრდებოდა. საიდან გადმოხეთქავს ცეცხლის ნამქერი ბათომისაკენ? კახაბერით, ანარიით, ერგეს მთით, თუ სალიბაურიდან?

ყოველი მხრიდან არაწკუნდა გეოლოგების კაბინეტში ტელეფონები. საბედნიეროდ, საქმის შინაარსი მეორე დღესვე გამოირკვა. წყალთის ვულკანი კორესპონდენტის ავადმყოფურ ფანტაზიის ნაყოფი გამოდგა.

მაგრამ ბათომისგან ეს საწყენიც არ არის. იხვი საზოგადოდ პროვინციის ფრინველია. საქმე ისაა, რომ არა ნაკლები იხვები სცოდნია სატახტო ქალაქსაც. აი მეორე მაგალითიც.

არასდროს არ მომხდარა, რომ მოსკოველ ობივატელს ყველიერში ბლინები და ნაზუქები მარხილზე არ მოენელებიოს. წელს კი ისე შეიშალა ამინდები, რომ მარტი დადგა და მთელ ქალაქში კაცი შუბლზე დასადებ თოვლს ვერ დააგროვებს. ხო და ორმა პატივცემულმა პროფესორმა, ბაევმა და ბოგოლეპოვმა, გადასწყვიტეს საჯარო ლექციის წაკითხვა ბუნების აღშფოთების შესახებ. მაგრამ მთავარი მათი ლექციის შესახებ გაკრულ აფიშებში იყო არა თემა, არამედ თეზისები: „ბუნების კატასტროფა. მიწის ძვრა. ვულკანის ამოხეთქა. ეპიდემიური ავადმყოფობანი. ამინდის ცვალებადობის კოსმიური მიზეზები და დედამიწის დაღუპვა“.

ერთი სიტყვით, სულო, ამოდი და წადი. იღუპება დედამიწა! კაცმა რომ სთქვა, არც ისე უნდა გაგვიკვირდეს ასეთი აღმოჩენა. თუ კი ერთ პროვინციელ კორესპონდენტმა შესძლო მთელი თემის დაღუპვა, რატომ ორ პროფესორს და ისიც სატახტო ქალაქის პროფესორებს არ უნდა ჰქონდეთ უფლება მთელი დედამიწის ხვალინდელ კატასტროფაზე წინასწარმეტყველობის. აქ დაცულია სრულიად ლოღიკური თანდათანობა.

მართალია პროფესორების ავტორიტეტული განცხადება არავისში ეჭვს არ ბადებდა, მაგრამ, სანამ თავის ყურით ლექციას არ მოისმენდა, წინდაწინ თავი ვერავინ გაიმეტა და თვალები არავინ წაითხარა

და მიაწყდა ლექციის დარბაზს მოსკოვის მთელი ობივატელობა. შეიქნა კარებთან ერთი ჯგლერთა და დავიდარაბა. წესიერების დასაცავად საჭირო გახდა ცხენოსანი და ქვეითი მილიცია... მაგრამ მალე გამოირკვა, რომ პლანეტა, რომელსაც სახელათ ჰქვია დედა-მიწა, ჯერ-ჯერობით არც კი არის დაღუპვის გუნებაზე. რომ ამ უბედურების დღემდი ჩვენს პლანეტას კიდევ ურიცხვი წლები დარჩენია. ხოლო პატივცემული პროფესორები, როცა თავის თეზისებს აქვეყნებდენ, ამ ვადის შესახებ ამირანივით გულში მღეროდენ. მოსკოვის ობივატელს კი თავისი დაემართა.

ასეთია მეორე იხვის ბიოგრაფია. ჩვენ ლინგვისტები არა ვართ და ვერ ვიკისრებთ სიტყვა „გაზეტნაია უტკას“ ახსნას. ოღონდ ერთი ცხადია,—დღეს ეს ფორმულა მოძველებულია. ჩვენს დროში იხვები პროფესორების მეცნიერულ კაბინეტსაც შეეჩვიენ. საჭიროა, რომ სახელი შინაარსს შეეხამებოდეს.

ესეც რომ არ იყვეს, რით დაიმსახურა საწყალმა ფრინველმა, რომ მისი სახელი ყველას ასე გააქვს და გამოაქვს. ქათამი ყველგან ქათამია, ბატი ყველგან ბატად იწოდება, ინდაურსაც არ აკლია ეს ბედნიერება. იხვი კი გორში იხვია, ხონში კვატი და რუსულ ენაში ცრუ კორესპონდენტის განსახიერება.

უბრალო სამართლიანობა ითხოვს, რომ დაუბრუნოთ იხვს მისი პატიოსანი სახელი, რომ ამოვშალოთ ჩვენს ლექსიკონიდან სიტყვა „გაზეტნაია უტკა“, მაგრამ ვინ დადგება იმის თავდებათ, რომ მეორეთ არ დაიღუპება დედა-მიწა, რომ მეორეთ არ ამოხეთქს წყალთის ვულკანი!

აკ. მუონია.

მოსკოვი, 7 მარტი.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის დელეგაცია საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად

ლონდონი. მარტის 17. ინგლისის დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც დანიშნულია საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად, შედიან: პერსელი, ხიკსი, ტილეტი, ხუელსი, ბრამლი და უოკერი.

ესპანეთის ჯარების ამაო ცდა

პარიზი. 16 მარტი. ტანჟერიდან ჰავასის სააგენტოს მიერ მიღებულ ცნობით ესპანეთის ჯარები ამაოდ სცდილობდენ უკან დაეხევინებინა აჯანყებულებისათვის ტეტუან—აინჯედიდის ხაზიდან.

ხმებია, თითქოს, აჯანყებულთა ბელადი აბდულ-კერიმი ემზადებოდეს აღმოსავლეთ მაროკოში შეტაკებისათვის.

გერმანია და ერთა ლიგა

პარიზი. 16 მარტი. ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის საკითხს პოლიტიკურ წრეებში თანდათან მეტის თანაგრძნობით ხვდებიან, მხოლოდ იმ პირობით, რომ გერმანია დაემორჩილოს საერთო წესებს და, კერძოდ, დასთანხმდეს პოლონეთის დაცვაშიდაც კი იმ შემთხვევაში, თუ მას „თავს დაესხა“ საბჭოთა საკავშირო რესპუბლიკის ჯარები.

ამიერ-კავკასიის შარა გზების შესაკეთებლად

მოსკოვი. 17 მარტი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ საჭიროდ სცნო მისცეს გზათა სახ. კომისარიატს დამატებითი კრედიტები ამიერ-კავკასიის შარა-გზების შესაკეთებლად და მათზე მუშაობის დასაწყებად. ამჟამად ამ კრედიტების ანგარიშში შრომისა და თავდაცვის საბჭომ ნება დართო მიეცეს გზათა სახ. კომისარიატს 100.000 მან.

გლეხების წამება პოლონეთის ოხრანკის აგენტების მიერ

კიევი. 17 მარტი. რემედასის საგუბერნიო განყოფილებამ მიიღო ცნობა ვლადავაში 30 უკრაინელი გლეხის საშინელი ცემის შესახებ. პოლონეთის ოხრანკა ვლადავაში ეძებდა კომუნისტურ ლიტერატურას და ლიტერატურის შენახვაში ეჭვი მიიტანა 30 უკრაინელ გლეხზე. ყოველი მათგანი სათითაოდ შეჰყავთ ბნელ ოთახში და იქ სცემდენ მათრახებით. შემდეგ მათ ტანზედ ახვევდენ სველ საბნებს, რომ დაეფარათ ნაცემის კვალი.

ერთ-ერთამა დაპატიმრებულმა გლეხმა მიშჩენკომ ველარ მოითმინა ტანჯვა-წამება და თავი მოიკლა.

დემონსტრაცია მინსკში

მინსკი. მარტის 17. პოლონეთის სეიმის დეპუტატ ლანცუცკის გასამართლების დაწყების გამო მინსკში შესდგა მრავალი ათასი მუშისა, მოსამსახურეებისა და მოსწავლეების საპროტესტო დემონსტრაცია.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატის კონფერენციის დეპეშა

პარიზი. 16 მარტი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის კომფრაქციამ პოლონეთის სეიმის კომფრაქციას გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: ამხანაგებო, ჩვენ სავსებით თანავუგრძნობთ თქვენს ნაბიჯებს ისე, როგორც ლანცუცკის მთელ მოღვაწეობას. პარლამენტის ჩვენი ფრაქცია შეუერთებს თავის ძალღონეს თქვენს ბრძოლას პოლონეთში არსებულ თეთრი ტერორის წინააღმდეგ... გრაბსკის მთავრობა ავიწროებს მუშებს, გლეხებს და ეროვნულ უმცირესობათ თავისი საზიზღარი თეთრი ტერორით... კომუნისტ დეპუტატების პარლამენტარული ხელშეუხებლობა მოსპობილია. მათ საშუალება არა აქვთ გაავრცელონ თავისი სიტყვები და ჩააბარონ ამრჩევლებს ანგარიში თავის მანდატებში... ჩვენ ვამხილებთ პოლონეთის კაპიტალისტებსა და ჯალათებს და ვიბრძოლებთ, რათა ავამხედროთ ყველა მშრომელი იმ სასიკვდილო განაჩენის წინააღმდეგ, რომელიც ლანცუცკის მოელის“.

პოლონეთის ამბები

ტუგუტი გადადგა

ვარშავა, 16 მარტი. პოლონეთის პრემიერის მოადგილემ ტუგუტმა შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ტუგუტმა განაცხადა, რომ მისი ცდა მოეწესრიგებია ურთიერთობა პოლონეთის აღმოსავლეთის საზღვრებზე, უშედეგოდ დამთავრდა. **ტუგუტის განცხადებით მდგომარეობა ოლქებში გაუარესდა.**

ტერორი პოლონეთის ბელორუსიაში

მინსკი, 17 მარტი. დასავლეთ ბელორუსიაში გლეხებს შორის ძლიერდება მოძრაობა ბელორუსიულ სკოლების გახსნის სასარგებლოდ. პოლონეთის ხელისუფლება ყოველმხრივ ხელს უშლის მათ გახსნას; ის ავიწროებს უკვე არსებულ სკოლებს, რომლებიც იხსნება გლეხების ხარჯზე. **სლონიმკის მაზრაში დაკეტილია თითქმის ყველა კერძო ბელორუსიული სკოლები. ვილენსკის მაზრაში დაპატიმრებულია დიდძალი მასწავლებლობა.** პოლონეთის ხელისუფლება ჯარიმების და დაპატიმრების გზით აიძულებს გლეხებს გაგზავნონ თავიანთი ბავშვები პოლონურ სკოლებში.

სოციალ-დემოკრატები სპეკულიანტების ხარჯზე

ბერლინი, 16 მარტი. გაირკვა, რომ ბარმატს ჰქონია შემდეგი ფინანსიური „კავშირი“ ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან და ჰოლანდიის პროფკავშირებთან.

1920 წელს ტრანსპორტის მუშების დიდი გაფიცვის დროს ბარმატმა ასესხა 50 გულდენი ჰოლანდიის ტრანსპორტის მუშების კავშირს (რომელიც შედიოდა ამსტერდამის პროფინტერნში). ამის შემდეგ კავშირმა ნება მისცა მას გადაეტანა სურსათი რურის ოლქის გაჭირვებულ მოსახლეობისათვის.

1923 წელს ბარმატმა იმავე ჰოლანდიის ტრანსპორტელთა კავშირის დახმარებით შეიტანა რურის ოლქში 100,000 კილო მარგარინი.

1919 წელს ბარმატმა ფინანსიური დახმარება აღმოუჩინა სოციალ-დემოკრატიული გაზეთის „ფორვერტს როტერდამე“-ს გამოცემას. შემდეგში ბარმატმა კიდევ 140.000 გულდენი ასესხა იმავე გაზეთის გამომცემლებს.

გარდა ფინანსიურ საქმეებისა, ბარმატს წმინდა პირადი მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა სოციალ-დემოკრატებთან. მაგალითად მას კარგი მეგობრობა ჰქონდა ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მდივანთან მარტისენთან. **ბარმატმა აჩუქა მეორე ინტერნაციონალს სახლი.** ის მრავალჯერ თავის ბინას უთმობდა სოციალ-დემოკრატებს კრებებისათვის.

ჰოლანდიის ბურჟუაზიული გაზეთები ეხებიან ბარმატის ფინანსიურ კომბინაციებს და აღნიშნავენ, რომ მარგარინი, რომელიც შეიტანა ბარმატმა რურში დამშეულ მოსახლეობისათვის, აღმოჩნდა ყველა სხ. ფირმების მიერ შეტანილ მარგარინზე უკეთესი. რაც შეეხება როტერდამის სოციალ-დემოკრატიულ ორგანოსათვის ფინანსების მიწოდებას, ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ უკანასკნელ ყრილობაზე აღნიშნა, რომ ეს ფული ბარმატმა შემოიტანა „ყოველგვარი პირობის გარეშე“ და მას „არავითარი გავლენა“ არ ჰქონია გაზეთის საქმის წარმოებაზე.

ინგლისელი ფაშისტების „გმირობა“

გარრი პოლიტის გატაცება

ლონდონი. 16 მარტი. შაბათს პროფკავშირთა მემარცხენე უმცირესობის ორგანიზაციის მდივანი გარრი პოლიტი მიემგზავრებოდა ლივერპულში კონფერენციაზე დასასწრებლად და დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად. სადგურ ეჯმალთან ვაგონს, რომელშიც ის იმყოფებოდა, მიუახლოვდა ოთხი უცნობი, რომლებიც გარეგნულად სამხედრო პირებს ჰგავნდენ. ისინი თავაზიანად მიესალმენ პოლიტს და სთხოვეს გამოსულიყო მიტინგზე ეჯგილში. პოლიტმა უარი სთქვა ვაგონიდან გამოსვლაზე. მაშინ უცნობები შევიდენ ვაგონის განყოფილებაში და მიუხედავად პოლიტის წინააღმდეგობისა, გამოაგდეს ის ბაქანზე, სადაც მას დახვდა კიდევ ოთხი სხვა უცნობი. პოლიტი შველას სთხოვდა მგზავრებს და რკინისგზელებს, მაგრამ მისი ხვეწნა უშედეგოდ რჩებოდა, რადგან თავდამსხმელებმა განაცხადეს, რომ ისინი საიდუმლო პოლიციის აგენტები არიან.

ხუთმა თავდამსხმელთაგანმა ჩასვეს პოლიტი ავტომობილში, რომელიც დაიძრა ჩრდილოეთ უელსის გზით. რამოდენიმე მანძილის გავლის შემდეგ, ავტომობილი გაჩერდა რომელიღაც სასტუმროსთან, რომელშიაც შეიყვანეს პოლიტი. უკანასკნელს უდიერათ ეპყრობოდენ. რამოდენიმე საათის შემდეგ პოლიტი ჩასვეს ლონდონში მიმავალ მატარებლის ვაგონში, რომელიც დაკეტეს გარედან.

საერთო აზრი ასეთია, რომ **პოლიტის გატაცება ინგლისელი ფაშისტების მოწყობილია.** პოლიტი აცხადებს, რომ მემარცხენე უმცირესობა ამ ვერაგობას უპასუხებს მასიური დემონსტრაციით 22 მარტს ლივერპულში, სადაც გამოვა თვითონ პოლიტიც.

კულიჯის მარცხი

სერიოზული კონფლიქტი.

ნიუ-იორკი, 16 მარტი. 14 მარტს კულიჯმა მოულოდნელად აცნობა პრესას, **რომ ის ანგარიშს არ გაუწევს სენატის გადაწყვეტილებას უორრენის ოქმის გამო და მისცემს უკანასკნელს თანამდებობას კონგრესის სესიის შეწყვეტის დროს.**

ასეთი უფლება აქვს პრეზიდენტს, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ პრეზიდენტს დაენიშნოს ასეთი წესით კანდიდატი, რომელიც წინასწარ უარყოფილ იყო სენატის მიერ. **მოსალოდნელია სერიოზული შეჯახება ბორასა და კულიჯს შორის.** კულიჯი აღშფოთებულია ბორას საქციელით. საქმე იმაშია, რომ მას გამოწვეული ჰყავდა ბორა თეთრ სახლში და სთხოვა მას მხარის დაჭერა, რაზედაც ბორამ უარი სთქვა. ხმებია, **რომ ბორამ მოაგონა კულიჯს, რომ უკანასკნელი საკმაო დახმარებას არ უწევდა მას საბჭოთა კავშირის ცნობის და სხვა საკითხებში.**

კულიჯს ებრძვიან.

ნიუ-იორკი, 16 მარტი, მიუხედავად კულიჯის მეორე გამოსვლისა და ძლიერი პოლიტიკური აგიტაციისა, **სენატმა 46 ხმის უმრავლესობით 39 წინააღმდეგ ხელახლა უარყო უორრენის დანიშვნა გენერალ-პროკურორის თანამდებობაზე.**

ამრიგათ, კულიჯის პრესტიჟი შესამჩნევად შეირყა.

კომუნისტ ლანცუცკის საქმე

„რემედასს“-ის მოწოდება

მოსკოვი. 17 მარტი. „რემედასს“-ის აღმასკომმა ამხ. ლანცუცკის საქმის გამო მიმართა მუშებს და გლეხებს მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია: „20 მარტს პოლონეთის მმართველ ბურჟუაზიულ-მემამულეთა ხროვის სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეს კომუნისტი—პოლონეთის სეიმის დეპუტატი ამხ. ლანცუცკი. ლანცუცკი არის პროლეტარი, რკინისგზელი პერემიშლიდან, პოლონეთის სოციალისტური პარტიის ძველი წევრი. 1921 წელს ლანცუცკი არჩეულ იქნა სეიმში დეპუტატად პოლონეთის სოციალისტური პარტიის სიით, შემდეგ სწყვეტს კავშირს ამ პარტიასთან და თავის თავს აცხადებს კომუნისტად, რჩება რა ერთადერთ კომუნისტ-დეპუტატად სეიმში. დეკემბერში ლანცუცკი დააპატიმრეს და გადასცეს სასამართლოს.

ლანცუცკის მიტინგზე გამოსვლისათვის ემუქრებიან სიკვდილით დასჯით. დეპუტატმა ლანცუცკიმ კომფრაქციასთან ერთად ღირსეულად დაიმსახურა მთელი მსოფლიოს მუშათა ფართო მასების სიყვარული. მთელმა საერთაშორისო მუშათა კლასმა თავისი ხმა უნდა აღიმაღლოს ლანცუცკის დასაცავად. ძირს ბურჟუაზიის სისხლიან სასამართლოს უსირცხვილო კომედია მუშა-დეპუტატის მიმართ.

პატიოსანი დამცველები არ გამოადგებათ

მოსკოვი. 17 მარტი. მოსკოვის ადვოკატურის პრეზიდიუმმა პოლონეთის მთავრობას გაუგზავნა დეპეშა ლანცუცკის პროცესზე დამცველების დაშვების შესახებ, რაზედაც მას უარი მოუვიდა.

წერილი სეიმის კონფერენციას და ამხ. ლანცუცკის.

პარიზი, 16 მარტი. პარიზის ქალაქის სამმართველოს და საფრანგეთის დეპუტატთა პალატის კომუნისტურმა ფრაქციებმა გაუგზავნეს პოლონეთის სეიმის კომფრაქციას და ლანცუცკის ციხეში დეპეშა. დეპეშაში ნათქვამია, რომ ისინი სავსებით უერთდებიან საფრანგეთის კომპარტიის ერთსულოვან გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ გაძლიერებული იქნეს ბრძოლა თეთრ ტერორთა პოლონეთში და კერძოთ, სასიკვდილო განაჩენის წინააღმდეგ, რომელიც მოელის ლანცუცკის. დეპეშაში ნათქვამია: „თუ პოლონეთის კაპიტალიზმი უკან არ დაიხევს უკანასკნელ ვერაგობისაგან, ჩვენ მას წინ აღუდგებით მთელი ჩვენი ენერგიით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მაშინ პარიზის პროლეტარიატი ისე შეხვდება პოლონეთის ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, რომლებიც გაბედავენ საფრანგეთის დედა-ქალაქში გამოჩენას, როგორც ეს მათ შეეფერება“.

გერმანიის „საგანგებო კომისიის“ პროცესი

ბერლინი. 16 მარტი. 16 მარტის სხდომაზე ჩვენება ჩამოართვეს—ბრალდებულის—მოწმეს სისხლის სამართლის პოლიციის კომისარს კოპპენგეფერს. მოწმე ცდილობდა აეწერა ვიურტემბერგის კომუნისტების „სისხლის მღვრელი მუშაობა“.

შემდეგ ჩვენება ჩამოართვეს ბერლინის პოლიციის კომისარს გელერს, რომელმაც განაცხადა, რომ სკობლევსკიმ პირველსავე დაკითხვის დროს სცნო თავი ასეთად და გადაჭრით უარჰყო, თითქოს ის იყოს გელმუტი, გორეკი და გენერალი ვოლფი.

როცა გელერი ლაპარაკობდა, რომ პოლიციამ საიდუმლო წყაროებიდან გაიგო, რომ ვინმე გორეკი ცხოვრობდა საბჭოთა კავშირის საელჩოში,—პროკურორი მივიდა თავმჯდომარესთან და რაღაც ჩასჩურჩულა მას ყურში. მაშინ ნიდნერმა წინადადება მისცა გელერს არ შეხებოდა ამ თემას, რადგან „სახელმწიფოს უშიშროების“ მოტივებით საკითხი საბჭოთა საელჩოს შესახებ განხილული იქნება დახურულ კრებაში.

დამცველი როზენფელდი ეკითხება მოწმეს, რომელი წყაროებიდან გაიგო პოლიციამ, რომ გორეკი, თითქოს, სცხოვრობდა საბჭოთა საელჩოში, მაგრამ გელერმა უარი სთქვა პასუხის გაცემაზე და განაცხადა, რომ ეს არის სამსახურის საიდუმლოება.

შტრეზემანის დეკლარაცია საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ

ბერლინი. 17 მარტი. ვოლფის სააგენტო იუწყება: შტრეზემანმა გააკეთა დეკლარაცია საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ: გერმანიის ინიციატივა ჯერ კიდევ დეკემბერში გამოჩნდა. გერმანია იდგა კელნის ზონის ევაკუაციის ფაქტის წინაშე. საფრანგეთი სცდილობდა გადაეწყვიტა საკითხი უშიშროების გარანტიების შესახებ რეინის ოლქზე განსაკუთრებულ თვირთის დადებით. რადგანაც შესაძლებელი იყო სამი სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულების დადება, რომელიც მიმართული იქნებოდა გერმანიის წინააღმდეგ, ამიტომ გერმანიის მთავრობამ ამჯობინა ინიციატივის აღება თავის ხელში და შეუერთდა კუნოს კაბინეტის წინადადებას საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ.

„გერმანია მზად არის—სთქვა შტრეზემანმა—დასდოს ყველა სახელმწიფოსთან ხელშეკრულებანი საქმეთა სამედიატორო გარჩევის შესახებ ისე, როგორც მან დასდო ასეთი ხელშეკრულებანი შვეიცარიასა და შვეციასთან“. ერთა ლიგაში შესვლის შესახებ შტრეზემანმა განაცხადა, რომ მიუხედავად გერმანიის საზოგადოებრივ აზრის წინააღმდეგობისა, გერმანიის მთავრობას ჰგონია, რომ გერმანიის ინტერესები ამჟამად უკეთ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ერთა ლიგაში.

ვინ არის სიმონსი

მოსკოვი. 18 მარტი. ბერლინიდან მიღებული ცნობების თანახმად, გერმანიის პრეზიდენტის მოადგილეთ პრეზიდენტის არჩევნების დამთავრებამდე რეიხსტაგის მიერ დანიშნულია საიმპერიო სასამართლოს თავმჯდომარე ვალტერ სიმონსი.

ვალტერ სიმონსი დაიბადა 1861 წელს. თავისი სახელმწიფო მოღვაწეობა მან დაიწყო მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობით ქალაქ ფელბერტში. შემდეგ ის დანიშნული იყო საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეთ კილში. 1911 წელს სიმონსი გადავიდა სამსახურში გარეშე საქმეთა სამინისტროში. შემდეგ ის იყო გერმანიის დელეგაციის გენერალურ მომხსენებლად საერთაშორისო კონფერენციაზე პრაგაში. 1914 წელს სიმონსი დანიშნული იქნა გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარეთ კონფერენციაზე, რომელიც იხილავდა საკითხს კუნძულ შპიც ბერგენის შესახებ.

1918 წელს სიმონსი დანიშნული იყო გერმანიის დელეგაციის წევრად ვერსალის კონფერენციაზე საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ. 1920 წლის ივნისიდან 1921 წ. მაისამდე მას ეჭირა გერმანიის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობა. 1922 წელს სიმონსი დაინიშნა დელბრიუკის მოადგილეთ ლეიპციგის საიმპერიო სასამართლოს პრეზიდენტის თანამდებობაზე.

კომინტერნში

საორგანიზაციო თათბირი

მოსკოვი. 17 მარტი. 15 მარტს კომინტერნის აღმასკომთან გაიხსნა თათბირი საორგანიზაციო საკითხებზე. თათბირს ესწრებიან კომინტერნის აღმასკომის წარმომადგენლები სხვა და სხვა ქვეყნების კომპარტიების წარმომადგენლებთან ერთად.

კომინტერნის აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **პიატნიცკიმ,** რომელმაც აღნიშნა, რომ მთავარ საკითხს წარმოადგენს კომპარტიების რეორგანიზაცია ფაბრიკა-ქარხნების უჯრედების საფუძვლებზე. კომინტერნის აღმასკომის ხაზი სავსებით სწორი აღმოჩნდა. საერთოდ კომინტერნის მეხუთე კონგრესის შემდეგ გადადგმულია დიდი ნაბიჯი საორგანიზაციო დარგში. ფაბრიკა-ქარხნების უჯრედებზე გადასვლამ გაამტკიცა პარტიული ორგანიზაციები და ხელი შეუწყო მათ აქტივობას. საორგანიზაციო მუშაობის რუსეთის გამოცდილება სავსებით მისაღები აღმოჩნდა საზღვარ-გარეთაც.

16 მარტის სხდომაზე გაკეთებული იქნა მოხსენება საფრანგეთის კომპარტიის რეორგანიზაციის შესახებ და აგრეთვე მოსმენილი იქნა მოხსენება გერმანიის კომპარტიის საორგანიზაციო მუშაობის შესახებ.

„ცენტროსოიუზის“ რწმუნებულთა ყრილობა

მოსკოვი, 17 მარტი. 16 მარტს მოსკოვში გაიხსნა „ცენტროსოიუზის“ რწმუნებულთა ყრილობა, რომელსაც ესწრება 600 კაცი.

ყრილობა გახსნა „ცენტროსოიუზის“ გამგეობის თავმჯდომარემ **ხინჩუკმა,** რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში მოკლეთ დაახასიათა სამომხმარებლო კოოპერაციის მიღწევები. ამ უკანასკნელმა არა მარტო თავი დააღწია 1923 წლის კრიზისს, არამედ განმტკიცდა კიდეც. ამ ჟამად ის აერთიანებს 7 მილიონ წევრს და ემსახურება 35 მილიონ მომხმარებელის ინტერესებს.

რ. კ. პ. ცეკას სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა **ანდრეევმა,** რომელმაც აღნიშნა, რომ პარტიის დირექტივების თანახმად, კოოპერაციამ გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს სოფლის და ქალაქის დაკავშირების საქმეში.

მთავრობის სახელით გამოვიდა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ცურიუპა, რომელმაც აღნიშნა, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის უახლოესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოსახლეობა ფართოთ ჩაბმული იქნეს კოოპერაციის მუშაობაში და შემცირებული იქნეს საქონლის ფასები.

კომინტერნის, ინგლისის კომპარტიის და ინგლისის რევოლიუციონური კოოპერაციის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ბრაუნმა, რომელმაც აღნიშნა, რომ კოოპერაციის აკვანი—დიდი ბრიტანეთი, სამწუხაროთ, მეტად ჩამორჩა საბჭოთა კოოპერაციას სოციალისტური მშენებლობის მხრივ; ბრაუნი ხაზს უსვამს იმას, რომ საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების მაგალითი გამოძახილს პოულობს ინგლისის კოოპერაციის რიგებში. უკანასკნელი დროის განმავლობაში იქ ფეხს იკიდებს ოპოზიციონური განწყობილება და თანდათან იზრდება კომუნისტური ტენდენციები. შორს არ არის ის დრო, როდესაც დიდი ბრიტანეთის კოოპერაცია საბჭოთა კოოპერაციის დროშით და მასთან ერთად წავა საერთო დიდი მიზნისკენ—სოციალიზმის სამეფოსკენ.

შემდეგ ყრილობას სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს სახელით მიესალმა **დოგადოვი.**

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის სახელით გამოვიდა **კუიბიშევი,** რომელმაც აღნიშნა, რომ მთავრობის დამოკიდებულება კოოპერაციისადმი სავსებით გამოიხატა ცაკის უკანასკნელი სესიის მუშაობაში: როდესაც გამოირკვა, რომ ცაკის განკარგულებაში არის 25 მილ. თავისუფალი საბიუჯეტო, გადაწყვეტილ იქნა ამ თანხის ერთი მესამედი მიეცეს სამომხმარებლო კოოპერაციას სავაჭრო კაპიტალის გასადიდებლად. შემდეგ, მთავრობამ ინსტრუქციები მისცა სახელმწიფო მრეწველობას შეამსუბუქოს კოოპერაციასთან ანგარიშის გასწორების პირობები. კუიბიშევი ურჩევს ყრილობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ზედდართული ხარჯების შემცირებას, უამისოდ შეუძლებელია ფასების შემცირება და შრომის ნაყოფიერების გადიდება, მაშასადამე, შეუძლებელია საერთო, სახალხო კეთილდღეობის გადიდება.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს—პროფინტერნის და ბრიტანეთის პროფკავშირების მემარცხენე ფრთის სახელით—გედისმა, „რემედასის“ სახელით—ლეპეშინსკიმ და კლარა ცეტკინმა, გლეხთა ინტერნაციონალის და კომინტერნის კოოპერატიული სექციის სახელით—მეშჩერიაკოვმა.

ბაქოს ბაზრობა

ბაქო. 16 მარტი. 12 მარტს შესდგა ბაქოს ბაზრობის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც პირველია ამ წელიწადში. სხდომას დაესწრნენ სპარსეთის ვაჭრობის წარმომადგენლები. სხდომას დაესწრო აგრეთვე სპარსეთის კონსული აზერბეიჯანში.

ბაზრობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ილუშკინმა აღნიშნა, რომ ბაქოს ბაზრობის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ომიანობის და რევოლიუციის წლებში შეწყვეტილი სავაჭრო კავშირის აღდგენა სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, რომელთაც აქვთ საერთო ეკონომიური ინტერესები. შემუშავებულ იქნება ორივე მხრისათვის ხელსაყრელი სავაჭრო პირობები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სავარეო ვაჭრობას სპარსეთთან. ბაზრობის გამარჯვება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ფართოთ მიიღებენ მონაწილეობას მომავალ ვაჭრობაში სპარსეთის ვაჭრები, რადგან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ორგანოების მონაწილეობა წელს გაცილებით უფრო მეტი იქნება, ვიდრე შარშან (100 პროცენტი).

ბაქოს ბაზრობის კომიტეტის სხდომა.

ბაქო. 16 მარტი. 16 მარტს აზერბეიჯანის შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ბუკრეევის თავმჯდომარეობით შესდგა ბაზრობის კომიტეტის ორგანიზაციული სხდომა.

დამტკიცებულია ხარჯთ-აღრიცხვა, შედგენილია მოსამზადებელი მუშაობის გეგმა. გადაწყვეტილია შემცირებული იქნეს საბაზრო გადასახადი შარშანდელთან შედარებით.

ხუთშაბათს, მარტის 19, საღამოს 7 საათზე შესდგება

საქ. ცაკ-ის პრეზიდიუმის სხდომა

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატებისათვის სავალდებულოა.

საქ. ცაკის მდივანი ს. თოდრია.

1925 წლის 5 აპრილს შესდგება

საქართველოს

მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების

მესამე ყრილობა

დღის წესრიგი:

1. ს. ს. ს. რ. მთავრობის მოხსენება.
2. მიწათმოქმედების სახკომისარიატის მოხსენება.
3. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება.
4. მოხსენება ტერიტორიალურ ნაწილების შესახებ.
5. მოხსენება საბჭოთა ქვედა აპარატების შესახებ.
6. განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება.

საქ. ცაკის მდივანი სილ. თოდრია

დღევანდელ ნომერთან ერთად „კომუნისტის“ ხელისმომწერლებს ურიგდება

■■■■ უფასო დამატებები ■■■■

„მეცნიერება და ტეხნიკა“ № 5

შინაარსი: მეთაური—საინჟენერო-ტეხნიკურ მუშაკების ყრილობის გამო; **პროფ. ივ. ბერიტაშვილი**—ფიზიკური მუშაობის ქიმიური საფუძველი; **ს. მაკალათია**—ცეცხლის გაჩენ პირველყოფილ ჩხირიდან-ელექტრონამდე; **გ. გ.**—რა შენიშნეს მარსზე; **დ. გ.**—საუბარი რადიოს შესახებ; **მ. ე.**—საინჟენერო-ტეხნიკურ მუშაკების ყრილობა; **კონსტანტინე ბურდილაძე**—გალილეო გალილეი; მეცნიერებისა და ტეხნიკის ქრონიკა; რადიო—ქრონიკა.

……

„ჩირაღდანი“ № 5

შინაარსი: ნიკო ასლამაზაშვილი—პარიზის კომუნა; **ვ. ნაროუშვილი**—პარიზის კომუნა (ლექსი); **ლელი**—კომუნარების პარიზში; **ვ. პლეტნევი**—ფლენგო (დრამატიული ეპიზოდი 2 მოქმედებათ), თარგმანი ვ. კუბელის; **შ. ნავთლუღელი**—ღამე თბილისში; **კ. ფეოდოსაშვილი**—პარიზის კომუნა (ლექსი); **ე. პოლუმორდვინოვი**—ბარიკადებზე; **ვ. მალაქიაშვილი**—ზღვის პირად (მოთხრობა) **გ. ქუჩიშვილი**—კომუნარ პოეტს (ლექსი); ხელოვნების ქრონიკა.

„მეცნიერება და ტეხნიკა“-ს № 5-ის ნაწილი დაიბეჭდა და თარიღით—ოთხშაბათი, 18 თებერვალი, უნდა იყოს: **ოთხშაბათი, 18 მარტი.**

ინტერესი საბჭოთა კავშირის შაქრისადმი

ბაქო. 18 მარტი. სპარსეთის სავაჭრო წრეები, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ ბაქოს ბაზრობის კომიტეტთან, დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირის შაქრისადმი.

ბაზრობის კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე სპარსეთის ვაჭრებმა სურვილი გამოსთქვეს, რათა შაქრის განაწილების დროს ბაზრობის კომიტეტი ხელმძღვანელობდენ იმ საქონლის რაოდენობით, რომელიც ჩამოტანილი იქნება სპარსეთის ვაჭრების მიერ ბაზრობაზე.

მანუფაქტურა ბაქოს ბაზრობისათვის.

ბაქო. 16 მარტი. ბაზრობის კომიტეტმა მიიღო ცნობა, რომ საფეიქრო სინდიკატს წინადადება მიეცა გაგზავნოს ბაზრობაზე, გარდა იმ 25 ვაგონ მანუფაქტურისა, რომელიც იგზავნება გეგმის მიხედვით, კიდევ 50 ვაგონი ბამბის ქსოვილები, მათ რიცხვში 10 ვაგონი სპეციალურად სპარსეთის ასორტიმენტისა.

„ურალმეტ“-ი ბაქოს ბაზრობაზე.

ბაქო. 16 მარტი. „ურალმეტ“ იტყობინება, რომ ის მონაწილეობას მიიღებს ბაზრობაში 1 მილ. მანეთის თანხით.

პარტიული ცხოვრება

ბრძოლა ფუფუნების წინააღმდეგ

ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიისაგან

პარტიის ყველა წევრებსა და კანდიდატებს

უკანასკნელი თვეების განმავლობაში გახშირდა შემთხვევები, როდესაც პარტიის წევრები არღვევენ რ. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ცირკულიარს ფუფუნების შესახებ.

ეს დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ პარტიის წევრები უსარგებლოთ და ზედმეტათ იყენებენ მიმოსვლის საშუალებებს: ავტომობილებს, მოტოციკლეტებს და ფაიტონებს სამსახურის საჭიროებათა გარეშე. ჩვეულებათ გახდა სხვაგან მიმავალ ამხანაგების გაცილება სადგურზე და შეხვედრა ჩამოსვლის დროს; ეს ჩვეულება სრულებით არ შეეფერება კომუნისტურ ეთიკას. ამ ჩვეულებას უეჭველად თავი უნდა დააღწიონ ამხანაგებმა, რითაც საგრძნობი თანხები დარჩება სახელმწიფოს სალაროში; ეს თანხები კი ეხლა უნაყოფოთ იხარჯება იმ ავტომობილებზე, რომლებიც საათობით ტყუილა დგანან, ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი აბანოებთან და მრავალ სხვა ადგილას.

გაჩნდა მეორე ცუდი ჩვეულებაც: მრავალი დაწესებულებები თანამშრომლების მივლინების დროს მათ თანხებს აძლევენ საერთაშორისო და ხანდახან ცალკე ვაგონებში მგზავრობისათვის.

ეს ჩვეულებები მეტათ ძვირათ უჯდება მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს და ისინი სახელს უტეხენ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას მშრომელების თვალში.

დროა მათ ბოლო მოეღოს.

ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისია და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია აცხადებენ, რომ ამხანაგები, რომლებიც მომავალში დაარღვევენ რ. კ. პ. (ბ) ცეკას ცირკულიარს ფუფუნების შესახებ, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში და მათი საქციელი გამოქვეყნებული იქნება პრესაში.

ა/კ. ს. ს. კ. თავმჯდომარე **ნაზარეტიანი.**

ს. კ. პ. ც. ს. კ. თავმჯდომარე **ა. დოლიძე.**

ახალი საზოგადოებრიობისათვის № 11

მიმავალი და მომავალი კულტურა.

თანამედროვე გარდამავალ ხანაში კულტურის საკითხი ერთი უმთავრესი საკითხთაგანია. მუშათა კლასი, რომელსაც მოეპოვება ძალაუფლება, მიიმართება იქითკენ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობა ახალ ჩარჩოებში მოამწყვდიოს და მით ახალი სოციალისტური კულტურისათვის ნიადაგი მოამზადოს. ხოლო ეს კი ხანგრძლივი მუშაობის საქმეა.

ამხ. ტროცკი ორი წლის უკან სწერდა,—რამდენად ადვილი იყო რუსეთის პროლეტარიატისათვის რევოლიუციონური გადატრიალების მოხდენა, მით უფრო ძნელი აღმოჩნდა სოციალისტური აღმშენებლობა. ეს არც გასაკვირი იქნება, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ცალ-ცალკე თვითეული მათგანის ბუნებას.

რუსეთის პროლეტარიატი, ევროპის პროლეტარიატთან შედარებით კულტურულად ღარიბი და ჩამორჩენილია. ამ მოვლენას თან ახლავს თავისი დადებითი მხარე, რამაც გადამჭრელი გავლენა იქონია ოქტომბრის რევოლიუციაზე. ჩვენი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი არ იყო ბურჟუაზიული კულტურით აღჭურვილი, მისი ტრადიციებით დასნეულებული, რაიც კლასობრივ ბრძოლის სიმწვავეს ანელებს და გადამჭრელ რევოლიუციონურ მომენტში პროლეტარიატს ხელფეხს უბორკავს. ამიტომ ევროპის პროლეტარიატი, რომელიც უფრო მეტად დამძიმებულია ბურჟუაზიული კულტურით, ერთგვარ სიხანტეს იჩენს რევოლიუციონურ ბრძოლაში, ჩვენმა მუშათა კლასმა კი ადვილად დაამსხვრია ძველი წყობილება. ჩვენს მუშათა კლასს პოლიტიკაში გამბედაობა, გადამჭრელი და პირდაპირი გზის ქონება ახასიათებდა. აქ ის არავის არაფერს უთმობდა და მოქმედებდა საკუთარი ინტერესების მიხედვით.

სულ სხვაა ახალი საზოგადოებრივი წყობილების დამყარება, ახალი ყოფა-ცხოვრების შექმნა. ყოფა-ცხოვრებაში დალექილია მრავალ საუკუნეთა ტრადიციები, ჩვეულებანი, საზოგადოების მრავალ მოდგმათა ნაფიქრი და ნააზრევი. ამდენად მას ძლიერი კონსერვატიზმი ახასიათებს და მისი ეკონომიური საფუძვლის დარღვევის შემდეგაც კიდევ დიდხანს განაგრძობს არსებობას. ჩვენს პროლეტარიატშიც დარჩენილია ძველი ყოფა-ცხოვრების თვისებები.

ამგვარად ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნა გაცილებით უფრო ძნელია, რადგან თვით ჩვენც ხშირად დასნეულებული ვართ ძველი კულტურით. ჩვენი მუშათა კლასი კიდეც სწავლობს და კიდეც აშენებს. ასეთ მდგომარეობაში შეცდომები, ცხადია, ბევრჯერ იქნება, მაგრამ შეცდომა ხომ ყოველი საქმიანობის თანამგზავრია.

გარდამავალ ხანამ, რომელშიაც ჩვენ ეხლა ვიმყოფებით, ნიადაგი უნდა მოუმზადოს არა მარტო ახალ ეკონომიკას, არამედ ახალ ყოფა-ცხოვრების დამყარებასაც.

გარდამავალი ხანა მიმავალი და მომავალი კულტურის ჭიდილის ასპარეზია.

ჩვენს სინამდვილეში დღეს ორგვარი საზოგადოებრივობა არსებობს. ერთში თავმოყრილია წარსულის ნაშთები, ხოლო მეორე მომავლის ჩანასახებს შეიცავს. პირველის ბედი ისტორიულად განწირულია, მეორე კი ეხლა იწყებს აღორძინებას და განვითარებას.

ოქტომბრის რევოლიუციით დამყარებული ახალი ეკონომიური ურთიერთობანი საწინდარია ახალი კომუნისტური კულტურის გაძლიერების და განმტკიცების.

აი ამ შემთხვევაში ჩვენ მიზანს შეადგენს პროლეტარული კულტურის საშუალებით იდეოლოგიურად დავიპყროთ არა მარტო მშრომელი მასები, არამედ საზოგადოების ყველა ფენები.

ა. ქ.

არსენალის რაიონის კომუჯრედი

უჯრედი მოწყობილია საქართველოს ს. მ. უ. ს. „ცენტროტრამოტში“. სულ იქ მსახურობს 117 მუშა-მოსამსახურე. „ცენტროტრამოტი“ შესდგება 4 განყოფილებისაგან: „ობოზი“, გარაჟი, საბაჟო განყოფილება და ექსპედიცია. ყველა განყოფილებებს ხელმძღვანელობს სამმართველო. „ცენტროტრამოტი“ 90 პროც. სატრანსპორტო ორგანიზაციაა და 10 პროც.—საწარმოო.

უჯრედის შემადგენლობა.

უჯრედში ითვლება 36 წევრი და 21 კანდიდატი. 1924 წლის ნოემბრიდან 1925 წლის თებერვლამდი პარტიის ნამდვილ წევრებათ გადაყვანილი იყო ახლათ მიღებულთა 90 პროც.; ამჟამათ კანდიდატებათ ითვლებიან ის ამხანაგები, რომლებიც მიღებული იყვნენ კომპარტიაში 1924 წ. სექტემბრიდან და ინტელიგენტები, რომლებსაც არ გაუვლიათ საკანდიდატო სტაჟი. უჯრედის შემადგენლობის უმრავლესობა მუშურია.

უჯრედის და ბიუროს მუშაობა.

ბიუროში შედის 7 ამხანაგი, რომელთაგან ხუთი წევრია და ორი კანდიდატი. როგორც ბიურო, ისე უჯრედი მუშაობენ წინასწარ შემუშავებულ გეგმის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს როგორც უჯრედი, ისე რაიკომი. თებერვალში გაიმართა 4 სხდომა, რომლებზედაც სამჯერ დასმული იყო საკითხი წარმოების შესახებ, რაც ამტკიცებს უჯრედის დაინტერესებას წარმოებით. უჯრედის უკანასკნელ სხდომაზე გამოყოფილი იქნა აგიტ-პროპი. თვეში ერთხელ იმართება კომუჯრედის და ა. ლ. კ. კ. უჯრედის შეერთებული სხდომა. იშვიათი გამონაკლისის გარდა, უჯრედის სხდომებს საჯარო ხასიათი აქვს; ღია კრებებს მრავლათ ესწრებიან უპარტიო მუშები.

უჯრედის წევრების 90 პროც. მეცადინეობს რაიკომის სკოლებში. რიგრიგობით უჯრედის ყველა წევრებს ევალებათ მოხსენებების და პოლიტიკური მიმოხილვის წაკითხვა, რომლებსაც ისინი ადგენენ აგიტპროპის და მომზადებული ამხანაგების ხელმძღვანელობით.

დამოკიდებულება ა. ლ. კ. კ. უჯრედთან.

„ცენტროტრამოტში“ მუშაობს აგრეთვე ა. ლ. კ. კ. უჯრედი, რომელთანაც ცოცხალი ურთიერთობა აქვს კომუჯრედს. თვეში ერთხელ იმართება შეერთებული სხდომა. „ცენტროტრამოტის“ ყველა ორგანიზაციებში არჩეული არიან კომკავშირის წარმომადგენლები.

როტინოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიზის კომუნის დღე

დავეხმაროთ მსოფლიო რევოლუციისათვის მებრძოლთ

საქართველოს მუშებს, გლეხებს, წითელარმიელებს და ყველა მშრომელთ!

პარიზის კომუნის 54 წლის თავს, როგორც საბჭოთა დიდი კავშირის გამარჯვებული პროლეტარიატი, ისე მთელი მსოფლიოს მშრომელთა მილიონიანი რიგები ვატარებთ საერთაშორისო რევოლუციის მებრძოლთა დახმარების—ბურჟუაზიის თეთრი ტერორის მიერ ციხეში მომწყვდეულ, მუშათა კლასის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლების დახმარების ლოზუნგით.

ეს დიდი ლოზუნგის პარიზის კომუნის დღესთან დაკავშირებას არა აქვს შემთხვევითი ხასიათი. ის არის მეტად ღრმა და ისტორიული მნიშვნელობის მატარებელი.

54 წლის წინათ, 1871 წელს 18 მარტს პარიზის პროლეტარიატმა ხელთ ჩაიგდო ძალა-უფლება. დაამხო ბურჟუაზიული რესპუბლიკა და შექმნა მსოფლიოში მანამ არ ნახული მუშათა ხელისუფლება—დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა. მაგრამ ეს გამარჯვება დიდ ხანს არ გაგრძელებულა. ბურჟუაზიამ მალე [illegible] სისხლის მორევში ჩაახრჩო პარიზის კომუნა.

1871 წლის კომუნის დამარცხების დღეებში 30.000-ზე მეტი მუშა დაიღუპა პარიზის ბარიკადებზე. ბურჟუაზია გაშმაგებით ებრძოდა აჯანყებულებს. უმოწყალოდ ხლეტდა მუშებს, ქალებს, არ ინდობდა მოხუცებულებს; ერთი სიტყვით ყველა იმათ, ვინც კი მონაწილეობა მიიღო პროლეტარიატის განმანთავისუფლებელ ბრძოლაში.

დამარცხდა პირველი დიდი ცდა შრომის განთავისუფლებისა. მსოფლიო მუშათა კლასის პირველი განმანთავისუფლებელი მოძრაობა პირსისხლიანმა ბურჟუაზიამ შეანელა დროებით.

თითქოს მოკვდა ყოველგვარი იმედი. თითქოს ჩაქრა უდიდესი აღფრთოვანება ბრძოლისა და შეურიგებლობისა, მაგრამ შრომის განთავისუფლების უდიდესი იდეა, რომლის განხორციელებას შეეცადენ პარიზის კომუნარები, თანდათან ვითარდებოდა მსოფლიო პროლეტარიატის მტკიცედ დარაზმულ მასებში.

საერთაშორისო პროლეტარიატის ათეულ და ასეულ მილიონიან რიგებში კვლავ ფეხს იკიდებდა ახალი ბრძოლის აუცილებლობის შეგნება. საერთაშორისო მუშათა კლასი ისევ შეუდგა ახალი ბრძოლის სამზადისს და ერთიანი ფრონტის შექმნას კაპიტალიზმის საშინელი რეჟიმის დასამხობად.

ვინ მოსთვლის რამდენი მილიონი მუშის სისხლი დაიღვარა პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ. ვინ იცის დღესაც რამდენი სისხლი იღვრება ბურჟუაზიის „სამოთხეში" და იმ კოლონიალურ ქვეყნების სივრცეებზე, რომელიც მოფენილია უთვალავი ფერადი მონებით.

გადაავლეთ თვალი ევროპის ბურჟუაზიის პოლიტიკას ახალშენებში (ინდოეთი, მექსიკა, ბრაზილია, ჩინეთი, ეგვიპტე, მაროკო და სხ.) და თქვენს თვალ წინ გადაიშლება საშინელი და საზიზღარი სურათი. აქ ბრძანებლობს ეგრედ წოდებული **ლინჩის კანონი**, რომლის საშუალებითაც ბურჟუაზია ლამობს თავისი „საქმეების" მოგვარება-მოწესრიგებას. სიჩუმისა და მყუდროების „მოყვარული" ბურჟუაზია ზარბაზნებით, ტანკებით, კრეისერებით და დარიჟაბლებით ამყარებს „მშვიდობიანობას" ახალშენებში.

გადახედეთ ინდოეთის ველებს, აფრიკის უდაბნოებს, ევროპისა და ამერიკის „განათლებულ" და უზარმაზარ ქალაქების ქუჩებს, სოფლებს, მთის ორწოხებს... ყველგან გაისმის განწირულთა კვნესა-ვაება, რომელიც იწვევს საერთაშორისო პროლეტარიატს ახალი ბრძოლისაკენ.

ბურჟუაზია თავის არსებობის უკანასკნელ წუთების მოლოდინში გამხეცებულ ბრძოლას აწარმოებს მუშათა კლასის წინააღმდეგ. თეთრი ტერორი მძვინვარებს ყველგან, სადაც მეფობს კაპიტალი.

დღეს პარიზისა და მთელი დასავლეთ-ევროპის მშრომელი ხალხი სულს ღაფავს ბურჟუაზიის, თეთრი ტერორის საშინელ კლანჭებში.

პარიზი, სადაც 54 წლის წინეთ აფრიალდა წითელი დროშა, წარმოადგენს მსოფლიო რეაქციის ციხესიმაგრეს. ის არის მსოფლიო მტაცებელთა თავგასულობისა და აღვირახსნილობის მთავარი ცენტრი. პარიზი გახდა დასავლეთის კონტრრევოლუციის ბუდეთ, რომელსაც ხელში უჭირავს ბურჟუაზიის დრომოჭმული და ჟამგადასული შავი რეაქციის სადავე.

დღეს კაპიტალის ციხეებში: გერმანიაში, იტალიაში ინგლისში, ამერიკაში, საფრანგეთში, პოლონეთში, ჰუნგრეთში და სხვ. პატარა ბურჟუაზიულ ქვეყნებში, რომლებიც მოქცეულნი არიან დიდ სახელმწიფოთა „ძლევამოსილების" რკალში, განაგრძობენ თავიანთ „საგმირო საქმეს". იქ ისევ იტანჯება მუშათა კლასის ინტერესების მებრძოლთა საუკეთესო ძალები. მშრომელი ხალხი განიცდის სასტიკ დევნას: თეთრი ტერორისა და ბურჟუაზიული იუსტიციით შეშინებულნი ეფარებიან მთებს. მათ ოჯახებს კი ანადგურებს და აპარტახებს გაბოროტებული ბრბოების ველური ხროვა.

ევროპის სინამდვილეში აღარ თავდება „სისხლიანი კვირეები"-ს კარნავალი. ყოველ დღეს, საათს და წუთს მოაქვს ახალი საფრთხე, ახალი უბედურება როგორც ტყვე რევოლუციონერებისთვის, ისე მათი ოჯახებისათვისაც—რომლებიც უსახლკარონი, გაშლილ ცის ქვეშ ყრიან უმოწყალოდ. ბურჟუაზია არ ინდობს მათ. ის მზად არის ყოველ წუთს შურისძიების ცეცხლით წალეკოს ეს უთვალავი „შავი ხალხი", რომელიც იბრძვის არსებობისათვის და მოითხოვს ადამიანურ უფლებებს.

დასავლეთის პროლეტარიატის თვალწინ გაშლილია ცოცხალი და გულშემზარავი სურათები, რომელიც მას მოაგონებს პარიზის კომუნის დამარცხების მწარე დღეებს. ბურჟუაზია ისევ განაგრძობს თავის „საქმეს". ასეთია მისი „კანონიერება". ამას უკარნახებს მას „მშვიდობიანობის დაცვის ინტერესები და სახელმწიფოს მოღალატეთა"—მუშათა კლასის განადგურება, რომლის საშუალებითაც ის ლამობს თავისი არსებობის გახანგრძლივებას.

ევროპის სოციალ-დემოკრატია გვერდში უდგას ბურჟუაზიას, და ხელს უწყობს მას მუშათა მოძრაობის ჩაქრობაში.

მეორე ინტერნაციონალი, რომელიც ომამდე სიტყვიერ პროტესტებს აცხადებდა მუშათა კლასის ტანჯვის წინააღმდეგ, დღეს კაპიტალისტების ბანაკშია მოქცეული.

მეორე ინტერნაციონალი არა თუ ხმას იმაღლებს მუშათა კლასის დასაცავად—პირიქით, ეხმარება ბურჟუაზიას. ასეთია სინამდვილეში სოციალ-დემოკრატიისა და მისი ყვითელი ინტერნაციონალის „სამსახური" და ღვაწლი მუშათა კლასისადმი.

საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხებისათვის პარიზის კომუნის გაკვეთილებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

პარიზის კომუნარებმა მოგვცეს მუშათა სახელმწიფოს აშენების პირველი მაგალითები. მათ გვიჩვენეს, გვიანდერძეს რევოლუციონური ბრძოლის მეთოდები. ჩვენ გამოვიყენეთ მათი შეცდომებიც.

ტყვე რევოლუციონერების დახმარება—აი უდიდესი პატივისცემა და ხელთუქმნელი ძეგლი 1771 წლის პარიზის კომუნის დროს დაღუპულ გმირებისათვის.

საერთაშორისო რევოლუციისათვის მებრძოლთა დახმარების საქმე, რომელსაც დიდის ენერგიით ეწევა საქართველოსა და მთელი საბჭოთა დიდი კავშირის გამარჯვებული პროლეტარიატი და რევოლუციონური გლეხობა, არის ერთ-ერთი უტყუარი პირობა პარიზის კომუნარების მიერ დაწყებულ ბრძოლის ბრწყინვალედ დასაგვირგვინებლად.

ვეხმარებით და უმსუბუქებთ რა მძიმე ხვედრს ბურჟუაზიის საკნებში მომწყვდეულ რევოლუციონერებს, ჩვენ ამით ვეხმარებით არა მარტო მათ პირადათ, არამედ ამასთან ერთად ხელს უწყობთ საერთაშორისო რევოლუციის გამარჯვებას.

ჩვენი დახმარება არ არის ქველმოქმედება, ის არ არის მოწყალების გაღება პროლეტარიატისა და მათი უმწეოდ დარჩენილ ოჯახებისადმი ეს არის შესრულება იმ საქმისა, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ეტრფოდა მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხი.

ეს არის ერთგული სამსახური. რომელსაც თავისუფლებაში მყოფი უწევს მის მოძმე ტყვე-რევოლუციონერების ურიცხვ ლაშქარს, რომელსაც სტანჯავს ბურჟუაზიულ ქვეყნების ცოფ-მორეული თეთრი იუსტიცია.

ჩვენი დახმარება ათეულ და ასეულ ათასობით კაპიტალის ციხეებში გამომწყვდეულ ტყვე-რევოლუციონერებს გაამხნევებს, გაუორკეცებს მათ ბრძოლის წყურვილს, მაღლა ასწევს მათ რევოლუციონურ სულის სიმტკიცეს, რომ კვლავ შეუტიონ განახლებულის, ენერგიითა და ფოლადისებური ნებით კაპიტალიზმის ციხე-სიმაგრეს.

ჩვენი აქტიური თანაგრძნობით და დახმარებით ზურგგამაგრებულნი, უცხოეთის ამხანაგი უფრო მედგრად განაგრძობენ ბრძოლას ბურჟუაზიის საბოლოოდ გასანადგურებლად.

მსოფლიო რევოლუციისა და მუშათა კლასის მთლიანი ფრონტის გარეშე წარმოუდგენელია რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნება. ვეხმარებით რა რევოლუციისათვის მებრძოლთ—ჩვენ ამით ვაკეთებთ საერთო საქმე.

დღეს, პარიზის კომუნის 54 წლის თავზე ჩვენ გაუწოდოთ ძმური დახმარების ხელი კაპიტალის უთვალავ ტყვეებს, რომელნიც ბურჟუაზიის ციხეების ვიწრო ფანჯრებიდან შესცქერიან საბჭოთა დიდი კავშირის განთავისუფლებულ პროლეტარიატს. **დავეხმაროთ ბურჟუაზიის ტყვეებს.**

ჩვენ ამით დავამტკიცებთ, რომ ჩვენთვის ძვირფასია და დაუვიწყარი პარიზის კომუნარების გმირული ბრძოლის მოგონება.

დაუმტკიცოთ პარიზის კომუნარების ღირსეულ მემკვიდრეებს,—ტყვე-რევოლუციონერების ურიცხვ ლაშქარს, რომ ისინი მარტონი არ არიან ბრძოლის ქარცეცხლში, რომ ჩვენც მათთან ვართ.

შევსძახოთ ერთად რევოლუციონური სიმტკიცით:

ძირს მსოფლიო მტაცებელთა დიქტატურა.

ძირს თეთრი ტერორი და ბურჟუაზიის სისხლიანი იუსტიცია.

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნას.

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლუციისათვის მებრძოლ პროლეტარიატს და მის შტაბს—მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლუციისათვის მებრძოლთა დამხმარე ორგანიზაციას.

რემდას-ის საქართველოს ცენტრალური კომიტეტი.

ლენინი და პარიზის კომუნა

ლენინი არა ერთხელ უბრუნდებოდა პროლეტარული ბრძოლის ისტორიის წყაროებს, რომ ამ ბრძოლის გამოცდილების ნიადაგზე გამოეძებნა ისეთი გზა მუშათა კლასის გამარჯვებისათვის, რომელიც ნაკლებ მსხვერპლს და დანაკლისს გამოიწვევდა. სრულიად ბუნებრივია, რომ რევოლუციების ისტორიის საგანძურში ვლადიმერ ილიჩის ყურადღებას ყველაზე მეტად იპყრობდა გმირული ბრძოლა პარიზის მუშებისა, რომლებმაც 1871 წელში პირველად სცადეს პროლეტარული დიქტატურის განხორციელება.

დამახასიათებელია, რომ პარიზის კომუნის გამოცდილებას ლენინი უბრუნდებოდა რევოლუციონური ბრძოლის ყველაზე უფრო მწვავე პერიოდებში, როდესაც რევოლუციის ისრები 12 საათს უახლოვდებოდა და როდესაც ოპორტიუნისტებთან დავის მაგივრათ საჭირო იყო ცოცხალი რევოლუციონური საქმე.

1905 წლის ივლისში, როდესაც რევოლუციის გაძლიერებულმა ტალღამ მკაფიო ფორმები მიიღო და დაიწყო დავა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის მოახლოვებული რევოლუციის ხასიათისა და პროლეტარული პარტიის როლის შესახეზ ამ რევოლუციაში, ლენინმა „პროლეტარში" დაწერა წერილი: „პარიზის კომუნა და დემოკრატიული დიქტატურის ამოცანები", რომელშიაც ის „მუშათა კლასის და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის" ლოზუნგის სისწორეს ამტკიცებდა საფრანგეთის რევოლუციის (1871 წ.) გაკვეთილებით. ლენინი ებრძოდა მენშევიკურ პოლიტიკას რომელიც წინააღმდეგი იყო მომავალ დროებით მთავრობაში შესვლის. ის მოითხოვდა პარტიის მონაწილეობას რევოლუციაში—„შეძლების დაგვარათ **ხელმძღვანელ** მონაწილეობას რევოლუციაში,—იმ მომენტში, როდესაც ძალაუფლება მის ხელში იქნება"; ამასთანავე ლენინი „ისტორიულ საბუთებს კრეფდა პარიზის კომუნის ისტორიიდან" და იმ დასკვნამდი მიდიოდა, რომ ენგელსი მხოლოდ იმიტომ სთვლიდა კომუნას პროლეტარიატის დიქტატურათ, რომ მასში იდეურ-ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებდენ სოციალისტურათ მოაზროვნე მუშები. თავისი მონაწილეობით ისინი აიძულებდენ რევოლუციის წვრილ-ბურჟუაზიულ ხელმძღვანელებს პროლეტარული პოლიტიკა ეწარმოებიათ და დამდგარიყვენ „სოციალიზმის პროგრამა მინიმუმის" განხორციელების გზაზე.

ლენინი, რასაკვირველია, არ მალავს იმ შეცდომებსაც, რომლებიც დაუშვეს კომუნარებმა (გარკვეული პროგრამის უქონლობა, ბანკის დატოვება მოწინააღმდეგეთა ხელში, სამხედრო პასიურობა ვერსალის მიმართ და სხვა), მაგრამ კომუნის გამოცდილებიდან ლენინს გამოჰყავს ერთი დასკვნა: უარი კი არ უნდა ვსთქვათ მონაწილეობის მიღებაზე ქვეყნის ხელმძღვანელობაში, იმ შემთხვევაში, როდესაც რევოლუცია გამარჯვებულია, არამედ ყოველის მხრივ უნდა ვისწრაფოდეთ ამ მონაწილეობისაკენ. „სიტყვა „კომუნა" კი არ უნდა ვისესხოთ ჩვენ 1871 წლის დიდი მებრძოლებისაგან, პირდაპირ კი არ უნდა გავიმეოროთ მათი თვითეული ლოზუნგი, არამედ მკაფიოდ უნდა ჩამოვაყალიბოთ პროგრამული და პრაქტიკული ლოზუნგები, რომლებიც უნდა შეეფერებოდეს რუსეთის სინამდვილეს და რომლებიც ჩამოსხმული უნდა იქნეს შემდეგ ფორმულაში: პროლეტარიატის გლეხობის რევოლუციონური დემოკრატიული დიქტატურა",—ასეთი დასკვნა გამოჰყავ ლენინს პარიზის კომუნის ისტორიული მასალებიდან.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ლენინი ანალიზს უკეთებს მოვლენებს, აღნიშნავს ორი ხელისუფლების არსებობას ქვეყანაში და რუსეთის მუშათა დეპუტატების საბჭოებს ადარებს პარიზის კომუნას. „რამდენადაც საბჭოები არსებობენ,—სწერდა ის „პრავდა"-ში 1917 წლის აპრილში,—იმდენათ ისინი ძალაუფლების მატარებლები არიან, იმდენათ რუსეთში არსებობს პარიზის კომუნის ტიპის სახელმწიფო". ეს იყო ის პირველი ხელისუფლება, რომელიც არა მარტო აიძულებდა ბურჟუაზიულ დროებით მთავრობას რევოლუციონური რადიკალიზმის გზაზე დამდგარიყო, არამედ თვითონ დაბეჯითებით მიილტვოდა პროლეტარიატის დიქტატურისაკენ.

შემდეგ ლენინი ჩვენს რევოლუციას არა ერთხელ ადარებდა პარიზის კომუნარების ბრძოლას. ლენინმა დაწვრილებით შეისწავლა პარიზის შეცდომები, რომ ჩვენი ახალგაზრდა პროლეტარული ხელისუფლება გაეფრთხილებია მათი განმეორების შესაძლებლობისაგან. ძალა-უფლების დაპყრობის წინ 1917 წლის ოქტომბერში ლენინი განსაკუთრებული გულმოდგინეობით სწავლობდა პარიზის კომუნის ისტორიას და მის დიდ გამოცდილებას უფარდებდა ჩვენი რევოლუციის პირობებს.

ბროშიურაში „სახელმწიფო და რევოლუცია", რომელიც დაწერილია 1917 წლის აგვისტო-სექტემბერში, ლენინი ერთ დიდ თავს უძღვნის 1871 წლის ამბებს და კომუნარების პოლიტიკის ანალიზს. სრულიად ბუნებრივია, რომ სწორეთ პარიზის კომუნის გამოცდილების ნიადაგზე ლესავდა ილიჩი პროლეტარული დიქტატურისათვის ბრძოლის იარაღს, რადგან ის იყო ერთად ერთი „უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული გამოცდილება, დიდი ნაბიჯი წინ, რომელიც გადადგა საერთაშორისო პროლეტარულმა რევოლუციამ, უდიდესი პრაქტიკული ნაბიჯი, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ასეული პროგრამები და მსჯელობა".

ამ გამოცდილებიდან კრეფდა ილიჩი ძირითად საბუთებს ძალაუფლების დაპყრობის სასარგებლოდ და იმ ოპორტიუნისტული იდეის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვდა მშვიდობიანის გზით შეჭრას კაპიტალიზმში. ამ გამოცდილებამ ლენინი დაარწმუნა იმაში, რომ მუშათა კლასმა, როდესაც ის ხელში ჩაიგდებს ძალაუფლებას, უნდა დაამსხვრიოს ძველი სახელმწიფოებრივი მანქანა და უნდა შექმნას ახალი; თავისი აპარატი, თავისი არმია, თავისი სასამართლო, თავისი სკოლა და თავისი პრესა. ამ გამოცდილების ნიადაგზე ლენინი ერთხელ კიდევ დარწმუნდა იმაში, რომ „ხალხური" რევოლუცია, რომელზედაც ლაპარაკობდა კარლ-მარქსი, ეს არის რევოლუცია, რომელშიაც ჩაბმული უნდა იქნენ მუშებიც და გლეხებიც. პარიზის კომუნამ დაგვანახვა, თუ როგორ ტრაგიულათ შეიძლება დამთავრდეს გამარჯვებით დაწყებული რევოლუცია, თუ მუშათა კლასი, რომელმაც გაიმარჯვა პირველ ბრძოლებში, საბოლოოთ არ დაამარცხებს ბურჟუაზიას. კომუნის ტრაგიული დაღუპვა სხვა მიზეზებთან ერთად გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ პარიზის მუშებმა საბოლოოთ ვერ მოსპეს ბურჟუაზია, და ამ უკანასკნელმა შემდეგ შესძლო ყველა რეაქციონური ძალების დარაზმვა და კომუნარების სასტიკი დამარცხება. 1871 წლის რევოლუციამ დიდი ზიანი მიაყენა პარლამენტარიზმს, ლენინი ხაზს უსვამს იმას, რომ კომუნამ შექმნა ისეთი დაწესებულებები რომლებიც შეუძლებლათ ხდიდენ პარლამენტარული სიტყვების სიყალბეთ გადაქცევას, რადგან „პარლამენტარიებმა თვითონ უნდა იმუშავონ, თვითონ უნდა შეასრულონ თავისი კანონები, თვითონ უნდა ადევნონ თვალყური მათ გატარებას ცხოვრებაში, თვითონ უნდა იყონ პასუხისმგებელი ამომრჩევლების წინაშე". ეს—პროლეტარული დიქტატურის ის ფორმაა, რომელიც შემდეგ გაატარა ილიჩმა ჩვენს საბჭოებში.

შემდეგ მთელი ბროშიურის, მანძილზე ლენინი ამტკიცებს, რომ „1905 და 1917 წლის რევოლუციები რუსეთში, სხვაგვარ პირობებში, აგრძელებენ კომუნის საქმეს". ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვსთქვათ, რომ პროლეტარულმა რევოლუციამ რუსეთში, სხვა ხელსაყრელ პირობების გარდა, გაიმარჯვა იმიტომ, რომ მისმა გენიალურმა ბელადმა შეისწავლა 1871 წლის რევოლუციის ყველა საშიში ადგილები და შესძლო ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოს გემის ისე წაყვანა, რომ ყველა დაბრკოლებები ადვილათ გადალახული იქნა.

ხ. ი.

ლოზუნგები 18 მარტისათვის

მუშებო და მუშა ქალებო, 18 მარტს აღიმაღლეთ თქვენი საპროტესტო ხმა თეთრი ტერორის, ფაშისტურ სიმხეცის, ბურჟუაზიულ ჯალათების წინააღმდეგ.

30.000 კომუნარი დაიღუპა პარიზის კომუნის ბარიკადებზე 1871 წელს,—1925 წელს 100.000-ზე მეტი რევოლუციონერი, მუშა და გლეხი იტანჯება ბურჟუაზიის ციხეებში. მათი დახმარება შენს მოვალეობას შეადგენს.

რევოლუციონური მუშათა კლასი განაგრძობს პარიზის კომუნის საქმეს, მუშათა კლასის გამარჯვების საქმეს. დაეხმარეთ მებრძოლებს მთელს მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

18 მარტს დავგმოთ პირმოთნეობა და თვალთმაქცობა მე-2 ინტერნაციონალის მოღვაწეთა, რომელნიც ხელს უწყობენ თეთრი ტერორის რეჟიმს.

„რემდასის" რიგების განმტკიცება და კაპიტალისტურ ქვეყნების ციხეებში გამომწყვდეულთათვის დახმარების გაძლიერება—აი საუკეთესო გვირგვინი პარიზის კომუნარების საფლავზე.

კოლონიების ციხეებში ჩაყრილია მრავალი ათასი რევოლუციონერი, მუშები და გლეხები. 18 მარტს ნუ დაივიწყებ მათ და გაუწოდე მათ ძმური დახმარების ხელი.

„რემდასის" წევრები 18 მარტს ძმურ სალამს უგზავნიან ყველა ქვეყნების კაპიტალის ტყვეებს.

პარიზის კომუნის დღეს ნუ დავივიწყებთ მუშათა კლასის საქმისათვის დაპატიმრებულთ. ბურჟუაზიულ ციხეებს რკინის კარებში გაუწოდოთ ძმური დახმარების ხელი.

18 მარტს დავეკითხოთ ჩვენს თავს: რა გააკეთე შენ იმ მრავალ ათას დაპატიმრებულთა და მათ ოჯახების ხვედრის შესამსუბუქებლად, რომელნიც ჩაყრილნი არიან ბურჟუაზიის მიერ საშინელ ტანჯვა-წამებაში.

18 მარტს ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც სტანჯავს მსოფლიო პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლებს.

ამხანაგო მუშებო, 18 მარტს ერთხელ კიდევ დავამტკიცოთ ჩვენი საერთაშორისო კლასობრივი სოლიდარობა.

18 მარტს აღიმაღლეთ ხმა მუშათა საქმისათვის მებრძოლთა დახვრეტის წინააღმდეგ.

პიონერებო, მოიგონეთ, რომ 18 მარტს მრავალი ათასი ბავშვი აცილებდა თავის მშობლებს, რომელნიც მიდიოდენ კომუნისათვის საბრძოლველად. დაეხმარეთ კაპიტალის პატიმართა ბავშვებს.

ხორტი ბუდაპეშტში, ნოსკე ბერლინში, ფარული პოლიცია ვარშავაში განაგრძობენ ტიერის და გალიფეს საქმეს პარიზში კომუნის დროს.

ზიზღი და წყევლა-კრულვა მუშათა კლასის ჯალათებს, დახმარება დაპატიმრებულ მებრძოლებს და მათ ოჯახებს არის საუკეთესო გამოხატულება კლასთა სოლიდარობის.

გააძლიერეთ „რემდასი".

პარიზი', კომუნა

46 წლიწადი აშორებს ერთმანეთს ორ რევოლუციას (1871—1917), რომელსაც უნდა მიექცეს ყველას ყურადღება.

26 მარტს მოწყობილ პარიზის კომუნას თავის განკარგულებაში ჰყავდა შეიარაღებულ პარიზის მუშები და ნაციონალური გვარდია. 7 ნოემბერს პეტროგრადის საბჭომ აიყვანა თავის განკარგულებაში წითელი გვარდია და პეტროგრადის გარნიზონი. როგორც იქ, ისე აქ პროლეტარიატის მთელი ძალა მიმართული იყო ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

როგორც იქ, ისე აქ მშრომელი ხალხის მტრებმა აამოძრავეს სამხედრო ძალა რევოლუციის წინააღმდეგ—იქ ვერსალელები ნაპოლეონის გენერლების მეთაურობით, აქ დამკვირელი ბათალიონები და ყაზახთა ნაწილები მეფის გენერლების მეთაურობით.

ბევრი რამ საერთო ახასიათებს ამ ორ დიდ ისტორიულ მომენტს, მაგრამ შედეგი კი საწინააღმდეგოა. იქ რევოლუციის დამარცხება და პროლეტარიატის საუკეთესო შვილების განადგურება, აქ რევოლუციის გამარჯვება და მუშების და გლეხების განთავისუფლება მემამულეთა, ფაბრიკანტთა და მდიდართა უღლისაგან.

აღვნიშნოთ ზოგიერთი მიზეზები რამაც გამოიწვია პარიზის რევოლუციის დამარცხება.

სამხედრო პირებმა იციან, რომ თავდაცვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს შეტევაზე გადასვლა. კიდევ მეტი, მხოლოდ შეტევას შეუძლია მოგვცეს გამარჯვება როგორც ომში, ისე რევოლუციაში: კომუნას ბრძოლას სწორედ ეს საუკეთესო იარაღი აკლდა თავის არსენალში—ლტოლვა შეტევისაკენ. ნაციონალური გვარდია არ ყოფილა გამოყენებული ძველ სახელმწიფო დაწესებულებათა ხელში ჩასაგდებად, რათა განდევნით იქიდან ხალხის მოძალადენი და ხელში ჩაეგდოთ დაუშლელი სახელმწიფოებრივი აპარატი. ბოლოს, როდესაც საფრანგეთის ბურჟუაზიულ არმიის სამხედრო ხელმძღვანელები გაიქცნ ქალაქიდან დამარცხებული და დაშლილი პოლკების ნაშთებით, ნაციონალური გვარდია არ ყოფილა გამოყენებული ამ ნაწილების დასადევნებლად და მათი ტყვედ ჩასაგდე-

პარიზის კომუნა

დღეს, 18 მარტს, 54 წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც საფრანგეთის დედა-ქალაქში, პარიზში, აფრიალებულ იქნა პროლეტარული ბრძოლის დროშა და დამყარდა მშრომელთა ხელისუფლება, ისტორიაში **პარიზის კომუნად** წოდებული.

რა პირობებში მოხდა ეს?

საფრანგეთ-პრუსიის 1870—71 წ. წ. ომმა დააჩქარა საფრანგეთის იმპერიის დაცემა და რესპუბლიკის დაარსება.

საფრანგეთის ჯარების სასტიკმა დამარცხებამ გამოიწვია 1870 წ. 4 სექტემბრის რევოლუცია. 1870 წ. 3 სექტემბერს ნაპოლეონ მესამე თავისი ოთხმოცი ათასიან ჯარით ტყვედ დანებდა პრუსიის მხედრობას სედანში. ეს გარემოება ელვასებური სისწრაფით მოედო მთელ საფრანგეთს. სედანის დამარცხება გახდა პარიზის რევოლუციის დასაწყისად. 4 სექტემბერს აღშფოთებული ხალხი შეუვარდა დეპუტატთა პალატას და მოითხოვა ნაპოლეონის გადაყენება იმპერია დაეცა და გამოცხადდა რესპუბლიკა.

რევოლუციის მებაირახტრე იყვნენ მუშების უმრავლესობა და წვრილი ბურჟუაზია. მუშათა კლასს არ ჰყავდა შესაფერი ხელმძღვანელები. მართალია, მუშათა ინტერნაციონალი, რომელსაც მხოლოდ 6 წლის ისტორია ჰქონდა, მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა სექტემბრის რევოლუციაში, მაგრამ ის თავის სისუსტეს გრძნობდა და უშუალო სოციალურ რევოლუციის მოხდენას არ სცდილობდა; მას სურდა რევოლუცია გამოეყენებია მუშათა ორგანიზაციის გასამაგრებლად და სოციალური რევოლუციის მოსამზადებლად.

უმრავლესობა პარიზის მუშებისა ბლანკისტების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამ უკანასკნელთა ლოზუნგი იყო დაუყოვნებლივ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, რევოლუციონური კომუნის გამოცხადებაა დამპყრობელებთან ომის გაგრძელება ამ რიგად ძირითად კითხვებში სოციალისტებ შორის არ იყო მთლიანი აზრი და შეთანხმება.

შედეგად ასეთი სხვადასხვაობისა, მომენტისათვის მუშების მოუმზადებლობისა და შეუკავშირებლობისა, ძალა-უფლება ბურჟუაზიამ ჩაიგდო ხელში.

შედგენილ იქნა „ნაციონალური თავდაცვის მთავრობა", ზომიერი რესპუბლიკანელებისაგან. ეს უკანასკნელნი კი შეურიგებელი მტერი იყვნენ მუშებისა და სოციალიზმის.

პარიზის პროლეტარიატი მზად იყო სავსებით დახმარებოდა დროებითი მთავრობას, თუ ეს უკანასკნელი თავზე მიიღებდა ქვეყნის და ეროვნულ ინტერესების დაცვის საქმეს. მათ ამ შემთხვევაში შესძლეს მხოლოდ სახალხო გვარდიის ორგანიზაციის მოწყობა. ასეთი ტაქტიკა პარიზის პროლეტარიატისა, ცხადია, შემცდარი იყო. სანამ ბურჟუაზია ძალა-უფლების სათავეშია, პროლეტარიატს არ შეუძლია მიიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა ომის წარმოების საქმეში. ამ გარემოებას მათ ანგარიში არ გაუწიეს. კოალიციაში შემავალ ჯგუფებ შორის ორმო უფსკრული იყო გათხრილი.

ბურჟუაზიას შეიარაღებული მუშებისა უფრო ეშინოდა, ვიდრე პარიზის კარებზე მომდგარ პრუსიელებისა.

მან უკეთესად ჩასთვალა დაუყოვნებლივ ზავი ჩამოეგდო პრუსიასთან, თუნდაც იგი მეტად სამარცხვინო ყოფილიყო. ამ გარემოებით ის უფრო ჩქარა შესძლებდა პროლეტარიატის განიარაღებას და შინაური მტრების წინააღმდეგ ომს უკეთ ჩაატარებდა.

მალე პრუსიის ჯარი შემოერტყა პარიზს. საფრანგეთის სამხედრო ხელმძღვანელებს არაფერი არ გაუკეთებიათ ქვეყნის დაცვის საქმეში. მათ არ სწამდათ ქვეყნის თავდაცვის შესაძლებლობა და არც სცდილობდენ ამას; თუ ხანდისხან ღებულობდენ რაიმე ზომებს, მხოლოდ იმისთვის, რომ მოეწყოთ „ცოტაოდენი სისხლის გამოშვება", როგორც ამას აღიარებდა საფრანგეთის ერთ-ერთი გენერალი. ამით მათ უნდოდათ მოემზადებიათ მცხოვრებლებში ნიადაგი ქალაქის მტერზე გადაცემისათვის.

მიუხედავად სამხედრო დაზარალებისა და სიმშილობისა, მუშები მხნედ იყვნენ. ეხლა მათ იმედი გაუცრუვდათ ხალხის მოღალატე მთავრობაზე და მოითხოვდნენ საყოველთაო საარჩევნო წესით ქალაქის საბჭოს ან კომუნის არჩევას, მასზე ძალა-უფლების და პარიზის დაცვის ხელმძღვანელობის გადაცემას.

მიუხედავად ამისა, 28 იანვარს მთავრობის რწმუნებულმა ტიერმა ჩააბარა პარიზი პრუსიელებს და ჩამოაგდო დროებითი ზავი შემდეგ საფუძვლებზე.

ა) პრუსიელებისათვის პარიზის სიმაგრეთა ნაწილის გადაცემა.

ბ) ყველა ფრანგ ჯარის-კაცთა განიარაღება, გარდა ერთი დივიზიისა.

გ) კონტრიბუციის ნაწილი უნდა გადაეხადათ ორ კვირაში.

დ) მოწვევა ეროვნული ყრილობისა ზავის შესაკრელად. ეროვნული ყრილობის არჩევნები დანიშნული იყო 8 თებერვლისათვის.

ხალხს მოფიქრების დრო არ მიეცა. ფართე პროპაგანდა-აგიტაციისათვის საშუალება არ იყო. ბნელ სოფლებში ათასგვარი ცილის-წამება და ზღაპრული ჭორები ტრიალებდა პარიზის რევოლუციონერებზე. ყოველივე ამან ხელი შეუწყო, რათა ზავის მომხრენი აერჩიათ ეროვნული ყრილობისათვის, ვინაიდან გლეხობას ზავი სწყუროდა და მასიურად ამას აძლევდა რეაქციონერებს, რადგან ეს უკანასკნელნი წინააღმდეგი იყვნენ ომის გაგრძელებისა.

მუშები და წვრილი ბურჟუაზიის მომხრენი უმცირესობაში დარჩნენ. ეროვნული ყრილობის არჩევნები დამთავრდა მონარქისტების გამარჯვებით. ნაციონალური ყრილობა გაიხსნა ბორდოში, მან მოიწონა საზავო პირობები და მთავრობის თავმჯდომარეთ აირჩია ტიერი. რევოლუციონური პარიზი ისე სძაგდათ ეროვნული ყრილობის ხელმძღვანელებს, რომ ყრილობა გადატანილ იქნა ვერსალში.

ოთხი თვე ნახევარი ალყა-შემორტყმულ მდგომარეობამ პარიზზე ძალიან ცუდი გავლენა იქონია: ფაბრიკა-ქარხნის დიდი ნაწილი შეჩერდა; უამრავი მუშები უმუშევრად დარჩნენ, ჯამაგირის სიმცირემ და ეროვნული ყრილობის უსირცხვილო პოლიტიკამ პარიზში აღშფოთება გამოიწვია. ყველამ გაიგო, თუ რა უბედურებას უმზადებდა ვერსალის ყრილობა პარიზს. პარიზში ყველა თუ არ იყო კომუნარების მომხრე, ეროვნული ყრილობის მიმართ მტრული განწყობილება აშკარა იყო. ამრიგად მემამულეთა ყრილობამ თავისი რეაქციონური პოლიტიკით წვრილი ბურჟუაზია შეუერთა პროლეტარიატს და შეერთებული ძალით გამაგრებულ იქნა სახალხო გვარდია. თანახმად დროებითი ზავისა, სახალხო გვარდიამ შეინახა თავისი იარაღი. არც ბისმარკმა და არც დროებითმა მთავრობამ მუშების განიარაღების პასუხისმგებლობა არ მიიღეს თავის თავზე. მათ კარგათ იცოდენ, რომ სახალხო გვარდიაზე იარაღის აყრისათვის საჭირო შეიქნებოდა სასტიკი ბრძოლა პარიზის ქუჩებზე. რესპუბლიკის დასაცავად ვერსალის მონარქისტების თავდასხმისაგან სახალხო გვარდიის ათასეულები შეუდგნ ძლიერი ორგანიზაციის შედგენას, რომლის სათავეში დააყენა სახელდახელოდ არჩეული ცენტრალური კომიტეტი. უკანასკნელმა თანდათანობით დაიმორჩილა თვით სახალხო გვარდია.

არც ვერსალის ყაჩაღებს ეძინა. ისინი მოითხოვდნენ ტიერისაგან ცენტრალური კომიტეტის დაუყოვნებლივ დაპატიმრებას, სახალხო გვარდიის განიარაღებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ტიერს ემუქრებოდენ ეროვნული ყრილობის წევრები, ბანკირები, კრედიტის დახურვით.

ამრიგათ, ლუი ფილიპეს ყოფილ მინისტრმა, შეუპოვარ მოხუცმა ტიერმა, რომელსაც არა ერთხელ გაუსვრია თავისი ხელი მუშათა სისხლით, თავის თავზე მიიღო პარიზის მშრომელი მასსის სისხლიდან დაცლის ოპერაცია. ამისათვის კი საჭირო იყო გვარდიის განიარაღება.

ბურჟუაზია სამშობლოს დაცვის ლოზუნგს მხოლოდ თვალსახვევ საშუალებათ ხმარობს და როდესაც საქმე მის „წმინდათა წმინდას", კერძო საკუთრებას ეხება, მზადაა გაყიდოს სამშობლოც, დემოკრატიული პრინციპებიც, ხალხის ნებისყოფაც, ოღონდ შეინარჩუნოს თავისი საკუთრება.

ვერსალის მეთაურებმა პრუსიასთან სამარცხვინო ზავს მოაწერეს ხელი. პარიზის კომუნის ბედის გადაწყვეტა მიანდვეს მუშათა კლასის ჯალათს ტიერს, რომელმაც რევოლუციონური ქალაქი აქცია მკვდართა სავანეთ.

მუშები შეეცადენ ტიერისთვის გაეცათ მუშური პასუხი. სამწუხაროდ, მუშების ხელმძღვანელებმა ალღო ვერ აუღეს მდგომარეობას, ვერ შეიგნეს მნიშვნელობა მუშების და გლეხების ძალღონის გაერთიანების ძალის და თავიანთი პოლიტიკით პროლეტარიატს ჩამოაშორეს გლეხობა; ტიერის გაცოფებული ჯარის წინაშე დარჩა მხოლოდ პარიზის პროლეტარიატი და მშრომელი ინტელიგენცია.

დაჰკრა 18 მარტის განთიადმა გარიჟრაჟზე პარიზის მაღლობლებს მოადგა სამი თავხედი გენერალი სამი ათასი ჯარის-კაცით. მათ შორის იყო გენერალი ლეკონტიც. ისინი მოულოდნელათ თავდაესხნენ და ხელთ იგდეს მაღლობებზე გამართული ზარბაზნები. მტრების წინააღმდეგ აღშფოთებული პარიზელები ქალ-კაციანად გამოცვივდენ ქუჩებზე და შეესიენ ტიერის ჯარს. უკანასკნელმა ამ სურათის დანახვაზე ხალხს თოფი არ ესროლა და გადავიდა მის მხარეზე. გენერალი ლეკონტი დაუყოვნებლივ იქნა დახვრეტილი. ტიერი იძულებული გახდა ჯარის რეაქციონურ ნაწილებით უკუქცეულიყო ვერსალისაკენ. პარიზში მთავრობათ დარჩა ისევ ცენტრალური კომიტეტი.

სამწუხაროდ, კომიტეტის წევრებს 18 მარტის რევოლუციაზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. მათი შეხედულობით, 18 მარტის რევოლუცია იყო სამშობლოს დაცვის საკითხი და არა ბურჟუაზია და პროლეტარიატთან შორის ბრძოლა. ცენტრალური კომიტეტის წევრებს სჯეროდათ, რომ შეიძლებოდა ტიერის მთავრობასთან შეთანხმება პარიზელ მუშების სასარგებლოთ, ამიტომ გაქცეულ ტიერის ჯარს პარიზელი მუშები თან არ გამოეკიდენ და საბოლოოდ არ გაანადგურეს. მტერს მიეცა საშუალება მშვიდობიანად უკან დახევის და ისევ შეკავშირების. ამ გარემოებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა პარიზის კომუნის დამხობაში.

ამას დაერთო მთელი რიგი შეცდომებისა. ცენტრალური კომიტეტი თავის თავს უყურებდა, როგორც დროებით ხელისუფლებას და ჩქარობდა კომუნის არჩევნების ჩატარებას. და ეს მაშინ, როდესაც უფრო სასწრაფო საქმეები იყო მოსაგვარებელი, მით უმეტეს, როდესაც ფაქტიურად არჩევნების შედეგი მაინც იძლეოდა იმავე სურათს, რაც თავიდანვე იყო. 28 მარტს არჩევნები დამთავრდა. კომუნა შეუდგა მუშაობას. ეს იყო პირველი შემთხვევა ისტორიაში, როცა მთავრობაში ისხდენ უბრალო მუშები, წვრილი მოხელეები და მცირე ქონების მქონე ინტელიგენცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 18 მარტის რევოლუციის წინეთ არ იყო მტკიცედ შეკავშირებული სოციალისტური მოძრაობა. საერთაშორისო საზოგადოება მუშებისა (1 ინტერნაციონალი) არ იყო დიდი წარსულის მქონე. მისი სექცია პარიზში სუსტი იყო. თვით სოციალისტებს შორის არ იყო შეთანხმება პარიზის კომუნის ძირითად საკითხებში. ინტერნაციონალის მოწყვეტილობამ მუშათა მასისაგან დიდი უარყოფითი გავლენა იქონია კომუნაზე. სოციალისტებმა ვერ შესძლეს კომუნისათვის მიეცათ გარკვეული სამოქმედო გეგმა. მაშინდელი საფრანგეთის სოციალისტები წვრილბურჟუაზიულ რევოლუციონერებთან ერთად ფიქრობდენ, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა თითქო შეიძლებოდა მშვიდობიანი გზით. მათი აზრით, საკმარისი იყო საფრანგეთი გადაექციათ კომუნათა თავისუფალ კავშირათ, საყოველთაო არჩევნების საფუძველზე. აქ იყო მათი მთავარი შეცდომა. ძალა-უფლების ხელში ჩაგდება და ბურჟუაზიის პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოშორება ვერ შესძლებდა საზოგადოების ძირითად გარდაქმნას. ბურჟუაზიული საზოგადოების საფუძვლებს „დემოკრატიის" გატარება ვერ შეარყევს, „წმინდა დემოკრატიის" წყობილების დროს ბურჟუაზიას არხეინად შეუძლია მუშების ექსპლოატაცია. ამ უდავო დებულებაზე ყურადღება არ იქნა მიქცეული.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მძიმე პირობებისა, პარიზის კომუნამ თავის არსებობის მოკლე ხნის განმავლობაში (18 მარტიდან 28 მაისამდე) ბევრი რამ გააკეთა მშრომელთა სასარგებლოდ:

1. კომუნამ დაარსა შრომის საგანგებო კომისია, სადაც მუშების მიერ ირჩეოდა მუშათა საკითხები.
2. დახურა დამქირავებულთა კერძო კანტორები და მოაწყო სახელმწიფო შრომის ბირჟა.
3. მოსპო ცალკე საგანგებო დეკრეტით მწარმოებელთა მიერ დაქირავებულთა დაჯარიმებისა და ჯამაგირის გამოკლების უფლება.
4. სახაზინო დაკვეთები ეძლეოდა მხოლოდ ისეთ პირთ, ვინც გაატარებდა 8 საათის სამუშაო დღეს.
5. მოუმატა ჯამაგირები დაბალ მოხელე მოსამსახურეებს და მასწავლებლებს.
6. გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალით აღრიცხვაზე უნდა აეღოთ პატრონთა მიერ მიტოვებული საფეიქრო სახელოსნოები და ასეთები უნდა გადაეცათ მუშათა არტელებისათვის.
7. მოახდინა რეკვიზიცია ყველა იმ შენობათა, რომელთა პატრონები გაიქცნ და შენობები გადასცა პარიზის ბრძოლის დროს დაზარალებულ მოქალაქეთ ლომბარდში დაგირავებულ მუშების ქონება დაუბრუნა პატრონთ, თუ მისი სათასური არ აღემატებოდა 9 მან. 40 კაპ.

კომუნამ ვერ მოასწრო გლეხებთან კავშირის გაბმა, თუ არა, ცხადია, მიწის საკითხს გადასჭრიდა გლეხების სასარგებლოდ. ამას ადასტურებს, სხვათა შორის, კომუნის მიერ გამოცემული პროკლამაცია, სადაც ნათქვამია: **„პარიზს უნდა მიწა გლეხებისათვის, საწარმოვო იარაღი მუშებისათვის, სამუშაო ყველასათვის. ამიერიდან ნუ იქნება მუშაობა შეუსვენებლივ და დასვენება უმუშაოდ".**

პარიზის კომუნას მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. ტიერის ბრძანებით მოსამსახურეები და მოხელეები პარიზიდან გაიქცნენ და ვერსალს შეაფარეს თავი; მთელი სახელმწიფოს მექანიზმი მუშებს დააწვა. სხვა და სხვა უწყებების სათავეში მუშები იქნენ დაყენებული, მათ რიცხვში ზოგიერთმა მუშამ ნათლად დაამტკიცა, რომ მუშას შეუძლია გაუძღვეს სახელმწიფოს.

მუშა ტეისმა საუცხოვოდ მოაგვარა საფოსტო უწყების საქმე. მუშა კომელინი ჩინებულად გაუძღვა სახელმწიფო სალაროს. მუშა ფრანკელი იყო ერთად ერთი ორგანიზატორი მუშათა კომისიის. ცხადია, ეს იყვნენ ერთეულები. მაშინდელი პროლეტარიატი არ იყო მომწიფებული, რომ მას გამოეყო მუშებიდან საჭირო ნაწილი ადმინისტრატორებისა.

ზად, რადგან ამ დროს ისინი არ წარმოადგენდენ მებრძოლ ძალას.

ოფიცრები არავითარი ავტორიტეტით არ სარგებლობდენ. ზოგიერთი ნაწილები აპატიმრებდენ თავიანთ ოფიცრებს და უერთდებოდენ რევოლიუციას. იგივე სულიერი განწყობილება იყო გამეფებული ყველა ნაწილებში. ეს იყო რევოლიუციის უდიდესი გაქანების მომენტი, მაგრამ კომუნამ ხელიდან გაუშვა ეს მომენტი ბურჟუაზიულ საფრანგეთზე ძლევამოსილ თავდასხმის მოსახდენად.

კომუნამ შეტევის აუცილებლობა ვერ შეითვისა მთელი თავისი არსებობის მანძილზე. კომუნას არ ჰქონდა მკაფიოთ გამოხატული მიზანი—მეორე, ბურჟუაზიული, ხელისუფლების მოსპობა ქვეყანაში. პირიქით, მეტათ ხშირათ, როგორც მისი ცალკე მოღვაწეების გამოსვლებში, ისე ოფიციალურ აქტებში გამოსჭვივოდა აზრი იმის შესახებ, რომ კომპრომისული შეთანხმება დაედოთ ვერსალის მთავრობასთან. კომუნას არ ჰქონდა იმის შეგნება, რომ ის უნდა ყოფილიყო საფრანგეთის მშრომელი მასების ინტერესების გამომხატველი და დამცველი. ამაშია—მისი პასიურობის და დამარცხების მთავარი მიზეზი. კომუნამ ვერ შესძლო თავისი ერთგული მებრძოლების და რევოლიუციონური ენტუზიასტების დარაზმვა. რევოლიუციას არ შეეძლო მიეღო მომზადებული არმია, მაგრამ მან უნდა მიეღო არმიის შექმნის და ომის წარმოების დამზადებული პრინციპები, რომლებიც ხელს შეუწყობდენ მის გამარჯვებას ბურჟუაზიასთან ბრძოლაში.

კომუნის მაგალითზე ჩვენ ვრწმუნდებით, რომ რევოლიუცია, რომელიც თუ გინდ ერთი დღით, თავის ხელიდან გაუშვებს თავდასხმის ინიციატივას, განწირულია სასიკვდილოთ. რევოლიუციის თავდაცვაში ჩამარხულია მისი დაღუპვა. მხოლოდ შეტევას შეუძლია უპირატესობის მინიჭება რევოლიუციისათვის. გაბედული ინიციატივა კი მას გამარჯვებას მოუპოვებს.

ლენინგრადის საბჭომ 1917 წლის 7 ნოემბერს თავი დააღწია კომუნის ამ შეცდომებს. რევოლიუციის პირველივე წუთებში საბჭოს ჯარებმა დაიკავეს ლენინგრადის ყველა სადგურები, წყლის საქაჩავები, ტელეგრაფები და სხვა სახელმწიფო დაწესებულებები. დაკავებული იქნა ციხე-სიმაგრე. დაწყებული იქნა შეტევა სასახლეზე, სადაც იმყოფებოდა ბურჟუაზიული მთავრობა. შემდეგ დაიწყო შეტევა გატჩინაზე, ლუგაზე და სტავკაზე.

ამ შეტევაში, რევოლიუციის კომპრომისებით არდამძიმებაში და შემარიგებელი ტენდენციის უქონლობაში იყო ოქტომბრის რევოლიუციის სიდიადე და მისი გამარჯვების საწინდარი.

იმ ქვეყნების რევოლიუციონერებმა, რომლებმაც ჯერ კიდევ უნდა განიცადონ პროლეტარული რევოლიუცია, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეადარონ პარიზის კომუნის ბრძოლა ლენინგრადის საბჭოს ბრძოლას. ამ შედარებაში მკაფიოთ სჩანს ის პრინციპები (სამხედრო პრინციპები), რომლებსაც შეუძლიათ მხოლოდ გამარჯვების მოპოვება რევოლიუციისათვის.

პარიზის კომუნის შეცდომების აღნიშვნა დღეს ჩვენ ხელს არ გვიშლის ქედი მოვიხაროთ საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლის ისტორიის გმირული ფურცლის წინაშე და კომუნის იმ დიდი მებრძოლების წინაშე, რომლებმაც მუშათა კლასის იდეალებს შესწირეს თავისი სიცოცხლე.

მიუხედავათ კომუნის დამარცხებისა, მუშათა კლასი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს მის მნიშვნელობას, რადგან მისი ბრძოლის ნიადაგზე ისწავლა მუშათა კლასმა (და უპირველეს ყოვლისა რუსეთის პროლეტარიატმა) თავისი მტრების დამარცხება.

ფ. გოფოძე.

18 მარტი—„რემედასის" დღე

მოსკოვი, 17 მარტი. წერილში „18 მარტი—„რემედასის" დღე", რემედასის აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი კუშნერი სწერს:

„ყველა ქვეყნის პროლეტარებს, რომლებიც განაგრძობენ პარიზის კომუნარების მიერ დაწყებულ საქმეს, კარგათ აქვთ შეგნებული „რემედასის" მთელი მნიშვნელობა და აუცილებლობა. ეს სჩანს იქიდან, რომ წითელი დახმარების ორგანიზაცია უკვე არსებობს 32 ქვეყანაში და თავის რიგებში აერთებს 5 მილიონ წევრს.

ყველა ქვეყნების მუშები და გლეხები აურაცხელ მსხვერპლს იღებენ მთელი მსოფლიო ბურჟუაზიასთან ბრძოლაში. მხოლოდ 1918—1925 წ. კაპიტალისტურ ციხეებში გამომწყვდეულია და მოკლულია რევოლიუციონურ გამოსვლების ჩაქრობის დროს 175.000-ზე მეტი მუშა და გლეხი.

ჩაუფიქრდით, რამდენი დარჩა არსებობის ყოველგვარ სალსარს მოკლებული ქვრივ-ობლები.

შემდეგ ჩვენ დახმარებას ელიან 100.000-ზე მეტი კაპიტალის ტყვეები. მათ ოჯახებს სდევნის ბურჟუაზია და აუწერელ ტანჯვა-წამებას აყენებს მათ. ასეთ ოჯახის წევრთა რიცხვი აღწევს 300.000-ს.

ამ სიას უნდა მიუმატოთ 150.000 პოლიტიკური ემიგრანტი, რომელნიც იძულებული არიან დევნის გამო, გაექცენ „ოხრანკებს" და ციხეებს და მიატოვონ ცოლშვილი.

ამგვარად მთელი მსოფლიოს მუშათა და გლეხთა დანაკლისი, რომელიც მათ გაიღეს თავის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, აღწევს 1 მილიონზე მეტ კაცს, რომელთაც ესაჭიროებათ „რემედასის" დახმარება.

18 მარტს ჩვენ აღვიმაღლეთ ხმა რევოლიუციისათვის წამებულთა დასაცავად, რომელნიც განაგრძობენ პარიზის კომუნარების საქმეს.

ეს დღე ყველგან ყოველ წლობით გახდება საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის ძალის და კაპიტალისტურ ქვეყნებში გამეფებულ თეთრი ტერორის წინააღმდეგ საყოველთაო პროტესტის უდიდეს დემონსტრაციად".

კომუნამ, ჰქმნიდა რა იგი მუშათა სახელმწიფოს, მუდმივი ჯარი შესცვალა მილიციით (სახალხო გვარდია), დააწესა მოხელეთა და თანამდებობის პირთა არჩევის წესი და, თუ საჭიროება მოითხოვდა, თანამდებობის პირის დრომდე გადაყენების უფლება მიანიჭა ამრჩეველთ; მოსპო წოდებრივი უპირატესობა და მოქალაქეთა სწორუფლიანობა შემოიღო; ეკლესია გამოჰყო სახელმწიფოდან.

კომუნამ დაუშვა დიდი შეცდომა, რომ მან არ ჩამოართვა ბანკებს ქონება,—იქ დიდძალი ძვირფასეულობა იყო თავმოყრილი. ბანკების ქონების ჩამორთმევით ის საგრძნობ თავზარს დასცემდა ბურჟუაზიას და ნაწილობრივ გახაიარაღებდა მას. კომუნის ეს შეცდომა არ იყო შემთხვევითი, ის ერიდებოდა შეხებოდა კერძო საკუთრებას. მას არ დაუნგრევია ბურჟუაზიული საზოგადოების საძირკველები.

პარიზის კომუნას არ ჰქონდა დრო და საშუალება შესდგომოდა სახელმწიფო მშვიდობიანი აღმშენებლობას; ის სასიკვდილო ბრძოლას აწარმოებდა ვერსალის ჯარებთან.

იმ დროს, როდესაც კომუნის სამზადისი ხდებოდა და მასზე დიდი ძალი ენერგია იხარჯებოდა,—სისხლიანი გენერალი ტიერი დამარცხებული ჯარის აღდგენას ეწეოდა. ბისმარკმაც გაუწოდა ხელი ტიერს და ტყვეთ წაყვანილი ჯარისკაცები 100.000 კაცამდე შემოსა, გამოკვება და გადასცა ტიერის განკარგულებაში. უკანასკნელმა კი 130.000 ჯარის-კაცით პარიზზე გაილაშქრა. კომუნას არ აღმოაჩნდა სათანადო მომზადებული ძალა ტიერის წინააღმდეგ, არც თოფ-იარაღი, არც ჯარისკაცთა საკმაო რიცხვი.

2 აპრილს 1871 წლ. დაიწყო ტიერმა სამხედრო მოქმედება. 21 მაისს პარიზში ბარიკადები აღიმართა. 28 მაისს პარიზის კომუნა დაეცა. დაიწყო თეთრი ტერორი. საშინელი შურისძიება გამეფდა. 17.000 მეტი პარიზელ მუშებისა ამოჟლეტილ იქნა. საერთო მსხვერპლი 30.000 კაცს აჭარბებდა. ამის შემდგომ დაიწყო სასამართლოს მოქმედება. გამოტანილ იქნა 13.450 განაჩენი, დახვრიტეს სასამართლოს განაჩენით 270 კომუნარი, კატორღა მიუსაჯეს 410-ს, გადაასახლეს 3.500. ვერსალში ტყვეთ წაყვანილთა რაოდენობა 40.000 აღემატებოდა, რომლებიც ათასგვარად აწამეს. პარიზში სულ 70.000 ქვრივ-ობოლი დარჩა ულუკმა-პუროთ და უპირისუფლოდ.

ასეთი იყო სისხლიანი შურისძიება ბურჟუაზიისა პროლეტარიატისადმი, რომელმაც გაბედა ძალა-უფლების ხელში აღება. პარიზის კომუნა დაეცა არა მარტო იმიტომ, რომ მან ვერ შესძლო სახალხო გვარდიის გაწვრთნა, არამედ იმიტომაც, რომ პარიზის გვერდით, სხვა მსხვილ ცენტრ"ში და პროვინციაში რევოლიუციონური მოძრაობა სუსტი იყო. ამასთანავე კომუნის ხელმძღვანელები მოკლებული იყვნენ იმ რევოლიუციონურ გამოცდილებას, რომელიც საჭიროა ასეთ მომენტისათვის.

მიუხედავად ამისა, მუშათა პარიზმა შესძლო იმდენი დადებითი შედეგების მიღწევა, რომელიც მემკვიდრეობით გადადის მებრძოლ საერთაშორისო პროლეტარიატზე, როგორც უძვირფასესი ცდა პირველი მუშათა რევოლიუციისა.

რუსეთის რევოლიუცია დიდათ დავალებულია პარიზის კომუნის წინაშე, ვინაიდან მან თავიდანვე გაითვალისწინა ყველა ის შეცდომები, რომლებიც თან ახლავდა პარიზის კომუნას.

პირველი პროლეტარული რევოლიუცია დამარცხდა, მაგრამ არ დამარცხებულა თვით იდეა სოციალისტურ რევოლიუციისა. პარიზის კომუნართა ხელიდან გავარდნილი დროშა აიღო საერთაშორისო პროლეტარიატმა. ის უკვე ირაზმება კაპიტალისტური მსოფლიოს დასანგრევად: პირველი უდიდესი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. ამის უტყუარი საბუთი საბჭოთა კავშირის სინამდვილეა.

ამ, მეორე, მუშათა კომუნას რვა წლის ისტორია აქვს. ამ რვა წლის განმავლობაში მსოფლიო ბურჟუაზიის ცდა მუშათა კომუნის წინააღმდეგ პირველის დამარცხებით და მუშათა კლასის გამარჯვებით დამთავრდა. ეს შესაძლებელი გახდა, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ ჩვენ სავსებით გამოვიყენეთ პარიზის კომუნის გაკვეთილები.

პარიზის კომუნის 54 წლის თავზე მსოფლიოს 1/6 ნაწილზე პროლეტარიატის დროშის ფრიალი საუკეთესო მოგონებაა პირველი მუშათა რევოლიუციისათვის დანთხეული სისხლისა და პარიზის კომუნისა.

აკ. ქავთარაძე.

ცეკავშირის რწმუნებულთა მე-5 წლიური ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

ხელმძღვანელ ორგანოების არჩევა

ცეკავშირის საბჭო

საბჭოში არჩეულ იქნენ: სენაკის მაზრიდან—ამხ. ლუკუ გაგუა, მოადგილ. ანაკლიძე; ზუგდიდის მაზრიდან—ამხ. იოსებს ცხაკაია, მოადგ.—ამხ. კალისტრ. ნაჭყებია; სიღნაღის მაზრიდან—ამხ. ამხ. იარალოვი და შაუტაშვილი, მოადგ. ამხ. ამხ. ნიკო კანდელი და არჩ. დიდუბულიძე; თელავის მაზრიდან—ამხ. ამხ. სიმ. სამულაშვილი და დავ. როსტომაშვილი, მოადგ. ამხ. ამხ. მ. კოშაძე და მირ. ალნიაშვილი; ოზურგეთის მაზრიდან—ამხ. ვარლამ ერქომაიშვილი, მოადგილ. ევტ. კაცაძე; აჭარიდან—ამხ. ამხ. აბულაძე ჯემალი და ალ დიმიტროპულო, მოადგილ.—ამხ. ამხ. ციუბ ნაკაშიძე და დურს. ფაღავა; ფოთიდან—ამხ. ნოდია, მოადგ.—ამხ. ბაბუშვილი; ლეჩხუმის მაზრიდან—ამხ. ეფრ. ხუბულაშვილი, მოად.—ამხ. ალავიძე; გორის მაზრიდან—ამხ. ამხ. ჩიქოვანი და კალმახელიძე, მოადგ.—ამხ. ამხ. პატარაშვილი და დანელია; შორაპნის მაზრიდან—ამხ. ამხ. მელკაძე და ფოფხაძე, მოადგ. ამხ. ამხ. თუთბერიძე და მონცელიძე; სამხედრო კოოპერაციისაგან—ამხ. ებრალიძე, მოადგ.—ამხ. ბახტაძე; სამხრეთ-ოსეთიდან—ამხ. ჯატიევი, მოად.—ამხ. ფილიევი; თბილისის მაზრიდან—ამხ. ქურდოვანიძე, მოადგ.—ამხ. მჭედლიძე; დუშეთის მაზრიდან—ამხ. ნამორაძე, მოადგ.—ამხ. სუტიაშვილი; ქუთაისის მაზრიდან—ამხ. ირემაძე და ა. ხ. ფოფხაძე, მოადგილ. ამხ. ამხ. ჯიბლაძე და ბეროძე; ახალციხიდან—ამხ. ამხ. ოჯაშვილი და ქელბაქიანი, მოადგილ.—ამხ. ამხ. ჩხეტია და მარღანია; ახალქალაქის მაზრიდან—ამხ. ლაშხია; ახალციხის მაზრიდან—ამხ. დუდუჩავა, მოადგ.—ამხ. გაბისონია; ბორჩალოს მაზრიდან—ამხ. კიტმერიძე, მოადგ.—ამხ. ჩალმანოვი; თბილისიდან—ამხ. ძაგანია და ამხ. ყურულაშვილი, მოადგ.—ამხ. მელჩარსკი და მოხიაიძე; რაჭიდან—ამხ. ბაქრაძე, მოად.—ამხ. ჩიტალაძე.

საბჭოს თავმჯდომარედ ყრილობამ ერთხმად აირჩია ამხ. ალექსანდრე ერქომაიშვილი.

ცეკავშირის გამგეობა

ცეკავშირის გამგეობის წევრთა რიცხვი განსაზღვრულ იქნა ცხრა კაცით. გამგეობაში ერთხმად არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. მგალობლიშვილი, ელერდაშვილი, ცაგარელი, კანდელაკი, ნაფეტვარიძე, ნიკურაძე, ჩილინგარიძე, ერისთავი და ნაცვლიშვილი; კანდიდატებად—ამხ. ამხ. კაცაძე, ცინაძე და სეფაშვილი.

სარევიზიო კომისია

სარევიზიო კომისიაში—ამხ. ამხ. ობოლაძე, კორძაია პრეობრაჟენსკი, კანდ. ამხ. ხარლამპიევი.

არჩეულ იქნა ხუთი დელეგატი ცენტროსოიუზის 39-ტე ყრილობაზე დასასწრებლად, სახელდობრ ამხ. ამხ. ტოროშელიძე, ელერდაშვილი, ნაფეტვარიძე, ნიკურაძე და ნაცვლიშვილი.

ზაკსოიუზის ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევა დაევალა საბჭოს.

სხდომის დასრულების წინ მოსმენილ იქნა ამხ. ალექს. ერქომაიშვილის სიტყვა საქართველოს კოოპერაციის მიღწევებზე და მომავალ ამოცანებზე.

ყრილობა დაიხურა ნაშუადღევის 3 საათზე.

დამსწრე.

მეცნიერება და ტეხნიკა

პირველი რადიო-სადგურის 25 წლის იუბილე

თებერვალში 25 წლისთავი შესრულდა მსოფლიოში პირველი რადიო-სადგურის დღიდან.

მისი გამოგონება ეკუთვნის რუს მეცნიერს ა. ს. პოპოვს.



ა. ს. პოპოვი.

ახლა საყოველთაოდ გავრცელებულია აზრი, თითქო რადიო-ტელეგრაფი პირველად გამოიგონა იტალიელმა მეცნიერმა მარკონიმ.

ცდებს შორეულ მანძილზე ნიშნების გადასაცემად პოპოვი მარკონიზე უფრო ადრე აწარმოებდა და 1899 წ. მისი ცდები ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა.

მოხდა ეს ასე:

1899 წ. დამლევს ჯავშნიანი გემი „ადმირალ აპრაქსინ" წყალქვეშა კლდეს დაეჯახა და დაზიანდა. შეკეთებაში გემს ყინვა შემოუსწრო კუნძულ გოტლანდთან (ბალტიის ზღვაში) და ჩქარა გემი სრულიად მოსწყდა მატერიკს. საჭირო იყო კავშირის დამყარება გემთან.

აქ გამოჩნდა პროფესორი პოპოვი თავისი რადიო-ტელეგრაფით. ფინეთში, კოტკაში, მუშაობდა თვით პოპოვი. „აპრაქსინის" დაზიანების ადგილას, კუნძულ გოტლანდზე კი რადიო-სადგურს აწყობდა პოპოვის მოწაფე პ. ნ. რიბკინი.

1900 წ. 10 თებერვალს მოახდინეს პირველი ცდები.

გულის ფანცქალით მიიღეს „აპრაქსინზე" პირველი ნიშნები ნაშუადღევს 2 საათზე კი გოტლანდის რადიო-სადგურმა მიიღო პირველი ოფიციალური თავზარდამცემი ცნობა:

„ერმაკის" უფროსს. ლავენსარის ახლო მოწყდა ყინული, რომელზეც დარჩენ მეთევზეები. დაეხმარეთ. „ავილან".

ცნობა დაუყოვნებლივ გადაეცა „აპრაქსინთან" ახლო მდგომ „ერმაკს" და მის მიერ გადარჩენილმა მეთევზეებმა პირველი მადლობა მიუძღვნეს რადიო-ტელეგრაფის გამომგონებელს.

ამრიგად იმ დროს, როცა იტალიელი მარკონი ჯერ კიდევ ცდებს ახდენდა, რუსეთში რადიო-ტელეგრაფით პრაქტიკულად სარგებლობდნენ.

ა. ს. პოპოვი, 41 წლის, მოულოდნელად გარდაიცვალა 1905 წ. 31 დეკემბერს, როგორც ფიქრობენ გულის გაგანიერების გამო იმის შემდეგ, რაც რევოლიუციონურ სტუდენტობის დაცვის ნიადაგზე მას ერთ-ერთ მინისტრთან დიდი უსიამოვნება მოუვიდა.

ქრონიკა

— **დამატებითი დახმარების** სახით თბ. დამზღვევმა კასამ თებერვალში დაზღვეულებზე გასცა 19,105 მან.

— **რამდენი წყალი დახარჯა ქალაქმა.** თებერვალში წყალსადენმა ქალაქის მცხოვრებლებს მიაწოდა 24,319,793 ვედრო წყალი.

— **მეტეხის ხიდის დასამთავრებლათ** ა|კავკასიის უმ. ეკ. საბჭომ გადასდო 33,000 მან.

— **ტრამვაის სახელოსნოში** ამჟამად სწარმოებს მუშაობა სადურგლო ცეხის გასაფართოებლად.

— **ელექტრონის ძალით** მოსარგებლეთა რიცხვი გასულ წელს 22 წელთან შედარებით გაიზარდა 59,7 პროცენტით: 1-ლ იანვრისათვის ითვლებოდა 7.722 მომხმარებელი.

— **საექიმო დახმარების საქმე მაზრაში.** თბილისის მაზრაში ამჟამად არსებობს 17 საექიმო პუნქტი და 3 საფერშლო.

— **ქალთა მდგომარეობის გამოკვლევა.** შრომის სახ. კომისარიატის დავალებით ამხ. ნინა მახარაძე ამჟამად იკვლევს თამბაქოს ქარხნებში მომუშავე ქალების მდგომარეობას.

— **შრომის კოლექტივების** გამგეობა უმუშევარ ყოფილ წითელ არმიელებისათვის აარსებს სასოფლო-სამეურნეო კოლექტივს.

— **დახმარება ავადმყოფ მუშებს.** თბ. დამზღვევმა სალარომ იანვრის განმავლობაში დროებით შრომის უუნარდაკარგულ მუშა-მოსამსახურეებს დაურიგა 52,741 მან.

— **ჭირის წინააღმდეგ.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა ტაბახმელის საშრატე სადგურისთვის შეიძინა 50 სული მსხვილფეხა საქონელი.

— **მინდვრის მავნებების წინააღმდეგ.** მავნებლებთან მებრძოლ ბიურომ მინდვრის მავნებლებთან საბრძოლველათ მიმდინარე წელში გადასდო 12,000 მან.

— **სამარულო მოედნის შემოღობვა.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილება შეუდგა სამარულო მოედნის ცოცხალი ღობით შემოკავებას.

— **1-ლი რაიონის „რემედასის"** წევრთა კრება დანიშნულია დღეს პლეხანოვის თეატრში, საღამოს 6 საათზე, მთავარ სახელოსნოს მუშების თანდასწრებით.

— **ტყის კვირეული.** მთელ საქართველოში მარტის ბოლო რიცხვებში მოეწყობა ტყის დაცვისა და გამოყენების კვირეული.

— **წერკუმსის სასარგებლოდ.** ა. კობახიძემ „წერკუმსის" სასარგებლოდ ნიკო იესეს ძე მაჩიტიძის ხსოვნის პატივსაცემად „კომუნისტის" კანტორაში შეიტანა ათი მანეთი.

— **თბ. ქართველ ბიბლიოთეკართა გაერთიანების წრე.** თბილისის ქართველ ბიბლიოთეკართა გაერთიანების (წრე) საორგანიზაციო კომისია იწვევს წრის საერთო კრებას ხუთშაბათს, 19 მარტს, დილის 12 საათზე სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლის დარბაზში (გიორგიევის ქ. № 4).

— **შრომის სახალხო კომისარიატი** ხელმეორეთ განმარტავს, რომ მუშა-მოსამსახურეებს, რომელნიც გაყვანილნი არიან წინასწარ სამხედრო მომზადებისათვის, ენახებათ მათი თანამდებობა მთელი ჯამაგირით (სამუშაო ხელფასით) სამხედრო მომზადების მთელი დროის განმავლობაში.

— **ქართველ ექიმთა საზოგადოებაში.** ხუთშაბათს, 19 მარტს საღამოს 8 საათ. საქართვ. მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება მორიგი კრება ქართველ ექიმთა საზოგადოებისა. 1. ექ. ს. კანდელაკის მოხსენების შესახებ კამათი, 2. პროფ. ს. ამირეჯიბი—ხუნაგის ასარიდებელი აცრა, 3. ექ. ლ. ელიაშვილი—ორსულობის ამოსაცნობი რეაქციათა შესახებ, 4. მიმდინარე საკითხები.

— **შეცდომის გასწორება.** ჟურნალ „მეცნიერება და ტეხნიკა"-ს № 5-ში, პროფ. ი. ბერიტაშვილის წერილში „ფიზიკური მუშაობის ქიმიური საფუძველი" შემდეგი შეცდომები გაიპარა: სწერია—(პირველ სვეტში, უკანასკნელი აბზაცი) შეუძლებელია **ჟურნალის ფურცლებზე...**" უნდა იყოს—„შეუძლებელია **მოკლე წერილში...**"; მეორე სვეტში ზევით სწერია—„ეს იყო უკვე კარგად ცნობილი ფაქტი საუკუნის პირველ ნახევარში", უნდა იყოს **წარსული საუკუნის პირველ ნახევარში**; იმავე სვეტში სწერია: „რძის მჟავის დაწვის ანუ აღდგენის ფაზა", უნდა იყოს „**მოსვენების ფაზა**"; შემდეგ სწერია: „აღდგენის ფაზაში კი, როგორც მეიერჰოფმა დაამტკიცა...", უნდა იყოს: „**დაწვის ფაზაში კი**"...

თბილისისა და მისი მაზრის საბჭოთა ყრილობა

16 მარტის სხდომა

კამათი თბილისის საბჭოს საქმიანობის გარშემო

16 მარტის საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი თბილისის საბჭოს მოქმედების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. ფარიაშვილმა, შიშინაშვილმა, ცომაიამ, სარიევნოვმა, ჩამჩიევმა, ბაზოვმა, ათაბეგოვმა, მამულიამ და გრაველინმა და სოფლელმა დელეგატმა ქალებმა. ოპონენტები აღნიშნავდენ რა საბჭოს ნაყოფიერ მუშაობას, მიუთითებდენ შემჩნეულ ნაკლულოვანებებზეც. ამხ. ფარიაშვილი აღნიშნავს, რომ თბილისის მაზრის სოფლებს სჭირია უფრო მეტი ყურადღება, ვიდრე ექცეოდათ, რადგან უმრავლეს სოფლებში გზები არ არის გაყვანილი, ჩამორთმეული მიწა გაუნაწილებელია, მრავალი სოფელი გაჭირვებულ მდგომარეობაშია უწყლობის გამო და სხვა.

ამხ. შიშინაშვილი ხაზს უსვამს იმას, რომ თბილისის აღმასკომი სამუშაოებს ზოგიერთ შემთხვევაში აძლევდა არა პირდაპირ მუშებს, არამედ მოიჯარადრეებს, რაც შეუწყნარებელია ჩვენი საბჭოებისათვის.

იგივე ორატორი უკმაყოფილებას გამოსთქვამს უ. ქ. სამმართველოში საბინაო საქმეების დაგვიანებით წარმოების გამო და სხვა. წილკნელი დელეგატი ქალი ასურათებს ადგილობრივ მოსახლეობის კულტურულ ჩამორჩენილობას და მიაქცევს საბჭოს ყურადღებას ამ ჩამორჩენილ სოფლის მოსახლეობისაკენ.

დელეგატი არშაკ ბაზოვი ეხება მუნიციპალიზაციაქმნილ სახლების მდგომარეობას და ამბობს, თითქოს ქალაქი ნაკლებ ყურადღებას აქცევდეს მათ შეკეთებას და სხვა.

დელეგატ ათაბეგოვს ფუფუნებად მიაჩნია ქალაქის კეთილმოსაწყობად დაწყებული მუშაობა და ქუჩების გაფართოება.

ორატორები აღნიშნავენ აგრეთვე მოზარდი თაობის სწავლის საკითხის რამოდენიმედ მოუგვარებლობას, რის გამო ორატორის აზრით სკოლის გარეთ დარჩენ ახალგაზრდათა მნიშვნელოვანი პროცენტი.

ოპონენტთა აზრით მომავალმა საბჭომ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებას, უზრუნველყოფას და სხვა.

ამხ. ლ. სუხიშვილის საბოლოო სიტყვა

ამხ. ლადო სუხიშვილი თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნავს, რომ საბჭოს მუშაობის ნაკლი აიხსნება არა საბჭოს და მისი ორგანოების უმოქმედობით, არამედ საკმაო სახსრის უქონლობით. უპასუხებს რა ოპონენტებს, არღვევს მათ მიერ წამოყენებულ „ბრალდებებს". მაგ. მომხსენებლის აზრით არ არის მართალი, თითქოს აღმასკომი არ ზრუნავდეს სახლების შეკეთებაზე: 500 სახლიდან ქალაქს უკვე საფუძვლიანად შეკეთებული აქვს 120 სახლი.

ქუჩების გაფართოება არის არა ფუფუნება,—არამედ მას მოითხოვს ქალაქის აუცილებელი საჭიროება,—ტრამვაის ხაზის გაყვანა, რომელიც დააკავშირებს ცენტრს ქალაქის განაპირა მუშათა უბნებს და აჟანოებს. არ არის მართალი თითქოს სომხების ქუჩაზე რამოდენიმე სახლის აღება აძლიერებდეს საბინაო კრიზისს, რადგან დანგრეულ შენობათა უმრავლესობა ერთი მხრივ ძლიერ დაზიანებული იყო და მეორე მხრივ წარმოადგენდენ არა სადგომ შენობას, არამედ დუქან-დარაბებს. რაც შეეხება ბინის კრიზისს, მისი აღკვეთა მოუხერხებელია პალიატიური ზომებით. კრიზისს მოსპობს მხოლოდ ახალ შენობათა აგება, რასაც დიდი თანხა სჭირია, ხოლო საბჭოს ჯერჯერობით ამდენი თანხა არ გააჩნია.

ამხ. ლადო სუხიშვილის აზრით, არ შეეფერება სინამდვილეს, თითქოს მიმდინარე სამოსწავლო წელს სკოლის გარეთ დარჩენილ ყოფილიყოს მოწაფეთა მნიშვნელოვანი პროც. სასწავლებელში მიღების მსურველთა დიდი უმრავლესობა მოჰყვა სასწავლებლებში.

ეხება რა სოფლად მუშაობას, ამხ. სუხიშვილი მოკლე მიმოხილვას უკეთებს თბილისის საბჭოს მიერ თბილისის მაზრაში შესრულებულ სამუშაოებს. თბილისის საბჭოს მაზრაზე ეხარჯება ერთი მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე მაზრას შემოაქვს. ფული ხმარდება გზების და წყლის გაყვანას, სახალხო განათლებას, ჯანმთელობას და სხვას.

აგრარული რეფორმა მაზრაში უკვე დამთავრებულია. არც ერთს სოფელში აღარ არის მემამულე ან „კულაკი", რომელიც ჰფლობდეს ნორმაზე მეტს მიწას. ჯერჯერობით არ არის დასრულებული მხოლოდ მიწის განაწილება და გაწესრიგება ცალკე მეურნეობათა შორის.

ამხ. ლ. სუხიშვილის საპასუხო სიტყვას რუსულად სთარგმნის ამხ. ვ. მესხი.

დასასრულ თათრულ ენაზე ყრილობას ლექსით ესალმება წალკელი დელეგატი გლეხი პოლივანოვი,

17 მარტის სხდომა

მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის შესახებ

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გავაშელი, რომელიც მოხსენების დასასრულ აცნობს ქალაქის აღმასკომის მიერ მიღებულ შემდეგ რეზოლიუციას: გლეხთა შორის უთანხმოების თავიდან ასაცილებლად, რომელიც წარმოსდგება მიწების არასწორი დაყოფისა და ცალკე სამეურნეო ერთეულებზე გადასახადის არასწორი შეწერის გამო და გადასახადის თავის დროზე შემოტანის გამო, თბილისის აღმასკომი მიზანშეწონილად სცნობს, რომ მომავალ 1925—26 წელში გადასახადის აკრეფა ჩატარდეს შეწერითი წესით, მხოლოდ იმ ცვლილებით, რომ ცალკე მეურნეობის გადასახადის გამოანგარიშების შემდეგ გაწერილი გადასახადის სია განსახილველად წარედგინოს სოფლის კრებას ან ამ კრების მიერ გამოყოფილ კომისიას. ამ კრებას და კომისიას უფლება აქვს შეასწოროს გაწერილი გადასახადი, რის შემდეგ სია წარედგინება სამაზრო საგადასახადო კომისიას და შემდეგ კი შეყვანებული იქნება ხარჯის ფურცლებში. ყრილობამ უცვლელად მიიღო და დაამტკიცა თბილისის აღმასკომის რეზოლიუცია.

შემდეგ მოხსენებას ტერიტორიალური ჯარის შესახებ აკეთებს მარქაროვი, რომელიც ყრილობას აცნობს ტერიტორიალური სისტემის ძირითად საფუძვლებს და მნიშვნელობას.

მოხსენებათა დასრულების შემდეგ იწყება რეზოლიუციების მიღება.

ქალაქის საბჭოს და მისი ორგანოების მუშაობის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში ყრილობა საბჭოს საქმიანობას სცნობს ფრიად დამაკმაყოფილებლად.

მიღებულ იქნა აგრეთვე რეზოლიუცია ტერიტორიალური ნაწილების შესახებ.

დასასრულ ყრილობა შეუდგა არჩევნებს.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეთ ყრილობა ერთხმად ირჩევს ამხ. ლადო სუხიშვილს, რომელსაც ყრილობა ხანგრძლივ ოვაციებს უმართავს.

ქალაქის ახალი აღმასრულებელი კომიტეტი.

ქალაქის ახალ აღმასრულებელ კომიტეტში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: სუხიშვილი, ქაცარავა, მამულია, იორამაშვილი, ივანოვ-კავკაზსკი, ასრიევი, ხმალაძე, გავაშელი, ღლონტი თედო, რუხაძე ორჩილ, ადიკაშვილი, იუსუპოვი, ფარნიევი, მესხი ვარო, ჰიპინაძე (უპარტიო), კახიანი მ, სვანიძე, ასრიბეკოვი, ყიდაიშვილი, მეტონიძე, მაჩაიძე, ქავთარაძე ლ., კოჩეტკოვი, ბარბაქაძე (უპარტიო), ძამანაშვილი, (უპარტიო), რაზმაძე (უპარტიო) კალანდაძე, გლიპსკი, ბიბილური მარიამ, მელაძე, ალექსეევი ივანე, ოზიაშვილი დავ. (უპარტ.), ბოლქვაძე ვანო, სულხანოვი (უპარტიო) ბუღდოვიჩი (უპარტიო), გოგინაშვილი მიხ. ვართაპეტოვი არამი, ენუქიძე, ლევანი, აპეკიანი ნიკ. (უპარ.) ალხაზიშვილი (უპარტ.), ესაიანი ანაიდა სტურუა გიორგი, ნიკიტინი, ნაკაშიძე ნინ.—(უპარტიო) სიხარულიძე, დვორიანოვი, ფედეევსკი, აბრამაშვილი სტეფანაშვილი (უპარტიო), მაზმანიძი, მარკოსოვი, ხომასურიძე (უპარტიო), წიკლაური (უპარტიო), გავვა, მამედ-ალი, თეთრაშვილი, ხუტულაშვილი.

მათთან ერთად არჩეულია აღმასკომის 30 კანდიდატი—წევრი. საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობისთვის არჩეულია 79 დელეგატი და 30 კანდიდატი.

არჩევნების შემდეგ ყრილობა ინტერნაციონალის მღერით იხურება.

ხელოვნება

ცირლილაძის და ანდღულაძის კონცერტი სახელმწიფო კონსერვატორიაში.

9 მარტს სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა მეტათ შინაარსიანი და საინტერესო საღამო. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილმა მუსიკალურმა და ვოკალურმა ძალებმა.

საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვეს პიანისტმა ქალმა ვირსალაძემ და პროფ. ცოვიანოვმა რახმანინოვის სონატის შესრულებით.

იტალიელმა მომღერალმა ქალმა სპანიოლიმ მუსიკალურათ, ტემპერამენტით და ლამაზათ შესრულა არია ოპერა მანონ-ლესკოდან და არაყიშვილის ორი რომანსი ქართულ ენაზე. დამთავრებულათ შესრულა ლალოს სიმფონია სკრიპკაზე ნიჭიერმა ბროდსკიმ.

9 მარტის კონცერტზე მთავარ ინტერესს იწვევდა ორი ახალგაზრდა ქართველი მომღერალი: ცირლილაძე (ბარიტონი) და ანდღულაძე (ლირიულ-დრამატიული ტენორი). ორივე ისინი ჯერ კიდევ მოწაფეები არიან, მაგრამ მათმა განსაკუთრებული სილამაზის ვოკალურმა ხიბმა სახელი გაუთქვა მათ თბილისის საზოგადოებაში.

დავით ანდღულაძეს სრულიად განსაკუთრებული სილამაზის ხმა აქვს. ის მომღერალ ვრონსკის მოწაფე იყო (ბათომში), შემდეგ გადმოვიდა თბილისში და შევიდა პროფესორ ვაგის კლასში. ხმას მომღერალი თავისუფლათ ხმარობს, ის მუსიკალურია. მღერის მოფიქრებულათ და ტემპერამენტით. საჭიროა მხოლოდ ხმის მოქნილობის განვითარება.

ცირლილაძესაც აგრეთვე (ვაგის მოწაფე) სრულიად განსაკუთრებული ძლიერის და სილამაზის ხმა აქვს. ისიც მუზიკალური მომღერალია. ამ საღამოს ავადმყოფი მღეროდა, ალბათ, ამით აიხსნება რამდენიმეთ დახშული ხმოვანება სიმღერაში, მაგრამ, მიუხედავათ ავადმყოფობისა, მან პირდაპირ დაიპყრო და მოაჯადოვა აუდიტორია.

ორივე მომღერლებს ხმა თავისთავად აქვთ დაყენებული, საჭიროა მხოლოთ ტეხნიკის განვითარება. სერიოზული მუშაობის შემდეგ ორივე ეს მომღერლები ახლო მომავალში გახდებიან იშვიათი სიძლიერის საოპერო ძალებათ.

მუსიკოსი.

სახელმწიფო ოპერა

ვ. ვიქტოროვის მეოთხე გასტროლი

გასტროლიორი გამოვიდა რადამესის პარტიაში ოპერა „აიდა"-ში. ეს პარტია იტალიანური გმირული საოპერო რეპერტუარის დამახასიათებელი ნიმუშია და ის მოითხოვს განსაკუთრებულ ხმას. ამ მხრივ ვიქტოროვმა არა მარტო დააკმაყოფილა ბევრის მომთხოვნი აუდიტორია, არამედ პირველი აქტის რომანსის და მესამე აქტის სცენის (დუეტი და შემდეგ ტრიო) შესრულებით მან პირდაპირ აღტაცებაში მოიყვანა მსმენელები თავისი საუცხოვო ხმით.

ამ პარტიაში ნაკლები შინაგანი განცდა და ინტუიცია საჭირო, ვიდრე ელეაზარის პარტიაში („ურიის ქალი"). ამან ხელი შეუწყო იმას, რომ მსახიობმა დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა აუდიტორიაზე პარტიის დრამატიული გადმოცემით, რადგან არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ის ადგილები, რომლებიც მოითხოვენ ლირიულ შესრულებას და ინტუიციას, ყველაზე უფრო ეხერხება მომღერალს.

მოხდენილი გრიმი და მოხერხებული თავდაჭერა სცენაზე აძლიერებდენ საერთო დადებით შთაბეჭდილებას.

საუცხოვოთ მღეროდა აიდას პარტიას მომღერალი ქალი სედენკო, განსაკუთრებით მეორე აქტის ფინალში და მესამე აქტში. მსახიობი ბევრ ტემპერამენტს აქსოვს როგორც ვოკალურ, ისე სცენიურ გადმოცემაში.

ამნერისის პარტიაში პირველათ გამოვიდა მომღერალი ქალი ლუნინა. ჩვენ ჯერჯერობით თავს შევიკავებთ მისი შესრულების შეფასებისაგან, დავუცდით მის შემდეგ გამოსვლებს.

მუსიკალურათ და ლამაზათ მღერის შარაშიძე.

ლამაზათ და ტემპერამენტით მიყავს საორკესტრო პარტია ვანო ფალიაშვილს.

ჰ. ბ.

— **ჟურნალი „მნათობი".** დაიბეჭდა და ხელის მომწერლებს დაურიგდებათ ჟურ. „მნათობი" № 2 (10) შემდეგი შინაარსით: **კონსტანტინე ჭიჭინაძე**:—ორიოდე სიტყვა, **იონა ვაკელი**—ბალადა სოფელს, **კ. ფაღლოსიშვილი**—წერილი დედისგან, **კონ. ლორთქიფანიძე**—სტენკა რაზინ, **ივ. იოსელიანი**—უკანასკნელი ბარიკადა, **გრიგოლ რობაქიძე**—მალშტრემ, **ვ. ბრიუსოვი**—რუსეთის რევოლიუციას, **ილია ერენბურგი**—ტრესტი დ. ე., **ფერდინანდ ფრეილიგრატი** — ქვევიდან ზევით, **არსენ მარტინე**—ლექსები, **კარაჯაკრიში**—თანამედროვე სომხური პოეზია (ლექსები **ეგიშე ჩარენცის და აზატ ვშტუნის**), **ომეგა**—სპარსთა ლიტერატურა, **ს. გორგაძე**—აკაკი წერეთელი, **რაჟდენ კალაძე**—აკაკი, **გერონტი ქიქოძე**—კონსტანტინე მენიე და ხელოვნების რევოლიუცია, **ბესარიონ ჟღენტი**—1924 წ. ქართულ ლიტერატურაში, **ლეონ მელიქსეთ ბეგი**— ახალი პრობლემა საქართველოს ისტორიაში, **ს. ქავთარაძე**—სირიის საკითხი, როგორც ნიმუში იმპერიალისტური პოლიტიკისა, **შ. დუდუჩავა**—მარქსიზმი და ხელოვნება. **ბიბლიოგრაფია.** ჟურნალს წინ უძღვის აკაკის ძეგლის რეპროდუქცია და შეიცავს 256 გვერდს.

ჟურნალის რედაქცია გადავიდა ახალ ბინაზე—რუსთ. პროსპ. № 12.

— **ჟურ. „თეატრი და ცხოვრება"-ს.** მორიგი (6) ნომერი გამოვიდა.

— **ვიქტოროვის უკანასკნელი გასტროლი.** ხუთშაბათს, 18 მარტს, ოპერის თეატრში გაიმართება ვიქ. ვიქტოროვის გამოსათხოვარი გასტროლი. წარმოდგენილი იქნება „სოფლის პატიოსნება" და „ჯამბაზები".

— **„დაისი".** დღეს, ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება ზ. ფალიაშვილის ოპერა: „დაისი".

— **რუსთაველის თეატრში.** წარმოდგენილი იქნება „ინტერესთა თამაში".

— **ცნობილ ბარიტონის ს. გიგაიას გასტროლები.** ახლო ხანში ოპერის თეატრში დაიწყება საქვეყნოდ ცნობილ მომღერალის ბარიტონის ს. გიგაიას გასტროლები.

— **კინო ჟურნალი.** ამ დღეებში რუსულ ენაზე გამოვა კინო-ჟურნალი, რომელშიაც მოთავსებული იქნება სპეციალური ხასიათის წერილები კინოზე და რეცენზიები ადგილობრივ და უცხო ფილმების სურათებზე.

— **ცირკში.** წარმოდგენა ახალი პროგრამით და ძმ. ტანტების მონაწილეობით.

— **ჟურნალი „ახალი კავკასიონი".** დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასასყიდათ სრ. საქართველოს მწერალთა ჟურნალი: „ახალი კავკასიონი".

— **ზოოლოგიური ბაღის** მოსაწყობათ თბილისში განათლების კომისარიატმა მოიწვია ცნობილი ზოოლოგი ვლადიმერ დუროვი.

დღეს კინოებში

— ოაზის—„იყუჩე, მწუხარებავ, იყუჩე".

— არფასტო—„ნაპოლეონის შიკრიკი".

— მინიონ—„პაპიროსების გამყიდავი ქალი".

— პალას—„მუცლის მოშლა".

— აპოლო—„ფული და სიყვარული".

— სოლეი—„პაპიროსების გამყიდავი ქალი".

— აისი—„ნახტომი ცხოვრებისაკენ".

კინო

საქართველოს კინო-მრეწველობაში.

გერ. გოგიტიძე ბერლინში.

საქართველოს კინო-მრეწველობის დირექტორი-გამგე გოგიტიძე, რომელიც საფრანგეთში მიემგზავრება საქართველოს კინო-მრეწველობის საქმეების გამო, ჩავიდა ბერლინში, სადაც ის საბოლოო მოლაპარაკებას გამართავს ფირმა „ვესტი"-სთან ზოგიერთ ქართულ ფილმების გაყიდვის შესახებ.

საქართველოს კინო-მრეწველობის მიერ ფირმა „ვესტი"-სთან უკვე დადებული იყო წინასწარი შეთანხმება „წითელი ეშმაკუნები"-ს და „მამის მკვლელი"-ს გაქირავების შესახებ. შესაძლებელია, რომ შეთანხმება გავრცელდეს ჩვენი კინო-მრეწველობის სხვა სურათებზეც.

ახალი სურათები.

საქართველოს კინო-მრეწველობის კინო-ფაბრიკაში დამთავრდა ცირკის და კაბარეს აგება „წითელი ეშმაკუნების" გასაგრძელებლათ.

დასმა, რომელიც მონაწილეობას იღებს „წითელი ეშმაკუნების" გაგრძელებაში, დაამთავრა ნატურული გადაღება ქობულეთში, ბორჯომში და ბაკურიანში და ამჟამად რეჟისორ ი. პერესტიანის მეთაურობით იმყოფება საქართველოს სამხედრო გზაზე. იქიდან დაბრუნებისას, დასი გაემგზავრება ბაქოში სურათების გადასაღებათ ბიბი-ეიბათის ნავთის რაიონში. შემდეგ დაიწყება სცენების გადაღება კაბარეში და ცირკში, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებს 1000 კაცი.

„მჭედელი მიქავა"

რეჟისორი ბეკ-ნაზაროვი მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებს კინო-სურათ „მჭედელ მიქავას" გადასაღებათ. კინო-ფაბრიკაში ამ სურათისთვის აგებული იქნება ჰარამხანა. შენობების და კოსტიუმების ესკიზები შესრულებულია მხატვარ სიდამონ-ერისთავის მიერ.

აფერისტი—ოთხი ცოლის პატრონი

ამერიკაში ძალიან არის გავრცელებული აფერისტობა მრავალცოლიანობით. რამდენჯერ შეგვხვედრიათ გაზეთებში, რომ ერთ კაცს მოუტყუებია ასზე მეტი ქალი: ჯვარი დაუწერია, ქონება დაუცინცლია, დროებაც კარგი გაუტარებია და მერე მიუტოვებია ყველანი.

ჩვენსაც დაიწყეს ასეთი ოინების ჩადენა. მართალია ას შემთხვევამდის ვერ ადის მათი აფერისტობა, მაგრამ როგორც ამერიკელებზე უფრო პატარა კაცები—სჯერდებიან ოთხი და ხუთი განავარდებით.

17 მარტს ჩვენს რედაქციაში შემოვიდა გორის მაზრის სოფ. მეტეხის მცხოვრები გლეხი (პარტიული ამხანაგი) ლაზარე ასლამაზიშვილი და ამის დამწერს უამბო შემდეგი:

სოფელ მეტეხის მცხოვრებლებს **ილიკო ოდოშაშვილს და კოტე ტაბაშვილს გაუცვნიათ** მისთვის ვინმე **გიორგი ესტატეს ძე ჩოფიკაშვილი** და ურჩევიათ მიეთხოვებია ამ ვაჟბატონისთვის მისი გასათხოვარი ქალი ელენე.

ამ საქმის მორიგებაში უდიდესი მონაწილეობა მიუღია თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის პასუხისმგებელ მოხელეს—**ირაკლი იანქოვს.** ის თურმე ყოველნაირად აქეზებდა და არწმუნებდა ასლამაზიშვილს თავის სასიძოს კაი კაცობაში. ბოლოს საწყალი გლეხკაციც დაჰხარბებია—ნასწავლი სიძე მაინც მეყოლება და იოლად წამიღებს ცხოვრებაშიო; ამდგარა და მიუთხოვებია თავისი 16 წლის ქალიშვილი.

გასული წლის ნოემბრის დასაწყისში საუცხოვო დარდიმანდული ქორწილი გადაუხდიათ სოფ. მეტეხში, რასაკვირველია, სიმამრის ხარჯზე.

შემდეგ ყოველთვის მობრძანდებოდა ქალაქიდან სიძე კაცი თავისი დოსტ იანქოვით, ქეიფობდენ, ატარებდენ დროებას ასლამაზიშვილის პურ-მარილზე. შემდეგ კარგათაც დასტვირთავდა ხურჯინებს პატიოსანი სიძე და ისე გაუდგებოდა ქალაქს.

როცა სიმამრი ეკითხებოდა ჩოფიკაშვილს, თუ რა ხელობაზეა ქალაქში, ის ეუბნებოდა: ჯერ ცუდათ ვარ და ჩქარა ვიშოვი კარგ ადგილს ირაკლი იანქოვის შემწეობითო; მანამდისინ კი როგორმე იოლად წამიღეთო.

ხშირად ჩოფიკაშვილი მუქარასაც კი მიმართავდა ხოლმე, თუ არ დავეხმარებოდი,—ამბობს ლაზარე ასლამაზიშვილი.

ბოლოს გაბეზრდა თურმე ასლამაზიშვილი სიძის ასეთი მუქთახორობით და წამოვიდა ქალაქში მისი ამბის გასაგებათ. კითხვის-კითხვით მიაგნო თურმე იმის ბინა **რეუტოვის ქუჩაზე № 35.** მაგრამ რას ნახავს ასლამაზიშვილის თვალები! **ჩოფიკაშვილს ნამდვილი ცოლშვილიანი ოჯახი ჰქონია მოწყობილი და ასლამაზიშვილიდან თურმე აქ ეზიდებოდა მთელ სურსათ-სანოვაგეს.**

ასეთი აფერისტული და შემოსავლიანი ჯვრის წერა თურმე მესამეთ თუ მეოთხეთ მოუხერხებია ჩოფიკაშვილს.

მაგრამ ნათქვამია—კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანსო და ჩოფიკაშვილიც 17 მარტს დილით უკვე მიიპატიჟეს სისხლის სამართლის მილიციაში.

თვითონ გლეხი ასლამაზიშვილი კი ჩოფიკაშვილზე ნაკლებ ბრალს არც ირაკლი იანქოვსა სდებს, რადგან ყველაზე მეტად ის არწმუნებდა თავის სასიძოს კეთილსინდისიერებაში და თავდებადაც უდგებოდა.

ასეთ გარემოებას საგანგებოდ უნდა მიექცეს ყურადღება და სასტიკად დაისაჯონ ქალაქის ის უმსგავსო აფერისტები, რომლებიც ასე ბოროტად ატყუებენ საწყალ გლეხკაცს, დაულახავენ ოჯახის პატიოსნებას და არბევენ მას ქონებრივადაც.

თანამშრომელი.

ს. ს. ს. რ. სახ. კომ... სანინფორმაციო-განყ... კომ...

მუშათა ცხოვრება

უპატრონო ბავშვები

(ქალ. ალმასკომის და ჯანსახკომის საყურადღებოდ).

თბილისის ქუჩებზე ისევ გაჩნდენ უპატრონო, ძონძებში გახვეული ბავშვები. ყოველ ფეხის ნაბიჯზე წააწყდებით მათ. ტრამვაის ვაგონს 3—4 შემოუწყდება. ისე ქუჩაში გავლისას ხომ მოსვენებას არ გაძლევენ. საშინელ ბინძურებაში არიან გახვეულნი. მოურიდებლად გაჰოტყდებიან. გულშემზარავად მათხოვრობენ. ხოგჯერ არაფერი გაქვს და საშინელ უკმაყოფილებას გრძნობ, რომ ვერ აკმაყოფილებ.

ღამით ქუჩაში ყრიან, ავრცელებენ სიბინძურეს, მასთან ერთად, ცხადია, ავადმყოფობასაც.

მრავალია მათში მოზრდილებიც 15—16 წლისანი. ეს მოვლენა ყურადსაღებია.

ალმასკომო და ბავშვთა დაცვის ორგანო! მიაქციეთ ყურადღება.

ჯანმრთელობის კომისარიატსაც მართებს ზრუნვა ამ საქმეზე, რომ თავიდან იქნეს აცილებული, ამ გაზაფხულის პერიოდში ეპიდემიის საფრთხე.

მუშკორი იმედი.

გაგვიღეთ კარები

(ალმასკომის საყურადღებოდ)

რუსთაველის პრ. № 27 სახლში, რომელიც ეკუთვნის ალმასკომს, ვცხოვრობთ მბეჭდავთა კავშირის წევრები. მესამე სართულში კი იმყოფება ამ.-კავ. საპორტო განყოფილება და აგრეთვე სცხოვრობენ სხვა ოჯახებიც.

ხსენებულმა დაწესებულებამ დღიდან თავის გადმოსვლისა ჩაგვიკეტა წინა კარები („პოდიეზდის“), რომელიც აუცილებელია და ერთადერთი კარია მეორე სართულისათვის, სადაც ჩვენ მუშები ვცხოვრობთ. ამ გარემოებამ ჩვენ აგერ რამოდენიმე თვეა ჩაგვაგდო აუტანელ მდგომარეობაში, ვინაიდან იძულებული ვართ ზემოხსენებული მიზეზის გამო მეორე სართულიდან ჩავიდეთ ეზოში და იქიდან კი გავიდეთ ალაყაფის კარებით თეატრალურ შესახვევში. სხვათა შორის ალაყაფის კარებიც არ არის ხშირად თავისუფალი, ვინაიდან ამ ეზოში არის საწყობები და ხშირად მიდის ისეთი საქონელი, რომლის გადატანის დროს შეუძლებელია გავლა, ამის გამო ქუჩაში გვიხდება ლოდინი, სანამ გზა განთავისუფლდებოდეს. არც ხანძარის დროს ვართ უზრუნველყოფილი, რომ თავი დავაღწიოთ უბედურებას, ვინაიდან წინა კარები ჩაკეტილი გვაქვს.

ამ საქმის შესახებ ჩვენ მივმართეთ ალმასკომს კოლექტიური განცხადებით ჩვენივე კავშირის დასტურით, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყვა.

საჭიროა ალმასკომმა ეს საქმე სასწრაფოდ გამოასწოროს.

ხელს აწერს 12 კაცი.

პარიზის კომუნარების ხსოვნას

თქვენ დაწყებულ წმინდა საქმეს
თქვენგან ჩაყრილ საძირკველზე,
თქვენი სისხლით შეზავებულ
თქვენ მიწა-მტვერს და თქვენ ძვლებზე

ჩვენ ვაშენებთ ძმობის ტაძარს,
მაშვრალთათვის თავ-შესაფარს,
ახალ შრომის სამეფოს ვჰქმნით
მტარვალთათვის გულის შემზარს.

შრომა, ბრძოლა, ბრძოლა-შრომა,
ოფლი სისხლი, ერთ-ურთ ამკობს,
მთელი ქვეყნის ბოროტებას
დღეს თუ ხვალე ჩამოამხობს.

შრომის შვილი შრომის შვილსა
კიდით კიდე გადაძახებს:
გაუმარჯოს შეერთებულს,
თავისუფალ მშრომელ ხალხებს.

შრომის შვილი თქვენ საფლავთან
მუხლს მოიდრეკს, მოილხინებს,
გამარჯვებით გულხვიადი
გაგახარებთ წითელ გმირებს.

იდუმალ ხმით „ვაშას“ გიძღვნით
გამარჯვებულთ მთა და ველი
ნეტავ იმ დღეს!.. არ იქნება
არც ჩაგრული, არც მჩაგვრელი...

მუშა შაკრო ნავთლუღელი.

მოგვეცით ბინა

(განათლების სახკომატის საყურადღებოდ).

განათლების კომისარიატმა სასწრაფოდ უნდა მიაქციოს ყურადღება სტუდენტების იმ ნაწილს, რომლებიც მის მიერ გამოგზავნილი არიან სახ. უნივერსიტეტში სტიპენდიით და უბინაოთ იმყოფებიან.

მართალია რამოდენიმე სტიპენდიატი საერთო საცხოვრებელ ბინებში იქნა მოთავსებული, მაგრამ ნაწილი მაინც ვართ დარჩენილი უბინაოდ. თითქმის წელიწადი თავდება მას აქეთ, რაც მთელ დროს ოთახის ძებნაში ვატარებთ. მეცადინეობაზე ლაპარაკიც ზედმეტია იმ მდგომარეობაში, რომელშიდაც ჩვენ ვიმყოფებით. თავის თავად ცხადია ჩვენ ვერ შევსძლებთ ვიქირაოთ ათი და ოცმანეთიანი ოთახები.

საკითხის სამართლიანად გადაჭრისათვის საჭიროა ან მოგვეცეს ბინა და ან მოგვიხსნათ სტიპენდია, რომ სხვა საქმე მაინც გავაკეთოთ და უშედეგო ლოდინში უქმად არ გავატაროთ დრო.

ზედმეტი არ იქნება სტიპენდიანტთა გამგეობამაც გამოიბერტყოს ყური და ამ მდგომარეობაზე მაინც შეიწუხოს თავი.

სტიპენდიატი **ი. ბანი.**

უნდა დაისაჯოს, რომ სხვამ არ გაბედოს

(ჩვენი სენაკელი მუშკორისგან)

სენაკის მაზრის პოზდეევის სახ. ქარხნის მუშას დიომიდე თელიას სენაკისს სამფინგანიდან მიეცა 429 მან. საგლეხო სესხის ობლიგაციების გასასაღებლად. ყველამ იცის, თუ რა დიდი მაიშვნელობა აქვს საგლეხო სესხის გასაღებას სახელმწიფოსათვის და აი სწორედ მაზრაში კარგათ ჩატარდა ეს კამპანია, მაგრამ, დახეთ უბედურებას, მოქალაქე დიომიდე თელიამ აიღო ფულად ობლიგაციების გასაღებისაგან 429 მანეთი და თვითონ მოიხმარა. სენაკის სამფინგანის მიერ საჭირო ზომები იქნა მიღებული და ბოროტმოქმედი დაჭერილია და საქმე გადაცემულია სასამართლოსთვის.

მუშკორი ბანი.

სირცხვილი კავშირის ასეთ წევრებს

ა. წ. მარტის 9—1 საერთო სამოქალაქო ხეზე მომუშავეთა კავშირის წევრების კრება მოხდა. მოხსენება გააკეთა ამხ. კაბანოვმა. ამ კრებაზე თვით კავშირის წევრები წესრიგს არღვევდენ, სიმთვრალის გამო. საჭიროა კავშირის ყურადღების მიქცევა.

მუშა დამსწრე ავი.

ალაგმეთ ეს ბოროტი დედაბერი

(ქალ. მილიციის საყურადღებოდ)

თბილისის მთავარ სახელოსნოს მუშას გერასიმე ჭიჭინაძეს 1923 წ. იანვრის თვეს გარდაეცვალა მეუღლე, რომლისგანაც დარჩა მცირე წლოვანი ბალღი 4 თვისა. მას უნდა მიებარებინა ბალღი ძიძასთვის, მაგრამ სიდედრი აღარ მოეშვა და ძალა დაატანა, რომ ბალღი მიეცა მისთვის. ესეც დათანახმდა და პირობით მისცა თავისი ბავშვი სიდედრს ელისაბედ სულხანიშვილისას, რომელიც ცხოვრობს აქვე ქალაქში. ასე ამგვარად ჭიჭინაძეს დაეკალა ბავშვის სარჩოთ ყოველ დღე 4 ჭიქა რძე და კვირაში 2 გირ. „სუქარი“ და 1 გირ. შაქარი. გარდა ამისა, რაც დარჩა ტანსაცმელი ცოლისა და მასთან ერთი მეწველი თხა, რომლებიც შეფასდა 130 მანეთად. ყოველივე ესენი ჭიჭინაძეს—მიერ იქნა პირნათლად შესრულებული, მაგრამ განვლო დრომ და ბავშვი თანდათანობით დაავადმყოფდა მოუვლელობისა გამო. მამამ (ჭიჭინაძემ) ბავშვი გამოართვა სიდედრს და მიაბარა თავიანთ ნათესავებს, ესი იწყინა ქ-ნ ელისაბედმა და მისცა საჩივარი სახალხო სასამართლოს, სადაც იქნა გარჩეული საქმე და მოგებულიც, ვინაიდან მის საჩივარს არ ჰქონდა საფუძველი. ის მაინც არ ეშვება და ეხლა მესამედ უჩივის საწყალ კაცს 240 მანეთს. რისთვის და რაზე, ალაჰმა უწყის. აქ სხვათა შორის სამწუხარო ისაა, რომ ეს მუშა მას სცდება მუშაობას და როგორც თავის ჯიბეს, აგრეთვე საწარმოოს აყენებს ზარალს უთავბოლო ხეტიალით სასამართლოებში.

საჭიროა აილაგმოს ბოროტი დედაბერი.

მუშ. წუმწუმა.

განათეთ კლუბი

(1-ლი რაიონის რაისაბჭოს და ტეკას საყურადღებოდ)

რამდენჯერ დაწერილა გაზეთის ფურცლებზედ შესახებ იმისა, რომ 1-ლი რაიონის კლუბი გაუნათებელია და პიონერებს უხდებათ სიბნელეში მეცადინობა. კლუბს საკმაო განათება სჭირია. პიონერები უსინათლობის გამო დიდ უკმაყოფილებას და უსიამოვნებას გამოსთქვამენ.

მ—ი შურიკო

წერილები პროვინციიდან

გამოგვ გზავნეთ კბილის ექიმი

ს. მუხრანი (დუშეთის მაზრა)

(ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საყურადღებოდ).

როგორც სოფ. მუხრანის სახელმწიფო უნივერსიტეტის მამულის, აგრეთვე სად. ქსანთან არსებული კრამიტის ქარხნის მუშა-მოსამსახურეები, რომლების რიცხვი აღემატება 400 კაცს, და მთელი გლეხობა მუხრანის რაიონისა, [illegible] იცდიან დიდ გაჭირვებას, კბილის ექიმის უყოლობის გამო და ავადმყოფობის დროს უხდებათ მათ ქალ. თბილისში წასვლა საექიმოდ. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება.

აქაური.

წყალტუბოს თემი

რა არის გაკეთებული კულტურულ დარგში

წყალტუბოს თემი, მიუხედავათ იმისა, რომ მას ეკონომიური მდგომარეობა ხელს არ უწყობს, კულტურულად დაწინაურების გზაზე დგას. აქ იშვიათად ნახავთ ისეთ პირს, მოხუცსაც კი, რომელმაც წერა კითხვა არ იცოდეს. ახალგაზრდებში მრავლათ მოიპოვება კულტურული ძალებიც. ადგილობრივი მცხოვრებზე განვითარების მხრით დიდ გავლენას ახდენს თვით ადგილობრივი აგარაკი თავისი სხვადასხვა და უცხო ქვეყნიდან მოსულ სტუმრებით, აგრეთვე ის ფაქტიც, რომ აქაურ მცხოვრებთ ხშირად უხდებათ ქალაქებში და სხვა ადგილებში განსაკუთრებით შავი ზღვის ნაპირზე სამუშაოს ძებნა.

ამ თემში გახსნილია 10 პირველი საფეხურის შრომის სკოლა, რომელშიაც ითვლება ათასამდე მოწაფე და 1 შვიდწლედი (რომელიც წრეულს გაიხსნა), სადაც წრეულსვე სწავლობს 120-მდე ახალგაზრდა. შვიდწლედისათვის თვით გლეხობამ აავო შენობა. არის თეატრი, სადაც აწარმოებს მუშაობას, სდგამს წარმოდგენებს, საღამოებს და სხვ. ადგილობრივი დრამატწრე კომკავშირელებისა და ძველი ძალებისაგან შემდგარი მოქ. ჰ. კინწურაშვილის ხელმძღვანელობით. თეატრი და დრამწრე კაი ხანია არსებობს, ხოლო მას ამდენ ხანს გაცხოველებული მუშაობა არ ახასიათებდა, ჯგუფური კინკლაობის გამო.

თემს აქვს სამკითხველო და ბიბლიოთეკა. სამკითხველოს ყოველ დღიურათ მოსდის 20 ცალად გაზეთები: „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „მუშა“, „ახალი სოფელი“ და „წითელი ვარსკვლავი“. სამკითხველოს მკითხველები ზაფხულობით უფრო მეტი ჰყავს. ბიბლიოთეკა საკმაო წიგნები მოიპოვება. ერთიც ცუდი, რომ სამკითხველოს და ბიბლიოთეკას კარგი ბინა არა აქვს. საჭიროა მათთვის კარგი ბინა ან აგარაკის შენობაში ან კერძო.

ა. ც.

ხოფ მე-2 ონტოფი

1-ლ ონტოფოს თემი (სენაკის მაზრა,

ხსენებულ სოფელში მოქალაქე გიორგი კაკულიას აქვს პატარა დუქანი, რომლის დანიშნულების გარკვევა ერთობ ძნელია.

სოფლისათვის საჭირო შიგ არაფერია, გარდა ღვინოსი, არაყისა და „ნარდი“-ს, რომელსაც ფუტკარივით ეხვევა მუშაობა-შრომაზე გამწყრალი.

პატიოსანი მოქალაქე ამ დუქანში შესვლას არც კი იკადრებს. ეს დუქანი ბევრჯერ გამხდარა მთელ სოფლის **ოჯახური უსიამოვნების მიზეზი.** მთვრალი ან და „ნარდი“-სგან „დამწვარი“ ოჯახში რომ ბრუნდებიან, არასასიამოვნო და უშვერი სიტყვებით ოჯახს რევენ და აფორიაქებენ. ბევრი ოჯახი გამოუთქვამს თავის გულისწყრომას ამ დუქნზე, მაგრამ თვით ამ სოფლის ინტელიგენტებიც დამშვიდებით უყურებენ ამ სურათს. ახლო-მახლო მცხოვრებთ თვით ღამითაც არა აქვთ მოსვენება დღიურ მუშაობით დაქანცულებს, ხან მთვრალები ასტეხენ აყალ-მაყალს და ლანძღვა-გინებას, ხან კი ნუნუათი შექეიფიანებულნი ღამის თორმეტ საათზე დავლურს უვლიან ქუჩაში. ამ მუქთა-ხორებისათვის მთელი კვირა უქმეა. შაბათს და კვირას ხომ უფრო ხშირად ხდება ასეთი ამბები პარასკეობის შემდეგ შეგროვილ ფულებიდან. სამწუხაროთ სოფლის გლეხობაც იღებს ხანდისხან მონაწილეობას ამ ამბებში. ამ თავგასულ ვაჟბატონს სჭირია ალვირის ადება. ადგილობრივო ხელისუფლებავ, თემის აღმასკომო, ვინ უნდა მიაქციოს ამ საქმეს ყურადღება? ვინ უნდა მოუღოს ბოლო ასეთ ცუდ მდგომარეობას?

მოგვეც ამის პასუხი.

მნახველი.

მოგვაშორეთ ასეთი მილიციის უფროსი

თელავის მაზრა

ამხანაგებო! გთხოვთ ყურადღება მოგვაქციოთ და გაიგოთ, თუ ვინ არის თელავის მაზრის მილიციის უფროსი.

ის არის ერთ ძველი აზნაურთაგანი და მასთან ნიკოლოზის აფიცერი, რომელიც მშრომელი გლეხობის დიდ ექსპლოატაციას ეწეოდა, რაზედაც მას მეტ სახელათ უწოდეს ბუმბულმაიორი. ეხლა კი მილიციის უფროსია. არ ვიცით როგორ მოხვდა ასეთი ვაჟბატონი ჩვენ მუშათა და გლეხთა მილიციაში. წარსულში რაც მოხდა-მოხდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენ მუშურ-გლეხურ მთავრობის დროსაც კი არ გვაძლევდა ის მოსვენებას.

1923 წლის დასაწყისი ეს ვაჟბატონი, პავლიკა როსტომაშვილი, დაპატიმრებული იყო თელავის პოლიტბიუროს მიერ, როგორც ფშაველის რაიონში მყოფი აგენტი ჩოლოყაშვილის ბანდისა.

მითხარით, ამხანაგებო, როგორ დაუწყებდა ის დევნას ბანდიტებს.

როსტომაშვილის დაპატიმრებაში მონაწილეობას იღებდა ახ. კომ. კავშირის წევრები და იგი ეხლა, როგორც თანამდებობის პირი, ჯავრს იყრის კომკავშირელებზე, სცემს კომკავშირელებს. ფაქტია, რომ ახტალის უჯრედის წევრს სცემა, კომკავშირის წევრი უმიზეზოთ დააპატიმრა.

გეკითხებით, შეუძლიან მაზრის მილიციის უფროსს კერძო ინტერესებით დააპატიმროს ციხეში მოქალაქე 12 დღე, არც დაჰკითხოს და არც შეატყობინოს, სადაც ჯერ არს?

თავის თანამშრომელს სცემა უმიზეზოთ და ისე სცემა, რომ თავიდან და პირიდან სულ სისხლი ადინა. ეს შეამოწმა ექიმმა. კვლევა-ძიებისათვის საქმე გადაცემული აქვს მაზრის პროკურორს.

სამილიციო ქონება-ფულს არ უფრთხილდება.

მილიციის კანცელარიაში შეყარა თავისი და ნათესავები და საეჭვო პირები.

სისტემატიურათ ლოთობს, ყოველ დღე დადის „ჭუკივით“, ესე იგი მთვრალი. მითხარით, ამხანაგებო, რა უნდა გააკეთოს ასეთმა მილიციის უფროსმა. მაზრაში ის თითქმის ერთი წელიწადია და ერთი ქათმის ქურდიც ვერ დაუჭერია და ვერ გამოუტეხია. თუ რაიმე გაკეთებულა, ისევ გლეხებისა და მილიციონერებისაგან. ამიტომ ბატონ როსტომაშვილს ჩვენში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

არ. ბუღდიაშვილი.

პროვინციის ქრონიკა

თელავი

თებერვლის ნახევრის შემდეგ მშვენიერი თბილი ამინდი დაიჭირა. [illegible] ბარად დიდი ხანია აიღო. [illegible] თითქმის ცხელა კიდეც.

14 მარტს პირველად იქუხა, [illegible] წვიმა წამოვიდა.

— თელავის სახალხო სახლი ჩქარა იქნება დამთავრებული. საკალატოზო და სადურგლო თითქმის გათავებულია. ერთი თვის შემდეგ სულ მზად იქნება. იგი დაიტევს 450—500 კაცს. გახსნა მოხდება 1 მაისს.

— **ცხინვალში** შეუდგენ გლეხთა სახლის აგებას.

— **სანიმუშო სოფელი.** სამხ.-ოსეთის ცაკმა აირჩია კომისია სოფ. ცუნარის დასაგეგმავათ. აღნიშნული სოფელი გაშენებული იქნება სანიმუშოთ.

— **ქუთაისში** გაიხსნა პლექის საექიმო ამბულატორია. ეს ამბულატორია პირველია დასავლეთ საქართველოში.

— **უპატრონო ბავშვთა დასახმარებლათ.** ცხინვალში დაარსდა უპატრონო ბავშვთა დამხმარე საზოგადოება.

— **ტყის დამუშავება.** ბორჩალოს სატყეებში დამუშავებული იქნა 10,681 მ. 74 კ. ხე ტყე.

— **სამტრედიაში** დაარსდა უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით მტვირთავთა შრომის კოლექტივი.

— **ჭიათურაში** დაზღვეულთა რიცხვი ამჟამად აღწევს 5,000-მდე.

— **ლიუქსემბურგში** გაჩნდა საქონლის ჭირი, რომლის წინააღმდეგ მიღებულია ზომები.

ჩვენი ფოსტა

ცხრამებატონელს. ხელმოუწერელ წერილებს ჩვენ არ ვბეჭდავთ.

ახკორ ცეცხლს. თქვენი ფსევდონიმი ჩვენ არაფერს გვეუბნება. გვაცნობეთ ვინაობა.

ს. გაგოშიძეს. თქვენ ცოტა დაიგვიანეთ. თქვენ მიერ აღძრული საკითხის გარშემო მუშაობა უკვე დაწყებულია.

ხონ. ი. ფალავას. ფოსტით მოცემული პასუხი თქვენ გეხებოდათ. კორესპონდენტთა კრებას ნუ მოიწვევთ.

მაყურებელს. თქვენს კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტის გამოსაძიებლად მიღებულია ზომები.

ბ-თომი. ხელისმომწერს ს. ტ. გეგეჭკორს. ა | წ. 18 მარტიდან ძველი მისამართით თქვენი გაზეთის გზავნა შევსწყვიტეთ, თანახმად თქვენი წერილისა. ამ დღიდან გაზეთს მიიღებთ ახალი მისამართით, მხოლოდ მისამართის გამოცვლით გამოწვეული ხარჯები—40 კ.—თქვენ უნდა გადაიხადოთ.

იურიდიული რჩევა-დახმარება

როგორ მოვიქცე რომ სარჩო მივიღო შვილებისაგან

კითხვა

მაქვს თუ არა უფლება მოვთხოვო საზრდო შვილებს, რომლებიც მსახურობენ რკინის გზაზე და აქვთ სათანადო შრომის ხელფასი. მე ამჟამად ვცხოვრობ უმუშევარ შვილთან ვარ 58 წლის, დაავადმყოფებული, ქვრივი. მინახავს გაჭირებით უმუშევარი შვილი ზაქარა, ცოლშვილიანი და მეტად ღარიბი.

ქვრივი პელაგია გვარამაძე.

პასუხი

თანახმად დეკრეტი № 28-ის მუხ. 126, 124, 125, 127-ისა შვილები ვალდებული არიან თანაბრად არჩინონ თავიანთი გაჭირვებული (უმწეო) და შრომის უნარდაკარგული (მოხუცი, ავადმყოფი) მშობლები, თუ ამ უკანასკნელთ არ ეძლევათ სახელმწიფოდან არავითარი სარჩო.

თუ შვილები ნებაყოფლობით არ აძლევენ გაჭირვებულ მშობელთ საზრდოს, მაშინ ამ უკანასკნელთ აქვთ უფლება მათი (მშობლების) ბინადრობის მიხედვით აღძრან საჩივარი სახ. სასამართლოში და მოითხოვონ კუთვნილი საზრდო.

ბინიდან გვაგდებენ, როგორ მოვიქცეთ

კითხვა

მე ვარ ფიზიკური მუშა, პროფკავშირის წევრი; მიკავია ერთი ოთახი, სადაც ვცხოვრობთ ოთხი სული. სახლის პატრონი აპირებს სახლის დანგრევას და მის ნაცვლად „ახალი სახლის აშენებას“ და მოითხოვს დავცალოთ ბინა. ჩვენ ვინ მოგვცემს ბინას? არ ვიცით სად წავიდეთ. ვალდებულია თუ არა სახლის პატრონი, რომ თვითონ გვიშოვნოს ბინა.

მუშა ბაკურაძე.

პასუხი.

თუ სახლს აქვს გაფუჭებული და დაზიანებული მთავარი ნაწილები (როგორც მაგ. საძირკვლები, კედლები და სხ.) ისე, რომ მოსალოდნელია მისი დანგრევა, რის გამო მდგმურებს მოელით საშიშროება, სახლის პატრონს აქვს უფლება და კიდეც ვალდებულია მოითხოვოს მდგმურებისაგან სახლის დაცლა მისი შეკეთების მიზნით და მდგმურები ვალდებული არიან დასცალონ ბინები.

მხოლოდ სახლის კაპიტალური შეკეთების აუცილებლობა უნდა იქნეს დადასტურებული ქალ. ალმასკომის ტეხნიკის მიერ.

ბინები სახლის შეკეთების შემდეგ უნდა დაუბრუნდეთ მათ უწინდელ მობინადრეთ.

როგორ უნდა გამისწორდეს ადმინისტრაცია?

კითხვა

1. თანახმად შრომის კანონთა კოდექსის 81 მუხლისა, იმ მოსამსახურეებს, რომელნიც ადმინისტრაციის განკარგულებით, ან სამსახურის საჭიროების მიხედვით, მივლინებაში იმყოფებიან, ეძლევათ დღეში 1 | 24 ჯამაგირისა.

გთხოვთ მაცნობოთ, რამდენი უნდა მიეცეს მოსამსახურეს უქმე დღეებში მივლინებაში ყოფნის დროს.

2. ზედმეტი მუშაობის წარმოების დროს, აგრეთვე უქმე დღეებში, როგორი ანგარიშით უნდა მიეცეს მოსამსახურეს ზედმეტი ნამუშევრის ჯილდო.

პრ. კავშირის წევრი № 269.

პასუხი

მივლინებაში მყოფ მუშა-მოსამსახურეთ ყოველდღიურად ეძლევათ თვიური შრომის ხელფასის ერთი ოცდამეოთხედი, აგრეთვე მათ უნდა აუნაზღაურდეს ყოველგვარი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია მივლინებით. ზედმეტ საათებში მუშაობისათვის მუშა-მოსამსახურეთ ეძლევათ ჯილდო შემდეგი რაოდენობით: ზედმეტი მუშაობის პირველ ორ საათებში მათ ეძლევათ საათობრივ ნორმალური ჯილდო ერთნახევრის რაოდენობით; შემდეგ ყოველ საათზე ჯილდო ორკეცდება; ასეთივე გაორკეცებული ჯილდო უნდა მიეცეთ მომუშავეთ კვირა და უქმე დღეებში მუშაობისათვის.

(იხ. შრ. კან. კოდექსი მუხ. 81 და 60).

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 9.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სრულიად საქართველოს მეაბრეშუმეთა კოოპერატიული საზოგადოების „აბრეშუმის“ დაარსების შესახებ.

მეაბრეშუმეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საქართველოში, რასაც სათანადოდ უნდა დაიდოს მეაბრეშუმეთა თვითმოქმედება და მათი გაერთიანება კოოპერატიულ ორგანიზაციების პრინციპზე, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსდეს სრულიად საქართველოს მეაბრეშუმეთა კოოპერატიული საზოგადოება „აბრეშუმი“.

2. მეაბრეშუმეთა კოოპერატიული საზოგადოების „აბრეშუმი“-ს მიზანია:

ა) მიაწოდოს მწარმოებელთ საღი თესლი, ნერგი, ქაღალდი და მეაბრეშუმეობისათვის საჭირო სხვა მასალა.

ბ) მოაწესრიგოს აბრეშუმის პარკის დაგროვება, გასაღება წევრებისათვის დამატებითი მოგების მიცემით, დაგროვებული პარკის ადგილობრივ გადამუშავება და სხვ.

გ) ხელი შეუწყოს მეაბრეშუმეობის განვითარებას, როგორც სათანადო ცოდნის გავრცელებით, ისე პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებით.

3. სპეციალურ კოოპერატიულ ამშენებლობას მეაბრეშუმეობის საქმეში საზოგადოება „აბრეშუმი“ განახორციელებს ორსაფეხურიანი სისტემის შექმნით: ადგილობრივ რაიონულ სპეციალურ ამხანაგობათა და ცენტრალური ორგანოს (მათი კავშირის) მოწყობით

4. ადგილობრივი რაიონული სპეციალური ამხანაგობის მიზანია:

ა) მიაწოდოს წევრებს საჭირო საწარმოო მასალა (ჭიის თესლი) ან გაცოცხლებული ჭია, თუთის ნერგი), ქაღალდი და სხვ.

ბ) დააგროვოს აბრეშუმის პარკი (ხარისხებად დაჰყოს, მოაწყოს გამოსახარში ქვაბები, საწყობები და სხვ.), და გაუწიოს წევრებს ავანსი მიღებული პარკისათვის

გ) ხელი შეუწყოს ადგილობრივ მეაბრეშუმეობას გაუმჯობესებას (რაციონალური მოვლა, კვება, ხარისხებად დაყოფა, ჭიის სნეულებასთან ბრძოლა და სხვა).

5 მეაბრეშუმეთა კოოპერატიული ცენტრალური ორგანოს მიზანია:

ა) გაუწიოს მეაბრეშუმეობას საერთო ხელმძღვანელობა.

ბ) მოაწესრიგოს აბრეშუმის ნაწარმოების გადამუშავება-რეალიზაცია

გ) მიაწოდოს მეაბრეშუმეთ საჭირო ხელსაწყო და მასალა

დ) მოამარაგოს თუთის თესლი და სხვ. საჭირო მასალა.

ე) გააფართოოს ადგილობრივ ჭიის თესლის (გრენაჟის) დამზადება.

ვ) საერთოდ, იზრუნოს მეაბრეშუმეობის განვითარებაზე.

6. საზოგადოება „აბრეშუმი“-ს ორგანიზაციისათვის მოეწყობა სამი პირისაგან შემდგარი საორგანიზაციო ბიურო რომელსაც დაევალება ყველა წინასწარი სამუშაოს შესრულება (წესდების შედგენა და სხვ.). საორგანიზაციო ბიუროს წევრებს დანიშნავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ ეკონომიური საბჭო.

7. საორგანიზაციო ბიუროს აქვს იურიდიული პირის ყველა უფლება; მასვე გადაეცემა პარკის საოპერაციო ფონდი, რაც მიღებული აქვს ცეკავშირს ნატურით (ფარდულები, საწყობები და სხვ.) ან ფულით, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. აპრილის 18-ს დადგენილების თანახმად.

8 საორგანიზაციო ბიურო აწარმოებს ყველა საჭირო საორგანიზაციო მუშაობას, ვიდრე ჩამოყალიბდებოდეს მეაბრეშუმეთა კოოპერატიული საზოგადოება „აბრეშუმი“, რისთვისაც მოწვეულ უნდა იქნეს მეაბრეშუმეთა ადგილობრივ კოოპერატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების კრება, რომელიც აირჩევს სრულუფლებიან გამგეობას და სხვა სათანადო ორგანოს.

9. საორგანიზაციო ბიურო ვალდებულია ჩააბაროს კრებას თავისი მოქმედების ანგარიში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ალ. საღარიძე.

1925 წ. მარტის 10.
თბილისი-სასახლე.

დადგენილება № 25|3

1925 წლის თებერვლის 3-ს

„მოსამსახურეთა შრომის დისციპლინის შესახებ“.

ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების მდგომარეობა მოითხოვს მუშათა კლასის და მთელი ძალების დაჭიმვას შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად. საქარხნო-საფაბრიკო წარმოებებში ამ მხრივ უკვე მიღებულია ღონისძიებები და მოპოვებულია მიღწევებიც, მაგრამ ამავე დროს შრომის ნაყოფიერების და დაწესებულებებში მომუშავე მოსამსახურეთა შრომის დისციპლინის მდგომარეობა ამ ჟამად ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

სამუშაო დღე საკმაოდ არ არის დატვირთული, მოსამსახურენი დროს კარგავენ პურის საჭმელად, დასასვენებლად და ყველაფერი ეს ხდება ნორმალურ სამუშაო დროის ხარჯზე. განსაკუთრებით ცხადათ სჩანს მოსამსახურეების მასიური და სისტემატიური დაგვიანება სამსახურში და სამუშაოს დატოვება დაწესებულ დროზე ადრე. ბევრ დაწესებულებაში არ არსებობს საკმაოდ მტკიცე დისციპლინა, მოსამსახურეები ვერ იჩენენ საჭირო აღმსრულებლობას და წესიერებას მუშაობაში და ვერ იძლევიან შრომის სრულ ინტენსივობას. ამასთან ერთად მთელ რიგს შემთხვევებში დაწესებულებათა ადმინისტრაციები არავითარ ზომებს არა ღებულობენ დაწესებულებათა ამ ნაკლის მოსასპობად.

აღნიშნავს რა ამ მდგომარეობას ს. ს. რ. კ. მუშათა და გლეხთა სახ. კომისარიატი და ს. ს. რ. კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაევალოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებას დაიწყოს მუშაობა დილის 10 საათზე და დაასრულოს დღის 16 ნახ. საათზე. პურის ჭამის წესი დადგენილი უნდა იქნეს ისეთი ანგარიშით, რომ პურის ჭამის დრო არ აღემატებოდეს 30 წუთს და არ არღვევდეს დაწესებულების მუშაობის ნორმალურ მსვლელობას

შენიშვნა: სამუშაოზე გამოცხადების დრო ვრცელდება აგრეთვე იმ პირებზე, რომელთა სამუშაო დღე განსაზღვრული არ არის.

2. სწორად აღნიშნულ დროს მუშაობის ფაქტიურად დაწყების უზრუნველყოფის მიზნით დაევალოს ყველა მოსამსახურეს, რათა მუშაობის დაწყებისათვის გამოცხადდენ ყოველგვარი დაგვიანების გარეშე და შეუდგენ მუშაობას, აგრეთვე დაასრულონ ის ამისათვის სწორად დაწესებულ ვადაზე.

3. დაწესებულებათა ადმინისტრაციამ დააწესოს სამუშაოზე მოსვლის და სამუშაოდან წასვლის კონტროლის ფორმები, დაწესებულების ხასიათის მიხედვით საფაბრიკო-საქარხნო სისტემა, ტაბელის დაფები, საკონტროლო საათები, სანომრო მარკები და სხვა ამგვარი.

4. დაწესებულებათა ადმინისტრაცია ვალდებულია მიიღოს ზომები დაწესებულების შიგნით სასამსახურო დისციპლინის გასამტკიცებლად და დაგვიანების ან ადრე წასვლის მოსასპობად, აგრეთვე სამსახურის დროს პირად საქმეებზე სამუშაოდან წასვლის ან სხვა ისეთი მოვლენის აღმოსაფხვრელად, რაც იწვევს მუშაკების მიერ სამუშაო დროის სამსახურის გარეშე მიზნებისათვის დახარჯვას, რისთვისაც შრომის დისციპლინის დამრღვეველთა წინააღმდეგ მიღებული უნდა იქნეს დისციპლინარული სასჯელი, სამსახურიდან დათხოვნამდისაც.

5. ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კოოპერატიულ დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა ერთი თვის ვადაში გადასინჯონ მოქმედი შინაგანი წესები და შეუცვალონ ისინი ამ დადგენილებასთან სათანადოთ.

6. შრომის სახალხო კომისარიატის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის ორგანოებს ევალებათ სასტიკი თვალყური ადევნონ ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

ს. ს. რ. კავშირის შრომის სახ. კომისარის მაგიერ ბახუტოვი.
ს. ს. რ. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექ. სახ. კომისარი კუიბიშევი.
შეთანხმებულია სრ. რუს. პროფკავშირთა საბჭოსთან დოგადოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიაში მიღება.

საქ. კომპარტიის ლენინის რაიკომი აუწყებს ქვემოდასახელებულ ამხანაგებს, რომ ისინი უნდა გამოცხადდენ ხუთშაბათს, 19 მარტს საღამოს 5 საათზე სანიტარულ განათლების კავშირის შენობაში ჩერქეზიშვილის ქუჩა № 118. რაიკომის პირდაპირ პარტ. სადელეგაციო კრებაზე კანდიდატობიდან პარტიის ნამდვილ წევრებად გადარიცხვის და ახალ კანდიდატების მიღების მიზნით.

ყველა პარტ. დელეგატების, კომუჯრედების მდივანთა და ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა:

კანდიდატობიდან პარტიის ნამდვილ წევრებად გადარიცხვა.

1. აბზიანიძე იონა, 2. ბელკინ სერგო, 3. ნიკოლაიჩუკ ივანე, 4. გივიაშვილი დავით, 5. კიკვილაშვილი ზაქარია, 6. ბლეტკინ პავლე, 7. ირემაშვილი ივანე, 8. გრჟიმოვსკი ალექსანდრე, 9. კრენდისოვ ივანე, 10. აზარაშვილი გიორგი, 11. ნარიკაევ ალექსანდრე, 12. კორნილოვი გრიგოლ, 13. თავაძე იოსებ, 14. ვაშაკიძე ვასილი, 15. თადიაშვილი გრიგოლ, 16. გვასალია ლევან, 17. პაპინაშვილი გიორგი, 18 მერაბაშვილი იოსებ, 19. როველიაშვილი ვასილი, 20. როდშიჩევ ნიკოლოზ, 21. რამიშვილი იპოლიტე, 22. ვეშაპიძე ივანე, 23. ელისაბედაშვილი ნიკოლოზ, 24. გასიევ მათე, 25. მელნიკოვ ლუკა, 26. სოროკოლეტოვ მიხეილ, 27. ესებუა ვასილი, 28. სანაიძე ივანე, 29. პაპიაშვილი გიორგი, 30. პავლოვი დიმიტრი, 31. ციცქიშვილი ილია, 32. თალიაშვილი ნიკოლოზ, 33. გევორკოვ ისკანდერ, 34. მესხაძე ნიკიფორე, 35. კამიშევ კუზმა, 36. ტერ-აზაროვი ზაქარია, 37. ვიტუხინ ათანასე, 38. ტიმოფეევი ანდრია, 39. მღებრიშვილი იოსებ, 40 ჩერვიაკოვი მიხეილ, 41. ჭიჭინაძე დავით, 42. კუბელაშვილი ბაგრატ, 43. რუნკოვი ილია, 44. დოროვსკი ნიკიფორე, 45. ცერცაძე ივანე, 46. კამალოვ ანტონ, 47. რაჭიაშვილი ნიკოლოზ, 48. ნუცუბიძე სიმონ, 49. რუნკოვი ნიკოლოზ, 50. ჩარაშვილი ილარიონ, 51. ხუბულური ალექსი, 52. იახტაძე სერგო.

პარტიაში ახალ კანდიდატების მიღება.

1. პაიჭაძე ვლადიმერ, 2. მახნიაშვილი მიხეილ, 3. ნიქორიძე ზაქარია, 4. მურადოვი ოგანეზ, 5. ლეჟავა პარმენ, 6. ნონიკაშვილი ესტატე, 7. ხასიევ სვიმონ, 8. მელაძე, 9. ჯანეზაშვილი ისაკი, 10. დანელია ისაკი, 11. კრომ ივანე, 12. ჩონაშვილი ბაგრატ, 13. ბოროდკინ გიორგი, 14. რთველაძე ივანე, 15. სულავა ალექსანდრე, 16. დედანოვ შალვა, 17. ოგნევ ანდრია, 18. ჟუკოვ პეტრე, 19. კაპანაძე ნიკოლოზ, 20. სოლონინი ალექსანდრე, 21. ლისენკო ნიკოლოზ, 22. მაისურაძე გიორგი, 23. მინდიაშვილი კონსტანტინე, 24. მესარიძე გიორგი, 25. ჯვარშეიშვილი კირილე, 26. სანოკოევი სერგო, 27. კამხაძე ნესტორ, 28. კოხრეიძე ემილიან, 29. ედომენკო ივანე, 30. ხიზანაშვილი ალექსანდრე, 31. გოგიჩაიშვილი ალექსი, 32. დავიდოვი იაკობ, 33. ჯანგველაძე აკაკი, 34. ჯარიშეიშვილი პავლე, 35. პორკინ ნიკოლოზ, 36. სუხიშვილი ვასილი, 37. ოქროპირიძე მარგო, 38. მაზმიშვილი ივანე, 39. ლაგვილავა ნიკოლოზ, 40 სამადაშვილი ნიკოლოზ, 41. მიკოიანც მიხეილ, 42. გოხალოვი ვასილი, 43. ქერიშვილი ესტატე, 44. ბერიაშვილი ზურაბ, 45. ასლანაშვილი დარჩო, 46 ბარნაბიშვილი დიმიტრი, 47. ქსოვრელი ალექსი, 48. ვაშაკიძე პარმენ, 49 გაბრიელოვა იულია, 50. მირზოევ კონსტანტინე, 51. გოზალოვი ბაგრატ, 52. მდინარაძე ვლადიმერ, 53. ახობაძე ლეონტი, 54. თოფურია ილია, 55. ხუციშვილი იაკობ, 56. დეკანოზიშვილი შალვა, 57. კალანდაძე ალექსი, 58, მგალობლიშვილი ნიკოლოზ, 59. ლომთათიძე თედორე, 60. მგელაძე ალექსანდრე, 61. გორდელაძე გრიგოლ, 62. ახობაძე ლევან, 63. მოროზოვი სვიმონ, 64. ნარასლაევი აბრამ, 65. მანუკიან კირაკოზ, 66. მენაბდე აკაკი, 67. სარაჯევ რუბენ, 68. ხედიაკოვი ნიკოლოზ, 69. ბარსეგოვა რანუმ, 70. კოკაჩეიშვილი ლიდა, 71. თოდრია ნინა, 72, ტროპნიკოვა მარიამ, 73 რემიზოვა კლავდია, 74. ფედოტოვა სუსანა, 75. შეგეტოვა მარიამ, 76. შენგელია ქეთევანა, 77. ასათიანი ელისაბედ, 78, გლობენკო ნინი, 79. შემაკოვა ტაისია, 80. ნათმელაძე ნინა, 81. სხირტლაძე ევა, 82. ფიმჩევა ვალენტინა.

ლენინის რაიკომის მდივანი—ქავთარაძე.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 18 მარტს, დღის 3 საათზე, წითელი თეატრის შენობაში (ყოფილი სახალხო სახლი) შესდგება სადელეგატო კრება არსენალის რაიონის უჯრედთა ბიუროების წევრების და უჯრედთა მდივნების თანადასწრებით.

დღის წესრიგი:
1) ამხ. **ივანოვ-კავკაზსკის** მოხსენება გერმანიაში მისი მოგზაურობის შესახებ.
2) პარტიის წევრებად გადაყვანა.
3) მიმდინარე საქმეები.

აუცილებლად უნდა გამოცხადდენ ყველა დელეგატები, მდივნები, უჯრედთა ბიუროების წევრები და ქვემოდ დასახელებული ამხანაგები:

1) აბრამიშვილი ნიკოლოზ, 2) აგამიანი ეკატერინე, 3) არუტიუნოვი ისაკი ალ., 4) აგასოვი სტეფანე, 5) აგიჯიანი არამ, 6) აბოვიანი სარქის, 7) აზატიანი ბახშო, 8) აივაზოვი არშაკ, 9) არუტიუნოვი ალექსანდრე მკრ. 10) აკოევი ტარას, 11) ალავერდოვი არტემ, 12) არუტიუნოვი არშაკ სიმონისძე, 13) ავდალოვი პეტრე, 14) აკოპოვა გაიანე, 15) არუტიუნოვი ხაჩატურ გრ., 16) ამერკულოვი გარეგინ, 17) არუტიუნოვი სარქის, 18) არუტიუნოვი გევორკ 19) ბებუთაშვილი გრიგოლ, 20) ბუბუიანცი სედრაკ, 21) ბადალიანი არამ, 22) ბაღდასაროვი ბენიამინ არტ. 23) ბოლტოვი გაბრიელ, 24) ბაშმახჩიანი ბორის 25) ბაზიანცი ბახშო, 26) მოიკო ალექსანდრე, 27) ბეკოევი ნიკოლოზ 28) მერმისაშვილი ნიკოლოზ, 29) ლოლობერიძე დიმიტრე, 30) გაგნიძე ალექსანდრე, 31) მორდიაშვილი სარდიონ, 32) ლოგინოვი ალექსანდრე, 33) გალაშვილი ლავრენტი, 34) გძლიშვილი სერგო, 35) გრიქუროვი გევორქ, 36) გასპაროვი სამსონ, 37) გუდელაიტის ანტონ, 38) დადიანიძე დავით, 39) ჯაგატოვი გიორგი. 40) დავითოვი არტემ, 41) დაიანცი გიორგი, 42) ჯავახოვი არკადი, 43) დოლიძე ანდრია, 44) დონიევი გიორგი, 45) ესაევი ნიკოლოზ, 46) იშხანოვი სერგო; 47) კუხალეიშვილი ევგენი, 48) ყანდარელი ლევან. 49) კიჯერაშვილი მალხაზ, 50) კიკნაძე ნიკოლოზ, 51) კუპრაძე გრიგოლ, 52) კოჩარიანი შაქარ, 53) კარაპეტოვი კარაპეტ აკ., 54) კალაშნიკოვი მიხეილ, 55) კრილოვი თედორე, 56) კარაპეტიან ვარტაკეზ, 57) კორჟოვი ივანე, 58) კრავჩენკო ევგენი, 59) კუდრენკო არსენტი, 60) კარპოვი ვლადიმერ, 61) კოჩეტკოვი მიხეილ, 62) ლუკიანოვი მიხეილ, 63) მასხარაშვილი მიხეილ, 64) მამარდაშვილი ვლადიმერ, 65) მთვარალაშვილი ნიკოლოზ, 66) მარგიევი ნიკოლოზ, 67) მარკაროვი ივანე, 68) მოგილჩენკო მიხეილ, 69) მარტიროსოვი გიორგი, 70) მზავროვი გრიგოლ, 71) მარკაროვი ოგანეს, 72) მანუკოვი სუმბატ, 73) მალკოვა თეკლე, 74) მღუზროვი ივანე, 75) მუტაფიანი მკრტიჩ, 76) მელკონიანცი მოსეს, 77) მურაზიანი მიხეილ, 78) მონასტირსკი ვლადიმერ, 79) მარტიროსოვი ივანე გრ., 80) მიკირტიჩიანი მამბრე, 81) მიხაილოვი ანტონ, 82) ნავროზაშვილი გრიგოლ, 83) ნიკოლაიშვილი ილია, 84) ორმოცაძე მოსე, 85) ოსიპოვი მიხეილ, 86) ორიოლი პეტრე, 87) პავლიუკოვა ოლღა, 88) პროკოპ ვლადიმირ, 89) პლახოტენკო მიხეილ, 90) ფირცხალავა, 91) პუც ალექსანდრე, 92) პეტროვი ივანე ფილიპეს ძე, 93) პარუწაკიანი კარაპეტ, 94) პივნენკო მატრონე, 95) პილიევი ალექსანდრე, 96) პეტროვი ივანე კოზმას ძე, 97) რაზუვაევი კონსტანტინე, 98) სტეპური კონსტანტინე, 99) სტეპანოვი სტეფანე, 100) რუდორგინი ანდრია, 101) სააკიანი სარქის, 102) სოლოვიევი ბორის, 103) ტოგონიძე ივანე, 104) თოიძე ილია, 105) ტერ-სიმონიანი მარია, 106) ხმალაძე ვასილ, 107) ხეჩუმოვი გიორგი, 108) ხაჩატუროვი მამიკონ, 109) ჭაბუკიძე ივანე, 110) ჩალაბიანი ვაგან, 111) ჩიტჩიანი ნინა, 112) ცატურიანცი გაიკ, 113) წვენიევი ივანე, 114) შინგაზდილოვი ავეტიკ, 115) შადსკი იაკობ, 116) შევცოვი ვასილ, 117) შაიშმელოვი დიმიტრი, 118) შალ ფრიდრიხ, 119) ფარეშოვი არუტიუნ, 120) ფილატოვი თედორე.

მდივნის მოადგილე მელაძე.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ 5 დღის განმავლობაში თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში:

თოდუა ილარიონ, ბენდელაშვილი პავლე, ავაქიან ოგანეს, ციცხოვაია ალექსანდრე, ჩიქვანიძე ლევან, განუბიან მიხეილ, ალექსეევი სტეფანე ვოლკოვი რომანი, კარალოვი გიორგი, ჯიოევი ლადო, საფიანც არმავირ, კვეზიევ ალექსანდრე, მარკაროვა-აბაშიძე ელენა, მარკოზოვ მიხეილ, სადლოვსკი გერმან, ივანოვა ელენა, ნაროდაშვილი კონდრატი, ჯიკოევ მიხეილ, გოლუბიევ ვასილი, არჩაკოვი ივანე, სტეფანოვი დიმიტრი, სტაროვეროვი ალექსი, სპირიდონოვი ივანე, იხუშაევ პავლე, მაღლაკელიძე მიხეილ, მაისევ მიხეილ, ჩერნოივანოვი აფანასი და მაკაროვი არუთიუნ.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ხუთშაბათს, 19 მარტს, დილის სრულ 9 საათზე, საქ. პროფკავშირთა პატარა დარბაზში გაიმართება პროფესიონალურ, ახალგ. კომკავშირის და სამხედრო ორგანიზაციების კლუბების მუშაკთა თათბირი. საკითხების მნიშვნელოვანობის გამო ყველას დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი—ასრიბეკოვი.

— ხუთშაბათს, 19 მარტს, საღამოს 7 საათზე, ცენტრალურ პარტიულ კლუბში ამხ. კრუგლიკოვი წაიკითხავს ლექციას „ლენინიზმის და ტროცკიზმის“ ლექციების ციკლიდან: „პროლეტარიატი და გლეხობა სოციალისტურ რევოლიუციაში“ (2 და 4 რაიონის რუსულ სკოლებისათვის).

საქ. კომპარტ. თბილისის კომიტეტის სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილება.

— საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების მესამე რაიონული საბჭო იტყობინება, რომ დღეს, 18 მარტს, დილის 10 საათზე, მესამე რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე შესდგება რაიონულ საბჭოს სხდომა საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების უჯრედთა მდივნების თანდასწრებით.

დღის წესრიგი:

1) საქართველოს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ანგარიში—ამხ. დვორიანოვი.

2) სპორტსექციის შესახებ—ამხ. ხიჩინიანი.

3) ქალაქის საავადმყოფოს უჯრედის ანგარიში.

4) პირველი ქართული პოლკის ანგარიში.

სავალდებულოა რაიონულ საბჭოს ყველა წევრების და უჯრედთა მდივნების დასწრება.

— ქიმიური მრეწველობის და ქიმიური თავდაცვის მეგობართა საზოგადოების მესამე რაიონული საბჭო აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 19 მარტს, საღამოს 6 საათზე, მესამე რაიკომის სააგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე შესდგება რაიონულ საბჭოს სხდომა უჯრედთა მდივნების თანადასწრებით.

სავალდებულოა ყველას გამოცხადება დაუგვიანებლად.

საძ. უნივერსიტეტის კომ. უჯრედის ბიურო ამით აცხადებს, რომ ა. | წ. 19 მარტს, საღამოს 6 საათზე ქალ. აღმასკომის შენობაში ოთახი № 5, დაიწყება უჯრედის წევრთა გადამსინჯავ კომისიის მუშაობა, რის გამო უნდა გამოცხადდენ, ის ამხანაგები, რომელნიც ჯერ არ გატარებულან კომისიაში.

კომ. უჯრედის პ | მგ. მდივანი: ხ უ ნ დ ა ძ ე.

კომკავშირის ქალაქის რაიკომი აცხადებს, რომ შაბათს, 21 მარტს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში დანიშნულია მე-4 რაიკომის პლენუმი.

დასწრება ყველა წევრებისა და კანდიდატებისა სავალდებულოა და დაუგვიანებლად.

დღეს, 18 მარტს, დილის 9 საათზე ქალაქის კ. პ. რაიკომის შენობაში შესდგება რაიონულ შეფბიუროს სხდომა. ევალება ყველა წევრებს გამოცხადდენ აღნიშნულ დროზე.

რაიშეფობის მდივანი ა ლ. თ ო რ ა ძ ე.

არს. რაიკომი და ტ. ო. ლ. კ კ. აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 18 მარტს, საღამოს 6 საათზე, არსრაიკომის შენობაში შესდგება ა. ლ. კ. კ. პოლიტსკოლების ხელმძღვანელების თათბირი.

დასწრება შემდეგ ამხანაგებისა, პარტიის და კომკავშირის დისციპლინის წესით, ვალდებულია: გელიუჯინსკი (ა. კ. კ. უ), მხიტარიანი (ა. კ. კ. უ.), არუტიუნოვი (ა. კ. კ. უ.), გავრიში (ა. კ. ს. კ. ლ. ა. კ. კ.), კოვანოვი (პ. ს. ს. წ. ა.), პორამეჩსკ (პროლეტკულტი), ბაბაჯანოვი (ს. პ. შ. კ.), ანოხინი (ს. პ. შ. კ.), შკოლინი (ს. პ. შ. კ.), ივანოვი (კოლ. კარს.), რახმანი (ა. კ. ს. კ.), ავეტიკიანი (გოსკინპრომი), ბელი (ა. კ. ს. კ. რ. კ. პ.), კეკელია (მე-2-რე შრ. სკოლა), გოგეშვილი (მე-2-რე შრომის სკოლა), შარაშიძე (არტ. საწყობი), ნარსია (მე-2 შრ. სკოლა), ჩერნიშოვი (ს. პ. შ.) აკოპოვი (ს. პ. შ.), ცისკრელი (ს. ს. ტეხნიკუმი), დალაქიშვილი (ს. ს. ტეხნიკუმი), კუ-პალიანი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული ძმები: სამსონ, ონისიფორ და და ფედოსი, რძლები პაშა, ლენა, ძმის წულები ციალა, დათუნა, მერიკო და შამშე ბოლქვაძეები გულითადი მწუხარებით აწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარელი სადგურ საჯავახოს სამკითხველოს გამგე

ელენე კონსტანტინეს ასული
ბოლქვაძე

გამოსვენება გერმანულ საავადმყოფოდან ხუთშაბათს, 19 მარტს ნაშუადღევის ხუთ საათზე. დაკრძალვა მოხდება ქალ. თბილისში ნიკოლოზის სასაფლაოზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის სენაკის სამაზრო კომიტეტი აუწყებს კომიტეტის და სენაკის ორგანიზაციის ყველა წევრებს და კანდიდატებს და სენაკის მაზრის მუშებს და გლეხებს სენაკის სამაზრო კომიტეტის წევრის ამხ.

ლუხუ (იგივე გრიგოლი)
გაგუას

მოულოდნელად გარდაცვალებას. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 679 1—1

საქართველოს კომუნისტური პარტიის ნოქალაქევის რაიონის კომიტეტი აუწყებს ნოქალაქევის ორგანიზაციის წევრებს და კანდიდატებს ნოქალაქევის რაიონის კომიტეტის წევრის ამხ.

ლუხუ გაგუას

მოულოდნელად გარდაცვალებას. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 679 1—1

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის
უმაღლეს საბჭოს
საპნის, ზეთის და საფეიქრო
ტრესტის
„საპონ-ზეთი"-ს
რეგისტრაციის შესახებ

ა. კ. ფ. ს. რ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს, რომ საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საპნის, ზეთის და საფეიქრო ტრესტის „საპონ-ზეთი"-ს წესდება დამტკიცებულია—საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიურ საბჭოს მიერ 1924 წ. ნოემბრის 10-ს. საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საპნის, ზეთის და საფეიქრო ტრესტის „საპონ-ზეთი"-ს მმართველად დანიშნულია ამხ. აგარონოვი არმენაკ მოსეს-ძე, ხოლო მის მოადგილეთ ამხ. ორიცპუხოვი გაბრიელ გრიგოლის-ძე.

ა. კ. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის საქმეთა

ნ. 972 1—1 მმართველი ეირანოვი.

თბილისის ქალაქის ლომბარდი
აცხადებს

რომ მისი მესამე საკომისიო მაღაზიის სავეჭრეულო განყოფილებათა რეორგანიზაციის გამო და მესამე მაღაზიის სხვა რაიონში გადატანისათვის ყველა საკომისიო ნივთები, რომლებიც ამ ჟამათ იმყოფება მესამე მაღაზიაში, გადატანილ იქნება: ნაწილი № 1 მაღაზიაში, ნაწილი კი უკანასკნელის სავეჭრეულო განყოფილებაში. მესამე მაღაზიის კლიენტებს, რომლებიც რაიმე მიზეზის გამო არ იქნებიან თანახმა ნაჩვენებ ადგილზე ნივთების გადატანისა, ვთხოვთ კეთილ ინებონ, რათა დროზე გაიტანონ ასეთები და გაასწორონ მაღაზიასთან ყოველგვარი ანგარიშები ა | წ. 21 მარტამდე.

ნ. 975 1—1

გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის

პოლიტიკურ ეკონომიის დაწყებითი კურსი

ფასი 1 მ. 50 კ.

დაკვეთა და ცალობით შეძენა მხოლოდ საქ. კომპარტიის ცეკას გამომცემლობათა მთავარ კანტორაში (რუსთავ. პრ. № 24 მე-2 სართული).

678 5—1 ს. კ. პ. გამომცემლობის მთავარი კანტორა.

ტირაჟი—21.965

კვირას, 22 მარტს, დილის 11 საათზე ქართულ საარტილერიო ლეგიონში (საბურთალოზე) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა
დაწუნებულ ხარზე.

677 1—1

გაზეთი „ახალი სოფელი"-ს
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია
გლეხთა ცენტრალურ სახლში

ტფილისი, ვოლოდარსკის ქუჩა № 11.

ყოველგვარი მიწერ-მოწერა, საგაზეთო წერილებისა და ხვედრი ფულის გზავნა და აგრეთვე გაზეთის გამოწერა უნდა ხდებოდეს ხსენებული მისამართით. 679 3—1

საჭიროა

გამოცდილი კონტრაგენტები ჟურნალ-გაზეთების, წიგნების და სხვა ლიტერატურის გასავრცელებლად შემდეგ ქალაქებსა და პუნქტებში

1) ონში	7) საღ. რიონში
2) ვლადიკავკაზში	8) წალვერში
3) ცხინვალში	9) მანგლისში
4) თიანეთში,	10) კოჯორში
5) ცაგერში, (ლეჩხუმი)	11) აბასთუმანში
6) ახალქალაქში (მესხეთი)	

პირობების გაგება ყოველდღე დილის 9—8 საათამდე გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში (რუსთაველის პროს. № 24 მეორე სართული).

15—7. მთავარი კანტორა.

ქ. ფოთში, ა | წ. 20 მარტიდან ადგილობრივ პროფბიუროს მიერ

| ი ხ ს ნ ე ბ ა |
საბუხჰალტერო კურსები

დაწვრილებით ცნობების მიღება და თხოვნების შეტანა კურსებზე მიღების შესახებ შეიძლება კურსების გამგე გრიგოლ გიგინეიშვილთან.

2—2 ნ. № 965

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა სამმართველო
სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ მოქალაქეებს:

კასიმოვი გასან ჯაბარ-ოღლი, ხუბულური თამარა, მამადაშვილი ანნა, მეჩკოვსკი იანი, ხოჯუმიანი ქეთევანი, იაკოვლევი ევგენი, კულიცკი მარია, ოლტარჟევსკი, კიროტსონ ივანე, შლიკოვი ექვთიმე, მოლცოვი, კრასოვსკაია ანნა, ოჟჩარენკო პეტრე, გორგიშვილი სიდონია, ბუტკოვი სიმონ, ლოლოიანი აქქსანდრე.

გამოცხადდენ ამა წლის 21, 23, 24 მარტს დილის 10-დან 11 საათამდე სასახლის კომენდატურაში, მათ მიერ საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. რიკოვის სახელზე შემოტანილ განცხადებებზე პასუხის მისაღებად.

რაც შეეხება დანარჩენ მოქალაქეების განცხადებებს, ასეთები განხილული იქნება, რაზედაც მთხოვნელებს ეცნობებათ თავის დროზე.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა სამმართველო.

ნ. 976 3—1

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ-არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდეით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205 25—4

წყალსადენის სამმართველოსაგან

წყლის ფასის გადახდევინების ახალი სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით კომუნალური წყალსადენი ავალებს თავის აბონენტებს დაუყოვნებლივ წარმოადგინონ ყველა გასული თვეების, ა | წ. თებერვლის ჩართვით გადაუხდელ ანგარიშებისამებრ, წყლის ხარჯის გაანაწილების ცნობები № ფორმის ბლანკებით გასული დროის კუთვნილი შეღავათების სრულიად ჩამოსაწერად.

ამ ცნობების წარმოდგენისას შეღავათების ჩამოწერას არ შეაფერხებს შემოსატან ფულის გადაუხდელობა და ამიტომ ის აბონენტი, რომელიც 31 მარტამდე არსებული № 3 ფორმით ცნობებს არ წარმოადგენს, დაჰკარგავს ყველა გასული თვეების შეღავათების ჩამოწერის უფლებას ა | წ. 1 მარტამდე და ამაზე საჩივრები მხედველობაში არ მიიღებიან

1 მარტიდან ყველა სახლის შეღავათების ჩამოწერას თვით წყ. ბუჰგალტერია აწარმოებს ახლად წარმოებულ რეგისტრაციის ბარათების მიხედვით და ამიტომ აბონენტებმა, რომელთა სახლებშიაც პირველ რეგისტრაციის შემდეგ მცხოვრებთა შემადგენლობა შეიცვალა 10 პროც.-ით უნდა წარმოადგინონ წყ. ბუჰხალტერიაში წყლის წიგნი სათანადო საბუთებით ახალ რეგისტრაციაში გასატარებლად.

უკანასკნელი ვადა რეგისტრაციისა არის 31 მარტი და იმ აბონენტების, რომელნიც ვადაზე სარეგისტრაციოდ არ წარმოადგენენ ჯეროვან საბუთებს, მარტის თვის შეღავათების ჩამოწერა მოხდება ძველი ბარათებით და სახლის პატრონები ან მათი მოადგილენი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

ახალი რეგისტრაცია სწარმოებს წყალსადენის განყოფილებაში ყოველ დღე საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე.

წყალსადენის დირექტორი ხოჯაევი.

ნ. 971 2—1 კანცელარიის გამგე ქურთიშვილი.

ექიმი

ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 8.

№ 202.

25—3

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბომონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათ (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი.

ავადმყოფების მიღება დილის 8 სათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—11

ექიმი

მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან საღამოს 9 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება საღამოს 4—5 საათამდე. საპიორის ქ. № 35.

25—2

ექიმი ვ. ნ. ჩუპრინინი

საბჭოთა ქ. № 87 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, ვენაში შეშხაპუნება.

მიღება დილით 10—11 საათ.

25—23 საღამოს—5—6 საათ.

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

2746. 25—11

მატარებლების მოძრაობის გაუქმება და შეცვლა

მატარებლებით მოგზაურთა რიცხვის სიმცირის გამო, 17 მარტიდან განსაკუთრებულ განკარგულებამდი მატარებლები №№ 21 და 22

თბილისსა და ერევანს შორის

შეცვლილია შემდეგნაირად: (მატარებლები ივლიან დღე გამოშვებით) თბილისიდან მატარებელი № 21 გავა გამოქვეყნებული ნუსხით დილის 11 საათზე და 50 წუთზე თბილისის დროით, კენტ რიცხვებში, ხოლო ერევნიდან მატ. № 22—წყვილ რიცხვებში.

თბილისსა და ბაქოს შორის

მატარებელი № 21, რომელიც გადის თბილისიდან ღამის 2 საათზე და 30 წუთზე, ხოლო ბაქოდან თბილისში მატ. № 22 ღამის 2 საათზე—გაუქმებულია. ნ. 977—2—1

მრავალრიცხოვან შეკითხვაზე,
თუ როდის გაიხსნება საუკეთესო რესტორანი
„ახალი საქართველო"

(ყოფ. „შამპანი") რუსთაველის პროსპ. და წულუკიძის (ყოფ. კრუზენშტეინის) ქუჩ. კუთხეში

პასუხი ერთად-ერთია
ამ დღეებში

ნ. 973 1—1

ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 1 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან-

25—9

ექიმი

ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. № 3203. 25—11

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობა ელექტრონის სხივებით წამლობა.

მიღება დილით 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე. გარდა კვირისა

25—25

ექიმი

დ. ა. ბაღუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე.

ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

482 25—10.

დაკარგე ტფილისის ლომბარდის ქვითარი № 15.599. ითვალოს გაუქმებულად. 675 1—1

დაკარგე დაქორწინების მოწმობა, მიღებული თბილისის აღმასკომის მმაჩიდან ელეონორა კუსიაშ სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 682 1—1

დაკარგე თბილისის სასულიერო სემინარიის ხუთი კლასის დამთავრების მოწმობა, გაცემული ნიკოლოზ გიორგის ძე გახარიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 684 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა მიცემული 1921 წელს შორაპნის მაზრის მილიციის უფროსისაგან ივანე ბეგლარის ძე საყვარელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 678 1—1

დაკარგე ერკეთის თემის აღმასკომის მიერ გაცემული პირადობის მოწმობა № 1780 ბესარიონ ივანეს ძე მარგალიტაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 676 1—1

დაკარგე განათლების მუშაკთა პროფესიონალური კავშირის წიგნაკი № 2876 პელაგია მელქისედეკის ასული ფაღავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულ-დ. 674 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა და ნუსხა რეგისტრაციის სოფრომი იაკობის ძე გულუას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 680 1—1

დაკარგე 15 მარტს, ამა წლის კომპარტიის საკანდიდატო ბარათი № 4636, ახ-კომ-კავშირის მთლიანი საწევრო საკავშირო ბილეთი № 14978 და სხვა დოკუმენტები, გაცემული სახელმწიფო ბანკისგან და სხვადასხვა ორგანიზაციებისგან ივანე გიორგის ძე ბახტაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 681 1—1

საქართველოს ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის
ბალანსი
აქტივი 19[illegible] წლის 1-ლ მარტისათვის პასივი

	დასახელება ანგარიშებისა	თანხა
1	კასა და სახელდახელო ანგარიშები	343.868—19
2	ფასიანი ქაღალდები, უცხოეთის ვალიუტა, საქონელი საკუთარი	207.925—70
3	სათამასუქო ოპერაციები	381.566—78
4	სესხები საქონლის დაგირავებით	420.377—85
5	მოკლევადიანი სესხები	759.249—37
6	გრძელვადიანი სესხები	657.279—48
7	კორესპონდენტები	26.557—40
8	კომიტენტები საკომისიო ოპერაციებით	789—09
9	სხვადასხვა პირნი და დაწესებულებანი	117.876—79
10	ანგარიში განყოფილებებთან	784.702—21
11	ქონება	7.725—76
12	მიმდინარე ხარჯები	60.486—08
13	პროცენტები გადახდილი და დარიცხული, კომისია გადახდილი	33.400—03
14	პროტესტ-ქმნილი თამასუქები	14.865——
15	ვადა-გადაცილებული სესხები	18.374—78
16	საეჭვო ვალები	9.872—86
17	სხვადასხვა აქტივები	383.495—76
	ბალანსი	4.228.413—13

	დასახელება ანგარიშებისა	თანხა
1	კაპიტალები	1.465.734—85
2	სპეციალური თანხები განსაკუთ. დანიშნულებ.	225.679—48
3	სახელდახელო ანგარიშები	204.979—58
4	სესხები: ა. ა. კ. სას.-სამ. ბანკში	874.000——
5	გადანაღდებული თამასუქები: ა. ა. კ. სას.-სამ. ბანკში	240.000——
6	სპეციალ სახელდახ. ანგ. უზრუნველყ. თამასუქებით: ა. ა. კ. სას.-სამ. ბანკში	131.000——
7	კლიენტები საქონლის ოპერაციებით	41.646—10
8	კომიტენტები საკომისიო ოპერაციებით	2.602—50
9	სხვადასხვა პირნი და დაწესებულ.	57.213—51
10	ანგარიში გამგეობასთან	721.688—55
11	პროცენტები, კომისია და სხვა შემოსავალი მიღებული	77.796—01
12	ანგარიში მოგებისა და ზარალისა	6.506—17
13	სხვადასხვა პასივები	179.566—43
	ბალანსი	4.228.413—13

ნ. 969 2—1

ს. ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობა: (ი. მენაბდე
(ი. ანდრონიკაშვილი

მთავარი ბუხჰალტერი გ. ტოგონიძე

საქართველოს სახელმწ. ვაჭრობის სააქციო ამხანაგობა
ბალანსი
აქტივი. 1925 წლ. 1-ლ იანვრისათვის პასივი.

აქტივი		
1. ნაღდი საშუალებანი		
1. კასა	17.966—19	
2. სახელდახ. ანგ-შები ბანკ.	15.355—53	33.321—72
2. ფასიანი ქაღალდები		5.558—50
3. საქონელი		
1. საწყობში	242.616—59	
2. მაღაზიებში	871.742—49	
3. საკომისიოთ გაცემული	15.152—93	
4. „ მიღებული	17.328—44	
5. გირაოს ქვეშ	170.515—64	
6. სამნეო ნაწილში	11.532—43	
7. შესანახათ გაცემული	22.717—40	
8. გადასამუშავებლათ	35.257—60	
9. გზაში	91.069—49	1.477.9[illegible]—01
4. მოძრავი ქონება		37.636—35
5. დებიტორები		
1. სხ. სხ. პირნი და დაწეს.	331.876—76	
2. ანგარიშ ქვეშ მყ. პირნი	29.627—47	
3. მიღებული თამასუქები	37.211—44	
4. დახურდავებული „	285.494—67	
5. პროტესტქმნილი „	828—12	685.038—46
6. განყოფილებები		
1. მოსკოვის	917.922—23	
2. ბაქოსი	450.162—85	
3. ქუთაისის	163.886—39	
4. კახეთის	202.716—64	
5. როსტოვის	2.675—00	1.737.[illegible]—11
7. გარდამავალი თანხები		34.754—46
8. სხ. და სხ. ხარჯები		
1. მიმდინარე	285.293—40	
2. საორგანიზაციო	20.525—15	
3. კურსის განსხვავება	6.992—45	312.811—00
ბალანსი		4.324.416—61

პასივი		
1. სააქციო კაპიტალი	632.970—08	
2. საამორტიზაციო თანხა	35.350—63	668.320—71
3. კრედიტორები		
1. სხ. სხ. პირნი და დაწეს.	302.392—86	
2. კომიტენტები	17.328—44	
3. გაცემული თამასუქები	1.182.688—63	
4. სპეც. ან—შები ბანკებში	90.525—00	
5. ბანკებში განაღდ. თამასუქ.	285.494—67	1.878.429—60
4. განყოფილებები		
1. მოსკოვის	872.977—77	
2. ბაქოსი	345.489—98	
3. ქუთაისის	26.960—07	
4. კახეთის	65.398—97	1.310.826—79
5. შემოსავალი		
1. სხ. და სხ.	69.919—99	
2. საქონლის გაყიდვისაგან	396.919—52	466.839—51
ბალანსი		4.324.416—61

საქ. სახ. ვაჭრ. საა. ამხანაგ. გამგეობის თავმჯდომარე ნ. ამირაღოვი

საფინანსო-საანგარიშო განყ. გამგე კ. ცისკარიშ.

მთავარი ბუხჰალტერი კლ. თალაკვაძე. ნ. 974 1—1

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, საზა წულუკიძის ქ. № 4